ხელისუფლების ორმაგი სტანდარტები ყულაბის შესავსებად A2

ბაღდადში ცნობილი ტერორისტი დააპატიმრეს A5

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3



www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 17 აპრილი, 2003 წელი. №105 (317)

ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### არ დადიან პარლამენტში, რათა იარონ... მომავალ პარლამენტში

*მეტნაკლებად ნორმალური ქვეყნის მოქალაქეს ფანტაზია არ ეყოფა იმის წარმოსადგენად, რაც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ხდება. მართლაც, სად თქმულა, რომ პრეზიდენტი პარლამენტის საგანგებო სხდომას იწვევდეს, მისი მხარდამჭერი დეპუტატები კი ამ სხდომას ბოიკოტს უცხადებდნენ?*

A2

## კულუარები

### როგორ განაწილდება კვოტები პროსახელისუფლო ბლოკში

*ლოკალური მიზანი ბლოკში გაერთიანებულ სუბიექტებს ერთი აქვთ - რაც შეიძლება მეტი ადგილი მოიპოვონ საარჩევნო სიაში. "ცოდვის ტრიალი" სწორედ აქ იწყება.*

A2

## ეკონომიკა

### "მსხვილი ბიზნესი დაწესებულ გადასახადებს არ იხდის!"

*სამწუხარო დასკვნა: მსხვილი ბიზნესი დაწესებულ გადასახადებს არ იხდის! თუმცა უარს არ ამბობს გადასახადების წინასწარ გადახდებზე.*

A4

## უცხოეთი

### აშშ და ჩრდილოეთ კორეა მოლაპარაკებებს გამართავენ

*მომავალ კვირას პეკინში ბუშის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირი ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების გასამართავად ჩავა.*

A5

## საზოგადოება

### „სტუდენტურმა დღეებმა„ ქუჩაში გადაინაცვლა

*სტუდენტური დღეები კულმინაციური აღმოჩნდა იმისთვის, რომ საქართველოს რამდენიმე სტუდენტურ და ახალგაზრდულ ორგანიზაციას ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის წყალი შეეყენებინა.*

A6

## სამართალი

### ყალბი ვიზებით მოვაჭრეებს პოლიცია ხელს აფარებს(?!)

*შინაგან საქმეთა სამინისტროში ათობით საქმეა აღძრული იმ თაღლითების მიმართ, რომლებმაც უცხოეთში წასვლის მსურველ მოქალაქეებს უკანასკნელი ფული გამოსტყუეს.*
*საზოგადოებაში ხშირად ყალბი ვიზების ბიზნესის მფარველად პოლიციას ასახელებენ.*

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 9 |
| ქუთაისი | 16 |
| ბათუმი | 14 |
| სოხუმი | 16 |
| ფოთი | 16 |
| თელავი | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1650 |
| ევრო | 2.3248 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3928 |
| რუბლი | 0.0692 |

# ნატო-ს გაფართოების იდეოლოგი კვლავ საქართველოშია

**ალიანსში ნისიად არავინ მიგვიღებს**

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

*მაშინ, როცა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ქართულ-ამერიკული სამხედრო შეთანხმების სკანდალური განხილვა მიმდინარეობდა, საქართველოში სტუმრობდა გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსი ბრიუს ჯეკსონი, რომელმაც თებერვალში განაცხადა, რომ ერაყის პრობლემის მოგვარების შემდეგ ამერიკა რუსეთს სტამბულის შეთანხმების შესრულებას მოსთხოვს. ოთხშაბათს ბრიუს ჯეკსონი საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა. წინასწარი ინფორმაციის თანახმად, ნატო-ამერიკის ორგანიზაციის თავმჯდომარისა და ნატო-ს გაფართოების ერთ-ერთი იდეოლოგის ვიზიტის მიზანს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის საკითხების განხილვა წარმოადგენს.*

ნატო-ს წევრობაზე მეოცნებე საქართველოს ხელისუფლებას, სულ მალე, სიტყვიდან საქმეზე გადასვლა მოუწევს. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ნატო-სთან სამხედრო თანამშრომლობის შტაბის უფროსის, ვიცე-პოლკოვნიკ ირაკლი ბატკუაშვილის თქმით, სავარაუდოდ, მაისის ბოლოსთვის, საქართველოს ხელისუფლება მიიღებს ნატო-ს ექსპერტების მიერ მომზადებულ ინდივიდუალური პარტნიორობის ორწლიან სამოქმედო გეგმას, ყველა სამინისტროსა და უწყებისთვის დეტალურად გაწერილი ვალდებულებების ჩამონათვალით, რომელიც აპრობაციას ნატო-ს შტაბ-ბინაში გაივლის.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ბრიუს ჭეკსონი ნატოს მომავალ საზღვრებს ათვალიერებს.*

## „ძნელია იმის თქმა, არის თუ არა დემოკრატია საქართველოში„

ვერიკო თევზაძე

*პარლამენტარ ელენე თევდორაძისგან განსხვავებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის აზრით, ევროსაბჭოს ასამბლეის წარმომადგენლის ტერი დევისის ვიზიტი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ევროსაბჭოდან გარიცხვა-არგარიცხვის საკითხი მზადდება. მენაღარიშვილი იზიარებს მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელის მათეუშ იორშის კრიტიკას საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს არის მოხსენების პროექტი, კონფიდენციალური დოკუმენტი და მისი კომენტირება ამ ეტაპზე არ შეიძლება.*

ტერი დევისის გუშინდელი ვიზიტი თბილისში არაოფიციალური იყო. **"მე ისე ვარ დაინტერესებული თქვენი ქვეყნის ბედით, ბოლო თვეების განმავლობაში მის შესახებ ყოველდღიურად ვკითხულობ. კარგია, ახლა საქართველოში რომ ვიმყოფები - უშუალოდ დაველაპარაკები ხალხს და სიტუაციაში უკეთ გავერკვევი,"** - განუცხადა პრესას ვიზიტის დასაწყისში დევისმა. დღის მეორე ნახევარში კი ევროსაბჭოს ასამბლეის წარმომადგენელმა მასმედიასთან შეხვედრისას მოკლედ და მშრალად თქვა, რომ ეს, უბრალოდ, მეგობრული ვიზიტი იყო.

ქართველი პოლიტიკოსები ერთხმად აცხადებენ, რომ ტერი დევისს უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებაში - დევისმა ჩვენს ქვეყანას რეკომენდაცია მისცა.

მენაღარიშვილის თქმით, მისი და დევისის დახურულ კარს მიღმა საუბარი - სამხრეთ კავკასიაში არსებულ სიტუაციას, ქართულ-რუსულ ურთიერთობებს შეეხო. დევისს ასევე აინტერესებდა ქართველ პოლიტიკოსთა ყარაბაღის პრობლემასთან დამოკიდებულება. მენაღარიშვილის თქმით, ტერი დევისთან საუბრისას გაირკვა, რომ **"საქართველოს ევროსაბჭოდან გაგდება თავში არავის მოსვლია."**

გაგრძელება A3 გვერდზე

## უცნობის არჩევანი

B1-B2



*გიორგი გაჩეჩილაძე*

## გოსდუმაში საქართველოს 350 მოწინააღმდეგე და სამი მომხრე ჰყავს

**როგორი იქნება პუტინის შემდეგი ნაბიჯი?**

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსეთის პარლამენტში საქართველო-აშშ სამხედრო თანამშრომლობაზე შეთანხმების განხილვა მცირე კონფუზით დაიწყო: პარლამენტის სპიკერმა გენადი სელეზნიოვმა გადამწყვეტ მომენტში, "ყოფითი მიზეზის გამო", დარბაზი დატოვა. ქალბატონი ვიცე-სპიკერი ლუბოვ სლისკა დელიკატურად შეუდგა საქართველოზე მომზადებული განცხადების ტექსტის განხილვის პროცედურას და სიტყვა დეპუტატ ჩეხოევს მისცა. ჩეხოევმა კოლეგებს შეახსენა, რომ წარსულში საქართველოზე მიღებული ექვსი განცხადებიდან ეს უკანასკნელი რუსეთის უსაფრთხოების ინტერესების გადარჩენის მოთხოვნით გამოირჩევა.

**"ბევრჯერ მივმართეთ ქართველ კოლეგებს, რათა გაგვეგრძელებინა კეთილმეზობლური ურთიერთობები, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველომ სხვა არჩევანი გააკეთა. მე მესმის იმ დეპუტატების, რომლებმაც არ დაიჯერეს საქართველო-აშშ-ს შორის ასეთი სახის შეთანხმების არსებობის ფაქტი,"** - არ ისვენებდა პარლამენტარი. მანვე კოლეგებს გააცნო რუსეთის უშიშროების საბჭოდან, უშიშროების ფედერალური სამსახურიდან და ძალოვანი უწყებებიდან მიღებული რეკომენდაციები, სადაც ხაზია გასმული, რომ ერაყში განვითარებული მოვლენების ფონზე, ამიერკავკასიაში და,

გაგრძელება A3 გვერდზე

## სოხუმში ხელისუფლების სისტემური კრიზისი მძაფრდება

ინალ ხაშიგი
IWPR-ის კორ. სოხუმი

აფხაზური ტელევიზიის საინფორმაციო ბლოკები უკვე ორი კვირაა, მხოლოდ პრეზიდენტის, პარლამენტის, პოლიტიკოსთა და ცალკეული მინისტრების პოლიტიკური განცხადებებისგან და მიმართვებისგან შედგება.

მას შემდეგ, რაც ოთხი თვის წინათ შექმნილმა, პრემიერ-მინისტრის გენადი გაგულიას კაბინეტმა 9 აპრილს ნებაყოფლობით მოიხსნა უფლებამოსილება, ყველა სხვა ასპექტი მეორეხარისხოვანი გახდა. მთავრობის წევრების მიერ ვლადისლავ არძინბას სახელზე გაგზავნილ კოლექტიურ განცხადებაში ნათქვამია, რომ აქციის მიზანია **"პრეზიდენტს მიეცეს შესაძლებლობა, განმუხტოს სიტუაცია და რიგ აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით საჭირო გადაწყვეტილებები მიიღოს".**

საქართველოსთან შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, თითქმის 10 წელიწადში, სოხუმში მთავრობა მეშვიდედ იცვლება. მაგრამ მთავრობის გადადგომა პირველადაა განპირობებული არა უცვლელი პრეზიდენტის - არძინბას ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, არამედ, ფაქტობრივად, საზოგადოების მოთხოვნით.

გასული წლის დეკემბერში ქარიზმატული ანრი ჯერგენიას ადგილზე მოსული გენადი გაგულიას არაეფექტურობა საზოგადოებრივ კულუარებში აქტიურად განიხილებოდა.

დაგროვილმა დაძაბულობამ მარტის ბოლოს, ომის ვეტერანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის - "ამცახარას" - ყრილობაზე იფეთქა.

ხელისუფლებისადმი მანამდე ლოიალურმა ვეტერანებმა გააკრიტიკეს რესპუბლიკაში არსებული ეკონომიკური სიტუაცია და საზოგადოების კრიმინალიზებაზე ხმამაღლა ალაპარაკდნენ. მათ, ხელისუფლებისათვის

გაგრძელება A3 გვერდზე

## ევროკავშირში ახალი ქვეყნები წევრიანდებიან

გუშინ, ათენში, ევროკავშირის წევრობის კანდიდატმა ათმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას კავშირში გაწევრიანების შესახებ. პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, კვიპროსი და მალტა, ფორმალურად, კავშირის წევრები მომავალი წლის 1 მაისს გახდებიან. დღეიდან კი ისინი კავშირის ინსტიტუტების მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას.

ევროკავშირის ყველაზე დიდი გაფართოება გუშინ, ათენში, საზეიმო ცერემონიალით აღინიშნა, რომელშიც ევროპის 25 სახელმწიფოს მეთაური და გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი მონაწილეობდნენ. ცერემონია ათენის აკროპოლისთან შედგა. ეს შენობა ევროპული დემოკრატიის კერად ითვლება.

ევროკავშირის გაფართოება ანტიგლობალისტებმა და პაციფისტებმაც საგანგებოდ აღნიშნეს. მათ ქალაქის ცენტრში დიდი პლაკატი გამოაკრეს, რომელზეც ეწერა: "ყასბები: ბლერი, აზნარი და სხვები აქედან გაეთრიონ". პაციფისტები ინგლისისა და ესპანეთის მიერ ერაყში აშშ-ს მხარდაჭერას აპროტესტებდნენ. პოლიცია და დემონსტრანტები გუშინ მთელი დღის მანძილზე ერთმანეთს "მოლოტოვის კოქტეილითა" და ცრემლსადენი გაზით უმასპინძლდებოდნენ.

გაგრძელება A5 გვერდზე

## დღეიდან ურჩ გადამხდელებს საბანკო ანგარიშებს და ქონებას დაუყადაღებენ

**მინისტრები საგადასახადო დეპარტამენტს უპირისპირდებიან**

*საგადასახადო დეპარტამენტი დავალიანების მქონე ორგანიზაციების მიმართ იძულებითი ღონისძიებების გატარებას იწყებს. იასე ზაუტაშვილის განცხადებით, მათ საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაედებათ, ხოლო ქონება აუქციონებზე გაიყიდება. პრეზიდენტი შევარდნაძე კი მთავრობის სხდომაზე ურჩი გადამხდელების მოწვევას ითხოვს.* ***"ამ ხალხსაც მოვუსმინოთ. ვიღაცას, შეიძლება, გადახდილიც აქვს, მაგრამ იქ არ გადაუხდია, სადაც უნდა გადაეხადა,"*** *– აცხადებს პრეზიდენტი.*

სოფო კვინტრაძე

საკადრო ცვლილებები ფინანსთა სამინისტროს ქვემდებარე უწყებებში, რომელსაც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მოელოდნენ, არ შედგა. საბაჟო დეპარტამენტის უფროსი ალეკო ასლანიკაშვილი კვლავ ინარჩუნებს თანამდებობას. სამაგიეროდ, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოსნებისათვის ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების გაკეთება ჩვეულებრივი ამბავია. ორი დღის წინ

გაგრძელება A4 გვერდზე


A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 მერიდიანი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# ხელისუფლების ორმაგი სტანდარტები ყულაბის შესავსებად

თამარ ხორბალაძე

გუშინ საქართველოს ხელისუფლებამ იმ ბერკეტების დემონსტრირება დაიწყო, რომელთა გამოყენებითაც ქართულ ბიზნესს სახელმწიფო მინისტრი ბიზნესმენთა ცნობილი მიმართვის საპასუხოდ დაემუქრა: საგადასახადო სამსახურის შეფმა (და არა ფინანსთა მინისტრმა) კანცელარიაში, მთავრობის სხდომაზე (და არა ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე, რომელიც ერთი დღით ადრე გაიმართა და რომელზეც ჟურნალისტების ფართომასშტაბიანი დასწრება კანცელარიამ უზრუნველყო) გამოაქვეყნა "შეპირებული" ე.წ. "შავი სია" არგადამხდელი, ანუ საგადასახადო დავალიანებების მქონე ორგანიზაციებისა.

ამ სიის დემონსტრირების ადგილი, ანუ ის ფაქტი, რომ მირიან გოგიაშვილმა, მიუხედავად კანცელარიის დიდი სურვილისა, საკუთარ სამინისტროში არ გაახმოვანა ეს სია, თავად მინისტრის მხრიდან საგანგებო მინიშნებად შეიძლება ჩაითვალოს იმის თაობაზე, რომ კანცელარიის თამაშებში განსაკუთრებული ხალისით არ არის ჩაბმული.

რომ არა წმინდა პოლიტიკური კონტექსტი ამ აქტისა, რომელიც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ბიუჯეტის შევსებისთვის ბრძოლის შირმით იქნა შემოთავაზებული, თავისთავად არგადამხდელი ბიზნესის წინააღმდეგ გალაშქრება ხელისუფლებას უდავოდ დადებით აქტად ჩაეწერებოდა, მაგრამ... გუშინ წარმოდგენილ სიაში არ არიან ყველასათვის ცნობილი სახეები ყველასათვის ცნობილი "ვალებით:

მაგალითად, გოგი თოფაძე, რომელსაც თავის დროზე, უშუალოდ, ედუარდ შევარდნაძემ "წამოაძახა", რომ სახელმწიფო ბიუჯეტთან პირნათელი არ გახლდათ. სამაგიეროდ არის "კასტელი", რომელიც თავის დროზე "მრეწველთა" დღევანდელ ლიდერს "აუჯანყდა".

სამაგიეროდ, არგადამხდელად არის გამოცხადებული "AES–თელასი", რომელსაც ბოლო ზამთრის განმავლობაში სახელისუფლებო კლანი უკვე ღიად ებრძვის.

არგადამხდელთა პირველ რიგშია დავით ბეჟუაშვილის სახელთან დაკავშირებული ორი საწარმო – "თბოცენტრალი" და "რუსთავცემენტი", რომლებიც ზემოთ მოხსენიებული პოლიტიკური ბრძოლის კონტექსტში თავსდებიან. ასევე "მოწინავეა" ამ შავ სიაში "მეგაკომი", რომელიც "გაერთიანებულ მრეწველთა" სიაშიც გვხვდება.

"შავ" სიაშია პატარკაციშვილის საფეხბურთო კლუბი "დინამოც".

საინტერესოა, რომ "არგადამხდელები" არიან სტრატეგიული ობიექტებიც, მაგალითად "კვარციტი" და "მადნეული", რომელთა აუქციონის წესით გაყიდვამ თამამად შეიძლება ეს ობიექტები საბოლოოდ მოაქციოს კლანების საშვილიშვილო საკუთრებაში.

საერთოდ, ამ სიაში ბევრი ელექტროენერგეტიკული ობიექტებია, მათ შორის, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარიც, შედარებით ნაკლები კი – კონკრეტული ცნობილი ქართველი ბიზნესმენების საწარმოები.

ანუ "შავი სია", რომელიც გუშინ მთავრობის სხდომაზე გახმოვანდა, ძირითადად, "თეთრი ძაფით" გახლავთ ნაკერი და ხელისუფლებას ქართულ ბიზნესში "მომავალში გამოსააშკარავებელი რეზერვი" , სავარაუდოდ, კიდევ დატოვებული აქვს.

ამ რეზერვის არსებობა და გამოქვეყნებული სია შევარდნაძეს იმ ბიზნესის მიმხრობის გარანტიებს უქმნის, რომელიც სახელისუფლებო ბლოკის ღია მხარდამჭერისაგან დღემდე თავს იკავებს.

ეს კარგი მაგალითი იქნება ქართული ბიზნესისთვის, რომელიც, როგორც "24 საათი" უკვე წერდა, შევარდნაძის მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, ხელისუფლებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული.

დღეს ცხადია ისიც, რომ ხელისუფლება ამჯერად მხოლოდ სიის გამოქვეყნებით არ შემოიფარგლება და სადემონსტრაციოდ დამსჯელ ღონისძიებებს ანუ რამდენიმე აუქციონს, ალბათ, ჩაატარებს.

ახლა საინტერესო ის გახლავთ, თუ, უშუალოდ, რომელი ობიექტებიდან დაიწყებს ხელისუფლება იმ კანონის აღსრულებას, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 2002 წლის ივნისში მიიღო და რომლის აღსრულების შემთხვევაშიც "ნარჩენიანი" საწარმოები ბუნებაში, უბრალოდ, აღარ უნდა არსებობდნენ. ანუ ვინ მოხვდება "პირველ ტალღაში", რომელმაც, შესაძლოა, ხელისუფლების მიერ გუშინ შეპირებული 140 მილიონიანი საბიუჯეტო შემოსავალი ვერ მოიტანოს, მაგრამ სახელისუფლებო ყულაბაში ფულის ჩაყრის მსურველების რიცხვს კი უდავოდ მიიმატოს.

## კულუარები

# როგორ განაწილდება კვოტები პროსახელისუფლო ბლოკში

მერაბ მეტრეველი

დღეს პროსახელისუფლებო ბლოკი, სახელად "ალიანსი ახალი საქართველოსთვის" [illegible]

[illegible]

[illegible] სუხოდ ეუბნებიან, რომ შეუძლია, კიდევ ექვსი კაცი მაჟორიტარის სტატუსით გაიყვანოს თავისი სამფლობელოდან. ათი ადგილი სურს ზოდელავასაც, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, მისთვის მხოლოდ ორი გაიმეტეს. პრეტენზიებზე მასაც მამალაძის მსგავსი პასუხი გასცეს: თბილისში ათი რაიონია, მოიგე ყველა და პარლამენტში თორმეტი კაციც კი გეყოლებაო.

[illegible]

[illegible] უფროსის თანამდებობაზე დაინიშნოს. ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი კი ის გახდა, რომ ლეგიონის უფროსი 500 შეიარაღებულ ადამიანს ოფიციალურად აკონტროლებს. მათი "დახმარება" კი, რა იცი, როდის დასჭირდებათ.

# გორში ოპოზიცია ერთიანდება

ვასილ გულეური
გორიდან

ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიათა გორის რაიონულმა ორგანიზაციებმა საკოორდინაციო საბჭო შექმნეს. შეხვედრა "გაერთიანებული დემოკრატების" ინიციატივით გაიმართა და მასში გორში მოქმედი ყველა ოპოზიციური პარტია მონაწილეობდა. მოწვეულთაგან შეხვედრაზე არ გამოცხადდნენ კომუნისტური პარტიის, "ტრადიციონალისტებისა" და "ერთობის" წარმომადგენლები.

"გაერთიანებული დემოკრატების" გორის ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიორგი მჭედლიშვილმა მოწვეულებს გააცნო მემორანდუმის ტექსტი. გორის რაიონული ორგანიზაციები **"საარჩევნო მარათონის მანძილზე დაიცავენ ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს, ერთიანი ძალისხმევით წინ აღუდგებიან არჩევნების გაყალბებას, გმობენ ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური პარტიებისა და მათი წევრების მიმართ ძალადობას, პოლიტიკურ ტერორს და დევნას."** შეგახსენებთ, რომ 4 აპრილს ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ხელყუმბარა ააფეთქეს გიორგი მჭედლიშვილის საცხოვრებელი სახლის ეზოში. გიორგი მჭედლიშვილმა ამ ფაქტს პოლიტიკური ტერორისტული აქტი უწოდა, თუმცა საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა.

გორის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა მიიღეს ერთობლივი მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის სახელზე, სადაც აღნიშნულია, რომ **"საქართველოს მოსახლეობა პარლამენტისაგან ელოდება დემოკრატიული საარჩევნო კოდექსის მიღებას"**. გორის პოლიტიკური ორგანიზაციები პარლამენტის თავმჯდომარეს სთხოვენ, ძალისხმევა არ დაიშუროს აღნიშნული კანონის მისაღებად.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, პოლიტიკური პარტიების გორის რაიონული ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭო ყოველი თვის ბოლო პარასკევს შეიკრიბება.

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე ნატო-ს წარმომადგენლებთან ერთად პანკისის ხეობაში ჩავიდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია აცხადებს, რომ ტერორიზმის ბრალდებით ინტერპოლის მიერ ძებნილი უშიშროების ყოფილი მინისტრის იგორ გიორგაძის საქართველოში ჩამოყვანა ქვეყანას არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არძინბას რეჟიმმა რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციას, "ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად", სამთავრობო აგარაკი, "გაგრა". მიჰყიდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმში კატეგორიულად უარყვეს განცხადებები იმის შესახებ, რომ აფხაზეთის დედაქალაქის აეროპორტი მზად არის მუშაობის განახლებისათვის და რომ ასაფრენი ზოლის და ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოები რუსი მშვიდობისმყოფელების დაცვის ქვეშ მიმდინარეობს, რომლებსაც დსთ-ის მანდატი გააჩნიათ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "კოდორის ხეობის იმ ნაწილში, რომელსაც ქართული მხარე აკონტროლებს, რეგულარული საჯარისო ნაწილები არ არიან", - განაცხადა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გელა ბეჟუაშვილმა. **პრაიმ-ნიუსი**

# არ დადიან პარლამენტში, რათა იარონ... მომავალ პარლამენტში

გიორგი ასანიძვილი

*მეტნაკლებად ნორმალური ქვეყნის მოქალაქეს ფანტაზია არ ეყოფა იმის წარმოსადგენად, რაც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ხდება. მართლაც, სად თქმულა, რომ პრეზიდენტი პარლამენტის საგანგებო სხდომას იწვევდეს, მისი მხარდამჭერი დეპუტატები კი ამ სხდომას ბოიკოტს უცხადებდნენ? ის, რაც წარმოუდგენელია ნორმალურ სახელმწიფოში, სავსებით ბუნებრივად გამოიყურება საქართველოში. მეტიც: იმ გარემოებას, რომ გუშინდელი რიგგარეშე სხდომა საპარლამენტო უმრავლესობის მიზეზით, ქვორუმის არარსებობის გამო, ჩაიშალა, ბევრი არავინ გაუოცებია, მათ შორის, არც საქართველოს პრეზიდენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შევარდნაძე აუცილებლად მოსთხოვდა პასუხს მთავრობის სხდომაზე მრავლად მყოფ სახელისუფლებო ფრაქციათა წარმომადგენლებს და შეეკითხებოდა: "თქვენ აქ რა გინდათ? როდის აქეთ გახდით მთავრობის წევრები? განა არ იცით, რომ თქვენივე კოლეგების მოთხოვნის საფუძველზე, პარლამენტის საგანგებო სხდომა დავნიშნე და, წესით, ახლა მას უნდა ესწრებოდეთ?".*



თემატური უმრავლესობა

ასეთი კითხვა მთავრობის სხდომაზე დამსწრე პარლამენტარებისთვის ედუარდ შევარდნაძეს არ დაუსვამს. და არც დასვამდა, - ვიცე-სპიკერ როსტომ ჯაფარიძის თქმით, პრეზიდენტმა ერთი ხელით რიგგარეშე სხდომის მოწვევას რომ მოაწერა ხელი, მეორე ხელით გასცა განკარგულება, ამ სხდომის ბოიკოტირება მომხდარიყო. მისივე მტკიცებით, ორშაბათის რადიოინტერვიუში შევარდნაძის განცხადება იმის შესახებ, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მას ვეტოს დაადებს, სხდომაზე დეპუტატების არმისვლის სიგნალს წარმოადგენდა. ოპოზიციის მტკიცებით, ამჟამინდელი საპარლამენტო კრიზისი სწორედ უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ არის ინსპირირებული და ერთ-ერთ მთავარ მიზნად სპიკერატის შეცვლას ისახავს.

საკითხავია, საბოლოო ჯამში, ვინ რჩება მოგებული ოპოზიციური სპიკერატის წინააღმდეგ გამოუცხადებლად დაწყებულ ომში? როდესაც ელექტორატი უყურებს, უმრავლესობაში შემავალი დეპუტატები როგორ უკეთებენ იგნორირებას სხდომას, რომელზეც ნავარაუდევია საარჩევნო კოდექსის დახვეწა, არ აინტერესებთ სოციალური პრობლემატიკა, გაურბიან (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) დისკუსიას ეკონომიკურ თემებზე. ამ დეპუტატებმა რამდენიმე თვის შემდეგ რა ნამუსით უნდა უთხრან ამომრჩევლებს, პარლამენტში თქვენი და მთელი ქვეყნის კეთილდღეობისთვის ვიღწვით და კვლავაც დაგვიჭირეთ მხარიო? არადა, ხომ არც ის არის საიდუმლო, რომ ბევრ პოლიტიკურად უსახურ და უსაქმურ დეპუტატს ძალიან სწადია, რუსთაველის რვა ნომერს კიდევ ოთხი წლით შეაფაროს თავი! ჰოდა, სამომავლოდ კვლავ გადეპუტატების მსურველნიც, აკეთებენ იმას, რასაც ავალებენ, - არ დადიან პარლამენტში, რათა იარონ მომავალ პარლამენტში.

ისე, უმრავლესობის წარმომადგენლები თავადაც ხვდებიან, რომ პარლამენტის სხდომების ბოიკოტირებით მთლად კარგად ვერ იქცევიან. ამიტომ, "დანაშაულის" შესარბილებლად, ცუღლუტობასაც არ ერიდებიან. მაგალითად, რეგისტრაციის მიმდინარეობისას, პულტებს მხოლოდ ბოლო წამებზე აჭერენ ხელს, როდესაც უკვე ნათელია, რომ ქვორუმი ვერ გროვდება და სხდომა ვერ გაიხსნება. ამიტომ, თუ რეგისტრაციის შედეგებს გადახედავთ, სხდომის ბოიკოტირების თაობაზე უმრავლესობის მისამართით წაყენებული პრეტენზიები, შესაძლოა, უსაფუძვლოდაც კი მოგეჩვენოთ - ხელისუფლების მხარდამჭერ ფრაქციათა მრავალ წარმომადგენელს რეგისტრაცია გავლილი აქვს, მაგრამ საკმარისია, სხდომათა დარბაზს შეავლოთ თვალი, რომ...

**"ოჰ, რა სამუშაო განწყობა სუფევს! ხალხის ტევა აღარ არის!"**, - "კაიფობდა" გუშინ, უმრავლესობის ცარიელი სავარძლების შემხედვარე, ჯემალ გოგიტიძე.

**"თქვენ რაღამ მოგიყვანათ აქ? გზა ხომ არ შეგეშალათ?"**, - "ელადავებოდა" ოპოზიცია დარბაზში მყოფ უმრავლესობის თითო-ოროლა წევრს.

ისე, "აღორძინება" სულაც არ არის ხუმრობის ხასიათზე, - სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვერჩატარებული სხდომა სწორედ მისი ინიციატივით იქნა მოწვეული. აჭარის დეპუტაცია განსაკუთრებით ვახტანგ რჩეულიშვილზეა "ალესილი".

**"სხვების პოზიცია კიდევ შეიძლება გავიგოთ, მაგრამ სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე უკადრებელს არ უნდა კადრულობდეს. თავის დროზე, მას ხელი მოაწერა შეთანხმებას სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ. ამიტომ, კეთილი ინებოს და მობრძანდეს სხდომათა დარბაზში"**, - უკვე რამდენიმე დღეა, ამაოდ უხმობს პარლამენტის ვიცე-სპიკერს ჯემალ გოგიტიძე. ამ უკანასკნელის თანაგუნდელი სანდრო ბრეგაძე კი შეახსენებს რჩეულიშვილს, რომ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ ის "აღორძინების" კვოტით არის გასული და თუ ასე გააგრძელებს, ფრაქცია ვიცე-სპიკერობიდან მისი გადაყენების საკითხს დააყენებს.

პრეზიდენტი, ალბათ, თავადაც ხვდება, თუ როგორი ავტორიტეტშელახული დასაყრდენი ჰყავს პარლამენტში, მაგრამ მასთან განშორებას და უკეთესის მოძებნას არ აპირებს. მას კარგად ახსოვს, რა პრობლემები მოიმკო იმით, რომ ადრე უმრავლესობის მართვა ინიციატივიან ხალხს ჩააბარა.

# მომავალი არჩევნების ტოტალური გაყალბების წინაპირობა

თამარ მჭედლიშვილი

*როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ პარლამენტის რიგგარეშე სხდომა არ შედგა. დილით კვორუმი არ იყო, მოგვიანებით კი, ბიუროს სხდომაზე ცხადი გახდა, რომ პარლამენტართა რიგგარეშე შეკრების ერთ-ერთი მთავარი თემის – საარჩევნო კოდექსში მომზადებული ცვლილებების განხილვას დეპუტატები ამ კვირაში ვერ შეძლებენ.*

საგანგებო სხდომის დაწყების წინ პარლამენტში ჯერაც არ იყო შესული ე.წ. პრეზიდენტის კანონპროექტი, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესს ეხება. იმის მიუხედავად, რომ შევარდნაძის გუნდის წევრებს ბოლო დღეებში არაერთგზის განუცხადებიათ ამ პროექტის შინაარსის შესახებ, მისთვის საკანონმდებლო ინიციატივის სახის მიცემა, რატომღაც, ვერ მოხერხდა.

ოფიციალური ვერსიით, ამას საკმაოდ სერიოზული მიზეზი აქვს. როგორც მოქკავშირის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა ვიტალი ხაზარაძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, **"პროექტი გასაცნობად დაურიგდათ მეგობარი ქვეყნების საელჩოებს, ასევე ევროსაბჭოს თბილისის ოფისს და უკვე საღამოს, ელჩების რჩევების გათვალისწინებით, ეს კანონპროექტი შევიდოდა პარლამენტში"**.

ჩვენ დავინტერესდით ამ ინფორმაციის სიზუსტით, თუმცა როგორც ამერიკის საელჩოში, ისე ევროსაბჭოს თბილისის წარმომადგენლობაში ამ კანონპროექტის თაობაზე არაფერი იცოდნენ. სხვათა შორის, გუშინ, საღამოს ექვსი საათისთვის არც პარლამენტის კანცელარიაში შესულა პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონპროექტი.

ერთი სიტყვით, საარჩევნო ბატალიები პარლამენტში ჯერ კიდევ წინაა. როგორც ვიტალი ხაზარაძე გვარწმუნებს, საარჩევნო კანონპროექტზე მსჯელობა მომავალ სამშაბათს გაიმართება.

რაც შეეხება თავად პრეზიდენტის ინიციატივას: როგორც ვიტალი ხაზარაძე აცხადებს, იგი მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესს განსაზღვრავს და არ ეხება ქვედა დონის - საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს.

ამას ბატონი ხაზარაძე შემდეგნაირად ხსნის: **"პრეზიდენტის და მთელი ხელისუფლების აზრით, საარჩევნო ადმინისტრაციები მხოლოდ პროფესიული ნიშნით უნდა დაკომპლექტდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკური სპექტრი დღეს საამისოდ მზად არ არის. ამიტომ გადაწყდა, რომ კომისიების ასეთ მოდელზე ეტაპობრივად გადავიდეთ. დღეს ჩვენ არ ვეხებით საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს და მხოლოდ ცესკო-ს ვცვლით, რომელიც შერეული პრინციპით არის დაკომპლექტებული, რადგან იგი ყველაზე მეტად დისკრედიტებულია. ჩვენ ცალსახად ვითხოვთ, რომ იგი პროფესიული იყოს. თანაც, პრეზიდენტი გვპირდება: იგი პარლამენტს განსახილველად იმ კანდიდატურებს წარუდგენს, რომლებიც ბოლო ორი წლის მანძილზე არც ერთ პარტიას არ მიეკუთვნებოდნენ".**

სხვათა შორის, იმავე პოზიციას იზიარებენ იმ პარტიათა წარმომადგენლები, რომლებსაც ახლო წარსულში არაერთხელ განუცხადებიათ, რომ არჩევნების შედეგები, უპირველეს ყოვლისა, უბნებზე და საოლქო კომისიებში ყალიბდებოდა.

ასე, მაგალითად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის "სოციალისტი" წევრი დენის დავითაშილი აცხადებს, რომ მისთვის აბსოლუტურად მისაღებია ის მოდელი, რომელიც პრეზიდენტის მიერ იქნება წარმოდგენილი. **"ეს საკითხი პრობლემატური სულაც არ არის. ჩემი აზრით, უნდა დარჩეს საოლქო და საუბნო კომისიების დაკომპლექტების ის მოდელი, რომელიც თავის დროზე მმართველმა ძალამ, ამჟამად კი ოპოზიციამ საარჩევნო კოდექსში ჩადო. მე ვუსმენდი პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის სატელევიზიო გამოსვლას, სადაც მან განაცხადა, რომ ადგილობრივი არჩევნები თითქოს სპეცჯგუფებმა გამართეს. ეს ასე ნამდვილად არ ყოფილა. სპეცჯგუფი მხოლოდ ხარაგაულის რაიონის არჩევნების ორგანიზებისთვის შეიქმნა. სხვაგან არჩევნები კომისიებმა გამართეს და ეს კომისიები დღესაც მუშაობენ. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ საოლქო და საუბნო კომისიის წევრებს, კანონის თანახმად, სპეციალური სერთიფიკატი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ თუკი კანონის ამ მოთხოვნის ამოქმედება 2004 წლის პირველ იანვრამდე გადაიწევს, არანაირი სერთიფიკატი საჭირო არ იქნება. შესაძლოა, რომ ადგილებზე საარჩევნო კომისიების პერსონალური შემადგენლობა შეიცვალოს, თუმცა წარდგენის წესი იგივე უნდა დარჩეს."**

ერთი სიტყვით, სახელისუფლებო ძალამ გუშინ ძალზე გამჭვირვალედ მიანიშნა, რომ მას საარჩევნო ადმინისტრაციების შეცვლა სულაც არ სურს. ყველასათვის ძალზე კარგად არის ცნობილი, რომ კენჭისყრის შედეგების გაყალბება სწორედ საუბნო კომისიებიდან იწყება. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, ვინ ვისთან მოახერხებს გარიგებას და, უხეშად რომ ვთქვათ, რამდენი ბიულეტენის ჩაგდების ნებას მისცემენ პარტიები ერთმანეთს.

თუკი საუბნო და საარჩევნო კომისიების წარდგენის წესი არ შეიცვლება, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ: საუბნო საარჩევნო კომისიებში შევლენ ხუთი პარტიის (მოქალაქეთა კავშირი, "აღორძინება", "მრეწველები", "ლეიბორისტები" და "ედეპე") პლუს საოლქო კომისიიდან და გამგეობიდან დანიშნული წევრები. იგივე სურათია საოლქო კომისიებში, თუმცა რამდენიმე წევრს იქ უკვე ცენტრალური საარჩევნო კომისია დანიშნავს.

ბევრი ფიქრი სულაც არ არის საჭირო საიმისოდ, რომ მივხვდეთ, რას ნიშნავს ყოველივე ეს რეალურად. თუკი ოპოზიციამ ამ სცენარის შეცვლა ვერ მოახერხა, ყველაზე უარეს სურათს მივიღებთ: საქართველოს მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ ხელისუფლებას აბსოლუტურად მორჩილი საარჩევნო ადმინისტრაციები ეყოლება. აქ უკვე თითოეული ჩვენთაგანის ფანტაზიაზეა დამოკიდებული იმის წარმოდგენა, თუ არჩევნების გაყალბების რა მასშტაბებთან გვექნება საქმე.

# "გიორგაძე ხვალ თბილისში ჩამოვა"

სოფო ბუკია

**"შეწყდეს იგორ გიორგაძის მიმართ სამართლებრივი დევნა, გათავისუფლდეს ისნის სამხედრო ნაწილში მომხდარი ინციდენტის გამო დაკავებული თხუთმეტი ვეტერანი, დაურიგდეს დაღუპულ მეომართა ოჯახებს სოციალური დახმარება,"** – ამ მოთხოვნებით იგორ გიორგაძის ორასამდე "ფანმა" გუშინ სახელმწიფო კანცელარიისკენ აიღო გეზი. ხუთჯვრიანი დროშებით, ნაირგვარი ტრანსპარანტებითა და რუპორებით ხელდამშვენებულებმა მშვიდობიანად ჩაიარეს რუსთაველის გამზირი, გზად "შავლეგოს" ფონოგრამას მოუსმინეს და საოცრად პატრიოტულ ნოტაზე განეწყვნენ. დროდადრო ეროვნულ ჰანგებს ისტერიული "იგორი! იგორი!" ახშობდა. კანცელარიამდე კიდევ ერთ-ორსაც შემოსძახებდნენ, რომ არა პოლიციელთა კორდონი, რომელიც ეროვნული სულისკვეთებით გულანთებულ კომუნისტ პანტელეიმონ გიორგაძის მეგობრებს პირველ გიმნაზიასთან შეეჩეხა, რამაც მათ "დიად გეგმებში" გარკვეული კორექტივები შეიტანა.



მიხეილ სალაძემ დემონსტრანტების დაშლა ტკბილი სიტყვით შეძლო.

თუ ვინმეს "პაგონი" ამშვენებს მხარზე, მაღალჩინოსანმა სამართალდამცავებმა გუშინ ყველა რუსთაველის გამზირზე გამოიყვანეს. ეს მოსალოდნელიც იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ აქციის წინა დღეს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგაძის მომხრეების მისამართით საკმაოდ მკაცრი განცხადებები გააკეთა. სამართალდამცავთა შორის, მიტინგებისა და აქციების უცვლელი კომპონენტი თემურ მღებრიშვილიც გახლდათ.

- ბატონო თემურ, ძალის გამოყენებას შეეცდებით?

- მა რად მინდა ეგ ძალა, თუ არ გამავიყენე... – სავსებით ლოგიკური პასუხია, თუმცა ძალის დემონსტრირება პოლიციელებს გუშინ არ დასჭირვებიათ. გიორგაძის გულაღტკინებულ მომხრეთა თავყრილობა "ტკბილი სიტყვით" ნახევარ საათში დაშალეს. "მონარქისტულ-კონსერვატიული" პარტიის წევრებმა თავიანთი მოთხოვნების წერილობითი ვარიანტი პრეზიდენტს, პარლამენტს და საერთაშორისო ორგანიზაციებს უკვე გაუგზავნეს.

როგორც "მონარქისტ-კონსერვატორთა" ლიდერი თემურ ჟორჟოლიანი აცხადებს, თბილისელი მომიტინგეების დასახმარებლად რამდენიმე ავტობუსი გუშინ რეგიონებიდანაც დაიძრა. სამართალდამცავებმა რუსთავიდან მომავალი ორი ავტობუსი "დაბლოკეს", დანიშნულების ადგილამდე ვერც კახეთიდან მომავალმა დელეგაციამ ჩამოაღწია. **"გამოდის, რომ ჟვანია-სააკაშვილისთვის მიტინგების ჩატარება შეიძლება, სხვისთვის კი - არა. ჩვენ არავის დავაჩაგვრინებთ თავს,"** – სწყინთ გიორგაძის გულშემატკივრებს.

ჯერ კიდევ დილით, აქციის დაწყებამდე "მონარქისტ-კონსერვატორთა" რეზიდენციას დედაქალაქის პოლიციის შეფის მოადგილე მიხეილ სალაძე ესტუმრა. სალაძემ უშიშროების ექს-მინისტრის მომხრეებს წვიმიან ამინდში "შინ დარჩენა" ურჩია. **"რა საჭიროა ამდენი ხალხის ქუჩაში გამოყვანა, თუ რამე სათქმელი აქვთ, 50 კაცი შეკრიბონ და ისე მივიდნენ. ამათ ხუთასი კაცის ქუჩაში გამოყვანა აქვთ გეგმაში. არასანქცირებული მიტინგის ჩატარების უფლებას არავის მივცემთ!"** – განმარტა სალაძემ.

გადაკეტილ რუსთაველზე გიორგაძის "ფანებს" გუშინ ძალაუნებურად სამარშრუტო ტაქსების მგზავრებიც შეუერთდნენ და გიორგაძის მისამართით (თუმცა, მისი ზუსტი მისამართი არავინ იცის) უცენზურო სიტყვათა კორიანტელიც დააყენეს.

მომიტინგეთა ერთ-ერთ დროშაზე კი იმედიანი წარწერა ფრიალებდა: "იგორ გიორგაძე ხვალ თბილისში იქნება!" უშიშროების ექს-მინისტრის ჩამოფრენის ზუსტი დრო და რეისის ნომერი ტრანსპარანტზე მითითებული არ იყო.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# „ძნელია იმის თქმა, არის თუ არა დემოკრატია საქართველოში„

პირველი გვერდიდან

როგორც ცნობილია, 28 მარტს ევროსაბჭოს ასამბლეის მონიტორინგი ჯგუფის ბიუროს დახურულ სხდომაზე, ჯგუფის ხელმძღვანელი მათეუშ იორში საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ საკმაოდ კრიტიკული, 14-გვერდიანი მოხსენებით გამოვიდა. ევროსაბჭოს მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის წევრები საქართველოდან იორშის დასკვნას არაერთგვაროვნად აფასებენ. "დემოკრატი" ელენე თევდორაძის აზრით, ამგვარი დასკვნის გამო, საქართველოს ევროსაბჭოდან გარიცხვა ემუქრება. მოქავშირელი არმაზ ახვლედიანი აცხადებს, რომ მონიტორინგის ჯგუფს ოპოზიციამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა. **"მონიტორინგის ჯგუფის შეფასება გადაჭარბებულია,"** - განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს ახვლედიანმა, რომელიც ამ საკითხის გასაჩივრებას აპირებს.

დევისს "დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანიაც შეხვდა. **"დიახაც, მოვახსენე ბატონ დევისს საქართველოში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ,"** -ხაზგასმით აღნიშნა ჟვანიამ. ზურაბ ჟვანიას საუბრიდან გაირკვა, რომ ევროსაბჭოს ასამბლეის წარმომადგენელთან მან აღნიშნა: შევარდნაძე ყოველმხრივ ცდილობს, ცესკო თავისი ხალხით დააკომპლექტოს, და რომ "ალიანსი ახალ საქართველოსთვის" საეჭვო პოლიტიკური დაჯგუფებაა.

ირაკლი მენაღარიშვილის შეფასებით, მონიტორინგის ჯგუფის მოხსენების მუშა ვარიანტი სიმართლეს შეეფერება, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ევროსაბჭოდან გარიცხავენ. **"მოხსენების პროექტში ასახულია ის უარყოფითი მხარეები, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებას ახლავს. ეს არის ჩვენი მეგობრების მიერ გამოთქმული შენიშვნები და მას ქართული მხრიდან ადეკვატური რეაქცია სჭირდება და არა ისეთი ნერვიული, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში შეინიშნება... ამასთანავე, არც ერთ პოლიტიკურ ძალას ამ საკითხის სპეკულაციის მიზნით გამოყენებას არ ვურჩევ."**

და ბოლოს, ტერი დევისის დამოკიდებულება საქართველოში არსებული ვითარების მიმართ: **"თქვენს ქვეყანაში სიტუაცია მართლაც რომ დაძაბულია. პოლიტიკა ცვალებადია და მოულოდნელობებით არის სავსე. საქართველოში ხშირია დაპირისპირება პოლიტიკურ პერსონებს შორის, მაშინ, როცა ევროპაში - პოლიტიკური ძალები უპირისპირდებიან ერთმანეთს... ძნელია იმის თქმა, არის თუ არა დემოკრატია საქართველოში... მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც განვითარების გზაზე დგახართ..."**



ტერი დევისი და ირაკლი მენაღარიშვილი მოლაპარაკების შემდეგ.

# ნატო-ს გაფართოების იდეოლოგი კვლავ საქართველოშია

პირველი გვერდიდან

ბუნებრივია, ნატო-ელი სპეციალისტები მას რაღაც-რაღაცეებს კიდევ დაუმატებენ და საბოლოოდ კვლავ საქართველოს ხელისუფლებას დაუბრუნებენ შესასრულებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ამ გეგმის პრეზენტაცია ჯერ-ჯერობით არ მომხდარა და არც წინასაარჩევნო სამზადისში ჩართულ ადმინისტრაციულ რესურსს ეტყობა "სწორება ნატო-ზე", საქართველოში მაინც არ წყდება სპეკულაციები იმის თაობაზე, თუ რა მანძილი აშორებს საქართველოს სანუკვარ მიზნამდე. პესიმისტების პროგნოზით, არსებული შესაძლებლობებით და დემოკრატიის ხარისხით საქართველოსთვის ალიანსის წევრობა უშორესი პერსპექტივის საქმეა; ოპტიმისტები და, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტი კი მიიჩნევენ, რომ ქვეყანა უკვე 2-3 წლის შემდეგ იქნება მზად ნატო-ში გაწევრიანებისთვის.

ერთი თვის წინ ბრიუს ჯეკსონმა განაცხადა, რომ ასეთი ვადები დადგენილი არ არის, მაგრამ გაფართოების ბოლო ტალღის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ოპტიმალური დრო ოთხი-ხუთი წელიწადია. **"თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუკი ნატომდე მანძილის დაფარვა ამ პერიოდში არ მოხერხდა, ქვეყანა კარგავს ალიანსში გაწევრიანების შანსს. მაგალითად, მაკედონიამ და ალბანეთმა ვერ მიიღეს მოსაწვევი, მაგრამ მათ ოთხი წელი აქვთ. შემდგომი გაფართოების დროს მათი გაწევრიანების საკითხი ისევ დადგება დღის წესრიგში,"** -განაცხადა ჯეკოსნმა.

აღსანიშნავია, რომ ამერიკა-ნატო-ს კომიტეტის თავმჯდომარე ბრიუს ჯეკსონი თვენახევრიანი ინტერვალით მეორედ ჩამოდის საქართველოში. ნატო-ს გაფართოების ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის რეკომენდაციებმა, თავის დროზე, დიდი გავლენა იქონიეს აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანების პროცესის წარმატებით დასრულებაზე. ეს რეკომენდაციები, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივად გამოიყურება. ქვეყანამ თავად უნდა გააკეთოს არჩევანი, ხოლო ხელისუფლების ყველა შტომ უნდა აღასრულოს ხალხის ნება - დაახლოებით ასე ჟღერდა ბრიუს ჯეკსონის მიერ თებერვლის ბოლოს გამოთქმული რჩევების არსი.

ერთი თვის წინ ბრიუს ჯეკსონი, რომელიც კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის - ერაყის გათავისუფლების კომიტეტის პრეზიდენტიც არის, ძალიან ბევრს ლაპარაკობდა ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე და იმაზე, რომ ყველა იმ ქვეყანას, რომელსაც ნატო-ში გაწევრიანება სურს, ევალება, ებრძოლოს ტირანულ რეჟიმებს.

**"ჩვენ - ერაყის გათავისუფლების კომიტეტის წევრებს მიგვაჩნია, რომ ამ ქვეყანაში სახეზეა ტირანია. რა თქმა უნდა, ამ საკითხმა გარკვეული პრობლემა წარმოშვა ნატო-ს შიგნით. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ გრძელვადიანი შედეგი ამ დებატებისა პოზიტიური იქნება და იგი განამტკიცებს ალიანსს. ხოლო პროცესის ერთ-ერთი გვერდითი მოვლენა იქნება თურქეთის როლის გაძლიერება ევროატლანტიკურ სივრცეში, რაც, თავის მხრივ, ცხადყოფს, რომ ეს რეგიონი და კერძოდ საქართველო, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილია,"**-აცხადებს ჯეკსონი.

გუშინ, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტს პირისპირ შეხვდებოდა, ბრიუს ჯეკსონი საქართველოს პარლამენტის თავადაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბათიაშვილმა მიიღო. ბათიაშვილის თქმით, ამერიკელ პოლიტიკოსზე საქართველოში დიდ იმედებს ამყარებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ მისი ინტენსიური ჩამოსვლა **"განპირობებულია ცხადი ინტერესით, რომ ჩვენი მოძრაობა ჩრდილოეთ-ატლანტიკური ალიანსისაკენ კიდევ უფრო დაჩქარდეს."**

თუმცა, ამ მოძრაობას საქართველოში გზადაგზა ბევრი და გაუთვალისწინებელი დაბრკოლება ეღობება ხოლმე, განსაკუთრებით - ფინასური თვალსაზრისით. მიუხედავად არაერთი დაპირებისა, ხელისუფლებამ პირველ კვარტალში მხოლოდ 60 პროცენტით დააფინანსა სამხედრო ძალები. ნისიად კი ნატო-ში ჯერ არც ერთი ქვეყანა არ მიუღიათ.

# გოსდუმაში საქართველოს 350 მოწინააღმდეგე და სამი მომხრე ჰყავს

პირველი გვერდიდან

კერძოდ, საქართველოში აშშ-ს სამხედრო ძალების ყოფნა რუსეთის უშიშროების სისტემას საფრთხით ემუქრება. ამასთან, ბატონი ჩეხოევის ერთი არგუმენტი ისიცაა, რომ **"ამერიკელი სამხედროების თავისუფალი გადაადგილება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საზღვრების სიახლოვეს, პირველ რიგში, ამ რესპუბლიკების წინააღმდეგაა მიმართული".**

**"ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ორი არაღიარებული რესპუბლიკაა, რომლის მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტს დღეს რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული. ამ რეგიონში ამერიკის სამხედრო გააქტიურება პირდაპირ ეხება რუსეთის ინტერესებს",** - ბრძანა ჩეხოევმა. ამის მერე მან გეოგრაფიაც გაიხსენა და დაუშვებელი უწოდა ვლადიკავკაზთან 40 კმ-ით აშშ სამხედრო ინსპექტორების მიახლოების ფაქტს.

შემდეგ პარლამენტარებმა მოისმინეს ის შესწორებები, რაც რუსეთის პარლამენტის უშიშროების კომიტეტმა შეიტანა განცხადების ახალ ტექსტში, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების ზონად აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გამოცხადებაზე ხელისუფლების წინაშე საკითხის კატეგორიული ფორმით დაყენება ნაადრევია. განცხადების საბოლოო ტექსტიდან ამოღებული იქნა რუსი პარლამენტარების რადიკალურად განწყობილი ჯგუფის ინიციატივით დაფიქსირებული ფრაზა, რომ **"რუსეთი იტოვებს უფლებას, გადახედოს საკუთარ პოზიციებს რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოქცეული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებში ძალთა დარღვეული ბალანსის შესანარჩუნებლად".**

რუსეთის პარლამენტის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის ახლადდანიშნულმა თავმჯდომარემ კოკოშინმა განცხადა, რომ რუსეთისათვის მთავარი პრიორიტეტი იქნება, საქრთველოში აშშ-ს სამხედრო ძალების პარალელურად, რუსეთის შეირაღებული ძალებისათვის თანაბარი უფლებების შექმნაც.

**"ამ განცხადებამ ხელი უნდა შეუწყოს მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას, შეიარაღებული ძალების ადაპტაციაზე დღემდე მიღებული შეთანხმებების გათვალისწინებით,"** - განაცხადა ანდრეი კოკოშინმა.

განცხადების განხილვას ასეთი კომენტარებიც მოჰყვა: **"იმ პირობებში, როცა საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლების სიტყვა და საქმე ერთმანეთს შორდება, სერიოზული საფრთხე ემუქრება ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობაზე ახალი ჩარჩო ხელშეკრულების მომზადების პროცესს."** როგორც რუსეთის პარლამენტის ექსპერტები ვარაუდობენ, ამას გოსდუმა საქართველოს ხელისუფლებაზე სერიოზული ზეწოლის ბერკეტად გამოიყენებს.

კენჭისყრის წინ დარბაზში კვლავ შემოვიდა დამშვიდებული სპიკერი და პარლამენტის სამი წამყვანი კომიტეტის მიერ მომზადებული განცხადების ტექსტი კენჭისყრაზე დააყენა. სხდომათა დარბაზი თითქმის ცარიელი იყო და ეს იმ დღეს, როცა, საქართველოს რომ თავი დავანებოთ, რუსეთის შეიარაღებულ ძალებზე ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ფედერალური მნიშვნელობის მეტად სერიოზული პროექტიც უნდა მიეღო. დეპუტატებმა კოლეგების პულტებით მშვენივრად ისარგებლეს და წინასწარ შეთანხმებული კენჭისყრის შედეგმაც არ დაახანა: 350 მომხრე, სამი წინააღმდეგი, ერთმა თავი შეიკავა. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, განცხადების ტექსტს მხარი არ დაუჭირეს მემარჯვენე ძალებისა და "იაბლოკოს" დეპუტუტებმა: ალექსანდრ იუშენკოვმა, ვიქტორ პახმელკინმა და ივან რიბაკოვმა.

რა შეიძლება მოჰყვეს შედეგად რუსეთის პარლამენტის ხსენებულ განცხადებას?

ამ შეკითხვაზე პასუხისას რუსეთის პარლამენტის საეთრაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ **დმიტრი როგოზინმა** აღნიშნა:

"ასეთი დოკუმენტის მიღება რუსეთის პრესტიჟის საქმე იყო. ჩვენ უნდა გავარკვიოთ, სურს თუ არა დღეს საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ ელიტას რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობები. თუ არ სურს, მაშინ ჩვენ სხვა, უფრო მკაცრი განცხადებები უნდა მივიღოთ. საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე რუსეთსა და საქართველოს გასაყოფი არაფერი აქვთ, ისევე, როგორც გასაყოფი არაფერი უნდა გვქონდეს ამერიკასთან. ამდენად არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენ კვლავ უნდა გავააქტიუროთ ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის დაწყებული კარგი დიალოგი, შეიძლება აუცილებელი გახდეს ჩვენი პრეზიდენტების მორიგი შეხვედრაც."

იმავე შეკითხვაზე პასუხისას, პარლამენტის ვიცე-სიპკერი ვლადიმირ ლუკინი მისთვის დამახასიათებელი ირონიული სტილით პასუხობს, რომ **"შემდეგ საქართველომ და რუსეთმა ისევ კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე უნდა იფიქრონ".**

**"ამ განცხადების მიღებაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ,** -აცხადებს ანდრეი კოკოშინი, - **ამ დოკუმენტის მიხედვით, რუსეთი, საქართველო და ამერიკა პარტნიორები არიან, ოღონდ ორი ქვეყნის დიპლომატიასა და სამხედრო წრეებს დღეიდან მოუწევთ მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების შეჯერება, რათა ვინმეს ეროვნული ინტერესები არ დაიჩრდილოს."**

შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ დღეს რუსეთის პარლამენტში საღმა აზრმა გაიმარჯვა და აფხაზეთ-სამაჩაბლო რუსეთის კუთვნილ ტერიტორიებად არ გამოცხადდა? - ამ შეკითხვაზე რუსეთის მემარჯვენე ძალთა ერთ-ერთი ლიდერი ირინა ხაკამადა პასუხობს: **"მე უფრო მაფიქრებს ჩემი ქართველი კოლეგების გაუცხოება. იმაში კარგს ვერაფერს ვხედავ, რომ აშშ-სთან დაახლოება აუცილებლად რუსეთთან კონფრონტაციის თანხლებით უნდა მოხდეს. სტრატეგიულ საკითხებში ჩვენ პარტნიორები უნდა ვიყოთ."**

საქართველო-აშშ სამხედრო თანამშრომლობაზე რუსეთის პარლამენტში მიღებული განცხადების ტექსტი ძალაში შევიდა. იგი რუსულ პრესაში გამოქვეყნდება და განსახილველად უკვე გადაეგზავნა რუსეთის ხელისუფლებასა და პრეზიდენტს.

როგორი იქნება ვლადიმირ პუტინის შემდეგი ნაბიჯები? - ამ შეკითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს. არსებობს მხოლოდ დღევანდელი "დღის გმირის", ანატოლი ჩეხოევისა და რუსეთის პარლამენტის დანარჩენი "ქორების" ამაყი განცხადება, რომ "ამ საკითხის განხილვაზე მთავარი ვიზა კრემლიდან წამოვიდა".

# სოხუმში ხელისუფლების სისტემური კრიზისი მძაფრდება



ვლადისლავ არძინბა



ანრი ჯერგენია

პირველი გვერდიდან

მოულოდნელად, ულტიმუტურ ფორმაში მოსთხოვეს პრეზიდენტს გადააყენოს მთავრობა და დაიწყოს სახელისუფლებო სტრუქტურათა რეფორმირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, "ამცახარა" საერთო სახალხო ყრილობის მოწვევით დაიმუქრა.

მოსახლეობისადმი სპეციალურ მიმართვაში, არძინბამ ეს ვითარება **"საკონსტიტუციო წყობის დამხობისაკენ მოწოდებად"** შეაფასა. **"არ უნდა დავიყვანოთ აფხაზეთის პოლიტიკური სისტემა სამხედრო დემოკრატიის პირველყოფილ სტადიამდე, როდესაც პრეზიდენტები და პრემიერები შეხვედრებსა და მიტინგებზე ირჩევა",** - განაცხადა მან.

თუმცა კაბინეტის შემდგომმა გადადგომამ მუქარის სერიოზულობა დაადასტურა. აფხაზურ ისტორიაში, საერთო სახალხო ყრილობებს მოსახლეობის თავისებური რეფერენდუმის როლი ენიჭებოდა. როგორც წესი, ასეთი მასშტაბური მიტინგები იშვიათად, დაახლოებით ათ წელიწადში ერთხელ ეწყობოდა. ისინი საბჭოთა დროსაც ტარდებოდა და ხშირად, მიტინგებზე გაჟღერებული მოთხოვნები სახელმწიფოს პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. ყრილობებზე კონცენტრირებული საზოგადოებრივი აზრი გამოიხატებოდა და ხელისუფლება იძულებული იყო, მისთვის ანგარიში გაეწია და, არც თუ იშვიათად, დათმობებზეც წასულიყო.

გასული ორი კვირის განმავლობაში არც ერთ მხარეს უკიდურესი ზომებისათვის ჯერ არ მიუმართავს. ოპოზიცია პრეზიდენტის შემდგომი ნაბიჯების მოლოდინშია, რაც პირველ რიგში ახალი პრემიერის დანიშვნაში უნდა გამოიხატოს. ამასთანავე, იგი აცხადებს, რომ მთავრობის შეცვლა საკმარისი არ არის და სრულმასშტაბიანი რეფორმის დრო დადგა.

1994 წელს მიღებული კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა - პრემიერს და მთავრობას პრეზიდენტი პარლამენტთან შეუთანხმებლად ნიშნავს.

**"ეს კონსტიტუცია ერთ ადამიანზე - ვლადისლავ არძინბაზე იყო მორგებული და ითვლებოდა, რომ იგი მხოლოდ გარდამავალი პერიოდისთვისაა აუცილებელი. მაგრამ ეს პერიოდი ძალიან გაჭიანურდა,"** - მიაჩნია "ამცახარას" ერთ-ერთ ლიდერს გარი სამანბას.

აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილების გადანაწილების იდეა აფხაზეთისთვის ახალი არ არის. უკანასკნელ დრომდე ერთადერთი ოპოზიციური მოძრაობა "აიტაირა" უკვე რამდენიმე წლის მანძილზე ითხოვს მოქმედ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას და მმართველობის საპრეზიდენტო-საპარლამენტო ფორმაზე გადასვლას, რომლის დროსაც პარლამენტი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მთავრობის ფორმირებაში.

"აიტაირას" ლიდერი ლეონიდ ლაკერბაია მიიჩნევს, რომ ხელისუფლების არსებული ვერტიკალი მომავალში გაუთვალისწინებელ შედეგებს მოიტანს. **"თუ არძინბა თავისი ავტორიტეტის წყალობით ახერხებდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებას, მისი მემკვიდრე, რომელიც თანასწორთა შორის ერთ-ერთი იქნება, ამ უფლებამოსილებებს ვერ გაუმკლავდება,"** - ამბობს ლაკერბაია.

მაგრამ პრეზიდენტი არძინბა მიიჩნევს, რომ ყველაფერი ეს ემსახურება ცალკეულ პოლიტიკოსთა სურვილს, ვეტერანების მეშვეობით შემდგომში პრეზიდენტის სავარძელს დაეუფლონ. **"ის პოლიტიკური მოძრაობები, რომლებმაც ხალხის მხარდაჭერა დამოუკიდებლად ვერ მოიპოვეს, ცდილობენ, "ამცახარა" ხელისუფლებისკენ გზის გაკაფვისათვის გამოიყენონ. სამწუხაროდ, ამას ბევრი ვერ ხვდება,"** - განაცხადა მან.

არძინბას კონკრეტული პიროვნეები არ დაუსახელებია, მაგრამ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში მიიჩნევენ, რომ საუბარი პირველ რიგში ანრი ჯერგენიაზეა, რომელიც პრემიერობიდან მისი პოპულარობის ზენიტში გადააყენეს. იმის მიუხედავად, რომ ჯერგენია გადადგომის შემდეგ მოსკოვში გადავიდა, კრიზისის მთელი პერიოდის მანძილზე იგი აფხაზეთში, საგვარეულო მამულში, სოფელ ლიხნში იმყოფებოდა, თუმცა ხალხს არ ენახვებოდა.

ანრი ჯერგენია "ამცახარას" ცნობილ ყრილობაშიც მონაწილეობდა, თუმცა მოძრაობის ლიდერები მასთან ყოველგვარ კავშირს უარყოფენ. **"ჯერგენია "ამცახარას" წევრი არ არის და ყრილობას სტუმრის სტატუსით ესწრებოდა, როგორც პიროვნება, რომელსაც ჩვენი სახელმწიფოს ათწლიანი დამოუკიდებელი არსებობის მთელი პერიოდის ანალიზი შეუძლია,"**- ამბობს "ამცახარას" პოლიტსაბჭოს აღმასრულებელი მდივანი ჰარი აიბა.

ამავე დროს, ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის გაჭიანურების მიუხედავად, პრემიერის სავარძლის დაკავებას ამ სიტუაციაში არავინ ჩქარობს. ადგილობრივ ანალიტიკოსთა აზრით, ყველაზე რეალურმა კანდიდატებმა - თავდაცვის მინისტრმა რაულ ჰაჯიმბამ და ენერგეტიკული კომპანია "ჩერნომორენერგოს" ხელმძღვანელმა სერგეი ბაღაფშმა ამ თანამდებობაზე უკვე საჯაროდ თქვეს უარი.

სხვა კანდიდატები არ სახელდება. ამის სანაცვლოდ გამოთქვამენ ვარაუდს, რომ პრეზიდენტს ახალი მთავრობის შექმნის თხოვნა ისევ გენადი გაგულიასთვის მოუწევს.

სავსებით მისაღებია, რომ ასეთმა გადაწყვეტილებამ ცვლილებების ინიციატორი ვეტერანებიც დააკმაყოფილოს, მთავრობაში რიგი პიროვნებების შეცვლის პირობით. **"მთავრობაში პატიოსანი და პატრიოტული განწყობილების ადამიანები უნდა მოვიდნენ. იქ დეზერტირების ადგილი არ არის,"** - ამბობს მრავალი მათგანი. ეს სიტყვები პირველი ვიცე-პრემიერის რუსლან არძინბას მისამართით არის ნასროლი, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებისთანავე საცხოვრებლად კანადაში გადავიდა.

მაგრამ "ამცახარა", როგორც ჩანს, არ აპირებს, უარი თქვას თავის ძირითად მოთხოვნაზე – ხელისუფლების რეფორმირებაზე. "აიტაირას", სახალხო პარტიის, დამოუკიდებელ პროფკავშირთა ფედერაციისა და პარლამენტის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერით, ამ დღეებში ვეტერანები სახალხო თანხმობის ფორუმის დაარსების იდეით გამოვიდნენ.

ფორუმის მომავალ დამფუძნებელთა ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ ის გახდება საკონსულტაციო ორგანო, რომელიც შეიმუშავებს შესწორებებს კანონპროექტებში პრეზიდენტის, პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ და ამ ცვლილებებს უახლოეს მომავალში განსახილველად წარუდგენს პარლამენტს.

ფორუმის შემდგომ გეგმებშია სპეციალური კომისიის შექმნა, ხელისუფლების ყველა შტოს, ყველა პარტიისა და მოძრაობის მონაწილეობით "აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის მიზნით, რომლებიც ხელს შეუწყობს ხელისუფლების ყველა შტოს შორის უფლებამოსილებათა დაბალანსებულ გადანაწილებას".

**"დღევანდელ ხელისუფლებას არ შეუძლია შიდაპოლიტიკური დიალოგის წარმოება და დაგროვილ პრობლემებზე მსჯელობა. ჩვენი მოსმენა არავის სურდა, სანამ ვეტერანების სახით რეალური ძალა არ გაჩნდა,"** - ამბობს "აიტაირას" პოლიტსაბჭოს წევრი ვადიმ სმირი.

რესპუბლიკის ყოველდღიურ ცხოვრებაზე კი შიდაპოლიტიკურ პერიპეტიებს გავლენა არ მოუხდენია. **"ჩემთვის პრინციპში სულ ერთია, ვინ გახდება პრემიერი, ოღონდ ახლანდელი სიტუაცია ადგილიდან დაიძრას: მთავრობის შეცვლამ უკვე ხელფასის ერთკვირიანი დაგვიანება გამოიწვია და მე ვაჭრობა გამიუარესდა, რადგან ჩემი კლიენტების უმრავლესობა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები არიან,"** -–ამბობს პავლე, მთავრობის ერთ-ერთ შენობასთან მდებარე ხილბოსტნეულის ფარდულის მეპატრონე.

## აფხაზები შეშინდნენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწის ასტამურ ტანიას განცხადებით, თბილისმა შესაძლოა აფხაზეთში შექმნილი არასტაბილური საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გამოყენება სცადოს. მისი თქმით, შეშფოთების საფუძველი ნამდვილად არსებობს, მაგრამ ქართველმა პოლიტიკოსებმა აფხაზეთში დაძაბულობის დონის შეფასებისას არ უნდა გადაამეტონ.

მისი ვარაუდით, აფხაზეთის პრეზიდენტი, რომელსაც კონსტიტუციით მთავრობის სამი თვის ვადაში ფორმირების უფლება აქვს, ახალი პრემიერ-მინისტრის ვინაობას უკვე მიმდინარე კვირას დაასახელებს, რის შემდეგაც კრიზისი მთლიანად მოგვარდება.

**"აფხაზეთის შიგნით არანაირი შეიარაღებული დაპირისპირება არ იქნება",** განაცხადა ასტამურ ტანიამ. ტანია აცხადებს, რომ მიმდინარეობს კონსულტაციები მთავრობის პერსონალურ შემადგენლობასთან დაკავშირებით.

იგი არ გამორიცხავს, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი და ინტრიგანი რეზერვისტების პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებას შეეცადოს. ნებისმიერ შემთხვევაში, აფხაზეთის დამოუკიდებლობის იდეაზე უარს არ იტყვის არც ერთი პოლიტიკური ძალა, მათ შორის "ამცახარა", განაცხადა მან. **პრაიმ-ნიუსი**

## "ენგურჰესი" სასამართლომ უარით გაისტუმრა

გიორგი გახელაძე

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა საკასაციო პალატამ შპს "ენგურჰესის" კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა. საქართველოს უდიდეს ჰიდროელექტროსადგურს მანამდე თბილისის საოლქო სასამართლომაც უარი უთხრა სემეკ-ის იმ დადგენილების შეჩერებაზე, რითაც სამომხმარებლო ტარიფებიც შემცირდა და მასში ენერგოკომპანიების წილიც. ელექტროგენერაციის სხვა ობიექტებისაგან განსხვავებით, "ენგურჰესს" ყველაზე მეტად - 30 პროცენტით შეუმცირდა წილი ტარიფში. მოპასუხე სემეკ-ის იურისტი თამაზ ინაშვილი აუღელვებლად უთითებდა საკონსტიტუციო სასამართლოსკენ და იქაური გადაწყვეტილების სავალდებულო, მაგრამ ეკონომიკურად მიზანშეუწონელ შესრულებას მშვიდად აღიარებდა.

სანამ მოსამართლეები ყველასათვის მოსალოდნელ გადაწყვეტილებაზე თათბირობდნენ, "ენგურჰესის" წარმომადგენელს ტელეკამერების შუქზე დაგეშილი ლეიბორისტები თავს დაესხნენ. "დადგენილების შეჩერება მხოლოდ თქვენს ნაწილში მოითხოვეთ, მოსახლეობის გადასახდელ ტარიფს კი თავი გაანებეთ," - ცივი ხმით კიოდა გიორგი გუგავა. არადა, რამდენიმე წუთით ადრე ფრიდონ ინჯიამ მოსამართლეს მათი აზრის გამოხატვის უფლება რომ სთხოვა, დასაბუთებული უარი მიიღო.

სასამართლოს სხდომის მსვლელობისას გაირკვა, რომ "ენგურჰესს" საკუთარი ზარალისა და ევრობანკის რეაბილიტაციის პროგრამის შესაძლო ჩაშლის თაობაზე სემეკ-ში ადმინისტრაციული წესით საქმე განუხილია. ჩანს, სწორედ ასე მოხდება ჰიდროელექტროსადგურის ინტერესების დაცვა.

### მოკლედ

**თბილისი.** გუშინ, 13.30 საათზე, ძლიერმა ქარმა ისევ გამორთო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ენერგოსისტემების დამაკავშირებელი "იმერეთის" გადამცემი ხაზი. ხაზის აღდგენა და ნულზე დამჯდარი სისტემის დატვირთვა ენერგეტიკოსებმა ავარიიდან ნახევარ საათში დაიწყეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მიწის ბაზრის განვითარების პროექტი, რომელიც საქართველოში USAID-ის დაფინანსებით 1997 წელს დაიწყო და რომელიც სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას ითვალისწინებს, მიმდინარე წლის ზაფხულისთვის დასრულდება. პროექტი საქართველოს 51 რაიონში ხორციელდება. ამჟამად საკადასტრო ინფორმაციის დამუშავება ყვარლის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს და თელავის საკრებულოებში მიმდინარეობს. მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის ინფორმაციით, ამ დროისათვის რეგისტრირებულია 2 322 713 მიწის ნაკვეთი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო დეპარტამენტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მონაწილეობით დაამთავრა მუშაობა საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2004 წლის ინდიკატური გეგმის პროექტის საპროგნოზო გაანგარიშებებზე, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფორმირება. **"24 საათი"**

### მონიტორინგი

## "მსხვილი ბიზნესი დაწესებულ გადასახადებს არ იხდის!"

### ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები

ფინანსთა სამინისტროს ჯერაც არ გამოუქვეყნებია ნაერთი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსავლების შესრულების საბოლოო მაჩვენებლები, რაც კარგს არაფერს უნდა ნიშნავდეს; ამიტომ N1 ცხრილში წარმოდგენილია ოპერატიული ინფორმაცია 16 აპრილისათვის.

საინტერესოა, რომ საშემოსავლო გადასახადის გეგმა 80.6 პროცენტით არის შესრულებული, ხოლო სოციალური ანარიცხების გეგმა კი 98.3 პროცენტით, თუმცა ორივე გადასახადს ერთნაირი ბაზა აქვს. **ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს – სოციალური ანარიცხების პირველი კვარტლის გეგმა წინასწარი გადახდებით არის შესრულებული.**

მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების გადასახადის პირველი კვარტლის გეგმა შესრულებულია 41.9 პროცენტით, აქციზების პირველი კვარტლის გეგმა კი 66.5 პროცენტით და ეს მაშინ, როცა დღგ-ს გეგმა შესრულებულია 102.7 პროცენტით. ეს არის გადასახადები, რომელსაც მსხვილი ბიზნესი უნდა იხდიდეს. ამ გეგმებს შორისაც უნდა არსებობდეს გარკვეული კორელაცია, რადგან მავნე ნივთიერებებით დაბინძურების გადასახადი დაწესებულია ნავთობპროდუქტების იმპორტზე და მასზევეა დაწესებული აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადიც. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ დაგეგმვის დროს დიდი შეცდომები იყოს გაპარული. **ჩვენ კვლავ მივდივართ სამწუხარო დასკვნამდე – მსხვილი ბიზნესი დაწესებულ გადასახადებს არ იხდის! თუმცა უარს არ ამბობს გადასახადების წინასწარ გადახდებზე.**

ადგილობრივი გადასახადების პირველი კვარტლის გეგმის 366.2 პროცენტით შესრულება, ძირითადად, აჭარაზე უნდა მოდიოდეს და, ალბათ, ცენტრალური და რეგიონის ხელისუფლების მოლაპარაკებების შედეგი უნდა იყოს.

**თუ ასე გაგრძელდა, შემოსავლების შესრულება დამკვიდრებული მავნე მექანიზმების – "პრაკრუტკებისა" და წინასწარი გადახდების გამოყენებითაც კი გაჭირდება, მით უფრო - მოახლოებული არჩევნების ფონზე და იმის გათვალისწინებით, რომ "შემოსავლების მომტანი ხარჯები" ბიუჯეტში პრაქტიკულად იწურება.**

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

| დასახელება | პირველი კვარტალი | | |
|---|---|---|---|
| | გეგმა | ფაქტი | % |
| შემოსავლები და გრანტები | 332,448.0 | 319,296.0 | 96.0% |
| სულ შემოსავალი | 324,748.0 | 312,046.0 | 96.1% |
| საგადასახადო შემოსავალი | 300,587.0 | 285,005.0 | 94.8% |
| საშემოსავლო გადასახადი | 37,628.0 | 30,312.0 | 80.6% |
| მოგების გადასახადი | 22,195.0 | 22,660.0 | 102.1% |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 108,445.0 | 111,330.0 | 102.7% |
| აქციზი | 26,431.6 | 17,590.0 | 66.5% |
| საბაჟო გადასახადი | 16,192.0 | 14,262.0 | 88.1% |
| მიწის გადასახადი | 5,290.0 | 3,893.0 | 73.6% |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი | 2,231.0 | 1,802.0 | 80.8% |
| ქონების გადასახადი | 7,682.0 | 9,928.0 | 129.2% |
| მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისთვის გადასახადი | 4,301.0 | 1,800.0 | 41.9% |
| ქონების გადაცემისთვის გადასახადი | 1,472.0 | 1,556.0 | 105.7% |
| ადგილობრივი გადასახადები | 1,380.0 | 5,053.0 | 366.2% |
| ფიქსირებული გადასახადი მსუბუქი ავტომობილების იმპორტზე | 1,426.0 | 1,410.0 | 98.9% |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 24,161.0 | 27,041.0 | 111.9% |
| გრანტები | 7,700.0 | 7,250.0 | 94.2% |
| | | | |
| საგადასახადო დეპარტამენტი | 147,506.7 | 145,552.0 | 98.7% |
| საბაჟო დეპარტამენტი | 87,166.9 | 76,044.0 | 87.2% |

### სახაზინო ვალდებულებათა განთავსება

თარიღი: 16.04.03

| აუქციონის N | 15 |
|---|---|
| ემისიის ვადა | 126 დღე |
| ემისიის ოდენობა | 5,000,000 |
| მოთხოვნა | 11,239,700 |
| დისკონტის პროცენტი | 36.54% |
| ბიუჯეტის შემოსავალი | 4,439,930 |
| დასაფარი თანხა | 5,000,000 |
| ბალანსი | -560,070 |

სპს „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები
ტელ.: 552151
ფაქსი.: 552101
ელ-ფოსტა: office@dvnk.ge
www.dvnk.ge

## "თურქეთის ავიახაზებს" შაქიკი "აირზენამ" გაუჩინა

გიორგი გახელაძე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტისა და ავიაკომპანია "თურქეთის ავიახაზების" დავა უზენაეს სასამართლოში 7 მაისს გაგრძელდება. საკასაციო პალატაში გუშინ თურქული ავიაკომპანიის სარჩელი იხილებოდა, რომელიც თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა. "თურქეთის ავიახაზები" არაფრით ცნობს საგადასახადოს მიერ მასზე დაკისრებულ მოგების გადასახადს. მართალია, ეს კონკრეტული საქმე 1996-97 წლებს მოიცავს და საუბარია 407 ათას ლარზე, მაგრამ "აქ პრინციპული საკითხია," - ამბობს საგადასახადო დეპარტამენტის საჩივრების განყოფილების გამგე ვალერი ხანიშვილი. იგი, თავის კოლეგებთან ერთად, დარწმუნებულია, რომ ამ საქმის მოგებით დღემდე დარიცხულ მოგების გადასახადსაც იოლად "ამოიღებენ". თანხა 17 მილიონ ლარამდე ადის, სახუმარო საქმე კი არ არის.

საგადასახადო დეპარტამენტის "მთავარი არგუმენტი" 1992 წელს საქართველოსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების "უკანონობაა", რადგან ის პარლამენტის მიერ რატიფიცირებული არ ყოფი-



ვალერი ხანიშვილი (მარცხნივ) და დიტო ქიტოშვილი

ლა. არადა, სწორედ ამ ხელშეკრულებით თავისუფლდებიან მხარეთა მიერ აღნიშნული ავიაკომპანიები მოგების გადასახადისგან, მათ შორის ქართული , 3-მილიონიანი კომპენსაცია მიიღო. თურქული ავიაკომპანიის ადვოკატმა დიმიტრი ქიტოშვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ ხსენებული საერთაშორისო ხელშეკრულების ასამოქმედებლად 1993 წელს მიღებული კანონი "საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციის შესახებ" აღარ ვარგოდა. მოკლედ, მთელ ამ საკანონმდებლო იწილო-ბიწილოში მოსამართლე ბადრი მეტრეველიცა და საგადასახადოს წარმომადგენლებიც ზეპირი მსჯელობით მივიდნენ დასკვნამდე, რომ ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით თუ რამეა სადავო, ეს პრეტენზიები საქართველოს პარლამენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროსკენ უნდა იყოს მიმართული, რომელთა ქმედებები 1992-1997 წლების სამართლებრივ სივრცეში ალოგიკურად ჩანს. სხდომის თავმჯდომარემ ბადრი მეტრეველმა ტყუილად არ მიმართა საერთაშორისო იურისპრუდენციის კაზუისტიკაში გახლართულ ვალერი ხანიშვილს: **"ეს საქმე თავისუფლად შეიძლება გახდეს ევროსასამართლოს განხილვის საგანი. ამაზე დაფიქრებულხართ?"**

"თურქეთის ავიახაზებს" საქართველოს "თავმოუბმელ" სახელმწიფოსთან ეს დავა იმდენად არ აღელვებს, რამდენადაც "აირზენასთან" გამართული მოლაპარაკებები პარიტეტულ რეისებზე. თავის მხრივ, სწორედ ამ მოლაპარაკების შედეგზეა დამოკიდებული თურქული ავიაკომპანიის ახალი სალიცენზიო განაცხადის შინაარსი - რეისები, სიხშირე, ტვირთბრუნვა და ა.შ. მათი ნამდვილი თავსატეხი ავიაბაზრის განაწილებაა. სწორედ ამიტომ, მოსამართლის თხოვნის მიუხედავად, ავიაკომპანიამ საქართველოს პარლამენტის ბოლო დადგენილებაზე ერთადერთი კომენტარი გააკეთა: **"ეს შიდასახელმწიფოებრივი საქმეა; თანაც, ჩვენ ამ დადგენილებით უშუალო ზიანი არ მოგვყენებია."**

## დღეიდან ურჩ გადამხდელებს საბანკო ანგარიშებს და ქონებას დაუყადაღებენ

პირველი გვერდიდან

ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე, სახელმწიფო მინისტრმა ფინანსთა მინისტრს დავალება მისცა: საბაჟო დეპარტამენტში შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად საკადრო ცვლილებები განეხორციელებინა. მინიშნება საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელზე, ალეკო ასლანიკაშვილზე ცალსახად კეთდებოდა. მთავრობის გუშინდელ სხდომაზე კი ავთანდილ ჯორბენაძემ ასლანიკაშვილი "პერსპექტიული ახალგაზრდის" კონტექსტში მოიხსენია და მის უწყებაში შექმნილ პრობლემებზე პასუხისმგებლობა დეპარტამენტის თანამშრომლებს დააკისრა. სახელმწიფო მინისტრმა დეპარტამენტში საკადრო ცვლილებების გატარება ახლა ალეკო ასლანიკაშვილს დაავალა, ასე რომ ჯოხი, როგორც ჩანს, წვრილ ჩინოვნიკებზე გადატყდება.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ხმაური საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის იასე ზაუტაშვილის მოხსენებამ გამოიწვია. ზაუტაშვილმა, დაპირებისამებრ, ის ორმოცდაათამდე ურჩი გადამხდელი ორგანიზაცია დაასახელა, რომლებსაც ბიუჯეტისადმი მილიონობით ლარის ოდენობის დავალიანება დაუგროვდათ. საგადასახადოს უფროსის განცხადებით, ამ კომპანიათა მთლიანი ვალი მილიარდ შვიდას მილიონ ლარს შეადგენს. იასე ზაუტაშვილი აცხადებს, რომ დღეიდან მათ მიმართ საგადასახადო კოდექსის 42-ე მუხლით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები ამოქმედდება, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიებს საგადასახადო ინსპექცია საბანკო ანგარიშებს დაუყადაღებს. ყადაღა დაედება მათ ქონებასაც, რომელსაც შემდეგ აუქციონებზე გაყიდიან. ამ გზით უახლოეს თვეებში ზაუტაშვილი ბიუჯეტში 50 მილიონი ლარის მობილიზებას გეგმავს. საგადასახადოს რისხვა შემდეგ კომპანიებს დაატყდებათ თავს: "კასტელი-საქართველო", "ეი-ი-ეს თელასი", "საფოსტო ბანკი", "მეგაკომი", "ტელერადიო ცენტრი", "ტელეკომი", "გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია, "საბითუმო ბაზარი", "გაზის საერთაშორისო კომპანია", "დინამოს სტადიონი", "თბილგაზი", "რიონჰესი", "ჭიათურმანგანუმი", "მადნეული", "კვარციტი", "თბილსრესი", "საქგაზი", "კასპიცემენტი", "ლაჯანურჰესი", "ლელო", "მზიური", "სამთო ქიმია", "რუსთავის აზოტი" "საქართველოს ეროვნული ზარაფხანა", "ასტრადიღომი", "თბილთამბაქო", "თბოელექტროცენტრალი", გამომცემლობა "სამშობლო", "ბათუმის თამბაქოს კომბინატი", "ბათუმვაჭრობა" და სხვ. ამათგან, განსაკუთრებით დიდი დავალიანება შემდეგ ორგანიზაციებს აქვთ: "კვარციტს" – რვა მილიონი ლარი, "დინამოს" სტადიონს" – რვა მილიონი ლარი, "ეი-ი-ეს თელასს" – ხუთი მილიონი ლარი, "კასტელს" – მილიონნახევარი ლარი. "რეპრესიების მსხვერპლთა" შორის რამდენიმე ისეთი კომპანიაა, რომელთა ხარჯზე, თავის დროზე, საგადასახადო დეპარტამენტი გეგმას ასრულებდა.

იასე ზაუტაშვილის მოხსენებას რამდენიმე მინისტრის საკმაოდ კრიტიკული გამოსვლა მოჰყვა. შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა საგადასახადოს უფროსისაგან იმ მექანიზმის ახსნა მოითხოვა, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მილიონობით ლარის დავალიანება დაუგროვდათ და ამ პროცესის შეჩერება გაცილებით ნაკლებ თანხებზე არ მოხდა. დავით თევზაძემ საგადასახადოს თანამშრომლები გადამხდელებთან უკანონო გარიგებებში დაადანაშაულა. **"გადასახადს კი არ მალავენ, არამედ არსებობს გარიგებები თქვენს მიერ დასახელებულ მეწარმეებსა და თქვენსავე კოლეგებს შორის,"** – მიმართა თევზაძემ ზაუტაშვილს. კიდევ უფრო მეტად აღშფოთებული ჩანდა ეკონომიკის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე, რომელმაც ფინანსთა მინისტრისაგან მოითხოვა, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მიმართ იძულებითი ღონისძიებების გატარება მასთან შეუთანხმებლად არ მოხდეს. როგორც ზემოთ ნახეთ, ურჩ გადამხდელთა სიაში ბევრი სახელმწიფო საწარმოა. გაჩეჩილაძე მიიჩნევს, რომ იძულებით ღონისძიებებს მხოლოდ დროებითი ფისკალური ეფექტი ექნება, ხოლო შემდეგ ეს წარმოების შეჩერებას გამოიწვევს. ამას გარდა, ეკომონიკის მინისტრი მიიჩნევს, რომ უმჯობესია, ფინანსთა სამინისტრო ასეთივე ძალისხმევით კონტრაბანდას ებრძოლოს. მირიან გოგიაშვილი კი ჯიუტად აცხადებს, რომ გადასახადების დამალვას არც სახელმწიფო ორგანიზაციებს შეარჩენს და არც კერძოს. ფინანსთა სამინისტროს იმედი აქვს, რომ ამ გზით საგადასახადო შემოსავლების გეგმის შესრულების ტენდენციას შეინარჩუნებს. ფინანსთა მინისტრის მისამართით კრიტიკული შენიშვნები კონტროლის პალატის თავმჯდომარემაც გამოთქვა. სულხან მოლაშვილის განცხადებით, გაცილებით მნიშვნელოვანია ის პრობლემა, რომ ბიუჯეტი წინასწარი გადახდებით და, რეალურად, მხოლოდ ქაღალდზე სრულდება.

მიუხედავად ამგვარი კრიტიკული შენიშვნებისა, პრეზიდენტმა შევარდნაძემ საგადასახადო დეპარტამენტის ინიციატივა მოიწონა, თუმცა, მოითხოვა, რომ ურჩი გადამხდელები მთავრობის სხდომებზე მოიწვიონ და მათაც მოუსმინონ. **"ვიღაცას, შეიძლება, გადახდილიც აქვს, მაგრამ იქ არ გადაუხდია, სადაც უნდა გადაეხადა,"** – აცხადებს პრეზიდენტი.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მოისმინეს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძის მოხსენება სავალუტო ფონდის მიმართ აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ. როგორც ისაკაძე აცხადებს, ვალდებულებათა უმეტესობა შესრულებულია, პრობლემად კი კვლავ ელექტროენერგიის ტარიფის ხელახალი გადაანგარიშება და აჭარიდან გადმოურიცხავი საბიუჯეტო თანხები რჩება. პრეზიდენტმა შევარდნაძემ განსაკუთრებული ყურადღება აჭარის საკითხზე გაამახვილა. **"რატომ უნდა იყოს აჭარა ჩვენთან ვალში? ჩვენ ვართ მასთან ვალში? რატომ არასდროს ახსენდებათ აჭარაში, რომ უპრეცედენტო შეღავათები მივეცით, მაგალითად, საბაჟო შემოსავლების 50 პროცენტს ადგილზე ვუტოვებთ,"** – კითხულობს პრეზიდენტი. ედუარდ შევარდნაძემ აქვე ცალსახად მიანიშნა, რომ კატეგორიული წინააღმდეგია სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ კანონის მიღებისა და, თუ პარლამენტი ამ კანონს მიიღებს, იძულებული გახდება, მასაც ვეტო დაადოს.

## „ბრითიშ მედითერანეან ეარვეიზი„ კიდევ ორ კვირას იფრენს

სოფიკო ოხანაშვილი

"ბრითიშ მედითერანეან ეარვეიზს" საქართველოში ფრენის უფლება ორი კვირით გაუგრძელეს. ამ ნებართვის მიხედვით, რომლის ვადაც 29 აპრილს იწურება, ავიაკომპანიას უფლება აქვს თბილისი-ლონდონის მარშრუტზე ორის ნაცვლად კვირაში სამი რეისი შეასრულოს. ამის შესახებ გუშინ სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან აკაკი ზოიძესთან და საგადასახადო სამსახურის უფროსთან იასე ზაუტაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში დებორა ბარნს ჯოუნსმა. იგი იმედოვნებს, რომ ორი კვირის განმავლობაში ქართული მხარის ინტენსიური მუშაობის ხელშეწყობით მხარეები ამ ეტაპზე არსებულ გაურკვეველ საკითხებს მოაგვარებენ და ოპტიმალურ შეთანხმებასაც მიაღწევენ. ელჩი ასევე იმედოვნებს, რომ ბრიტანული კომპანიის მიერ საქართველოს ბიუჯეტში 13 მილიონი ლარის გადახდის საკითხიც ორივე მხარის ინტერესთა გათვალისწინებით მოგვარდება. მისივე თქმით, ეს საკითხი უშუალოდ კომპანიისა და საგადასახადო სამსახურის გადასაწყვეტია.

დებორა ბარნს ჯოუნსმა ქართული ავიაკომპანია "აირზენასათვის" საკომპენსაციო თანხის გადახდასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს საკითხი კომპანიების მოსაგვარებელია; თუმცა იქვე ისიც დაამატა, რომ ეროვნული ავიაკომპანიისთვის კომპენსაციის გადახდა საჰაერო მიმოსვლის საერთაშორისო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული. ელჩის განცხადებით, "ბრითიშ მედითერანეან ეირვეიზმა" "აირზენას" ორივე მხარისთვის მომგებიანი კომერციული შეთანხმება შესთავაზა. მისი თქმით, ჯერჯერობით, უცნობია აღნიშნული პროექტისადმი "აირზენას" დამოკიდებულება. "ბრითიშ მედითერანეან ეირვეიზში" ქართული მხარის წინადადებებს ელიან.

დღეს ბრიტანეთის ელჩი მხარეებს შორის არსებული სადავო საკითხების მოგვარების მიზნით სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს შეხვდება.

## ავიაკომპანია „გერმანიის„ პრობლემები უკვე სამთავრობო დონეზე განიხილება

ნინო ნარჩემაშვილი

გერმანული ავიაკომპანია "გერმანია" საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტისაგან უკვე ორი თვეა, რაც მოითხოვს ფრანკფურტი-თბილისი-ფრანკფურტის მიმართულებით ორი დამატებითი რეისის განხორციელების ნებართვას. დეპარტამენტის ხელმძღვანელის ზურაბ ჭანკოტაძის პოზიცია მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უცვლელია. მისი აზრით, საქართველოს მომხმარებელს არ სჭირდება კვირაში ექვსი რეისი ფრანკფურტისა და დიუსელდორფის მიმართულებით, თანაც ავიაკომპანია "გერმანია" თავისი მომსახურების დაბალი ფასებითა და რეისების გრაფიკის დამთხვევით დიდ საფრთხეს შეუქმნის ეროვნულ ავიაგადამზიდავს. ჭანკოტაძის თქმით, რეისების გაზრდით "გერმანია" ქართული ავიაკომპანია "აირზენას" ჩაძირვას ცდილობს.

გერმანული ავიაკომპანიის პრობლემის მოგვარებაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო ჩაერთვნენ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით გერმანიის ელჩის უვე შრამის, მინისტრის პირველი მოადგილის დავით აფციაურისა და ზურაბ ჭანკოტაძის შეხვედრა გაიმართა. უვე შრამის განცხადებით, საქართველოს ოფიციალურ უწყებებს ჯერ კიდევ არ გაუცია ნებართვა ავიაკომპანია "გერმანიის" მიერ წარდგენილ განაცხადზე, რომელიც ეხება ორი დამატებითი რეისის განხორციელებას. ელჩის თქმით, ეს ფაქტი კანონმდებლობას ეწინააღმდეგება, რადგან საქართველოსა და გერმანიას შორის არსებული ორმხრივი შეთანხმება საჰაერო მიმოსვლის შესახებ მხარეებს ფრენის სიხშირის გაზრდის უფლებას აძლევს. მისი აზრით, საქართველოს საავიაციო ადმინისტრაციის მხრიდან ისედაც დაგვიანებული გადაწყვეტილების კიდევ უფრო გაჭიანურება უარყოფითად და საზიანოდ იმოქმედებს გერმანიასა და საქართველოს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებზე. გერმანიის ელჩის განცხადებით, სამგზავრო საშუალებების სიმრავლე ორივე ქვეყნის ინტერსებში უნდა შედიოდეს, ამიტომ ქართულმა მხარემ დადებითი გადაწყვეტილება დროულად უნდა მიიღოს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით აფციაური აცხადებს, რომ მსგავსი პრობლემების მოგვარებაში სამთავრობო სტრუქტურების ჩართვა ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან მათი გადაწყვეტა ეროვნული ინტერესებისა და ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. არსებობს კიდევ ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ვალდებული და პასუხისმგებელია, უზრუნველყოს მხარეებს შორის არსებული პრობლემის სამართლებრივი კუთხით გადაწყვეტა. რაც შეეხება გერმანიის საელჩოს პოზიციას, დავით აფციაურის განცხადებით, ეს ზოგადი შეშფოთების გამოხატულება გახლავთ, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან იგი თავისი ქვეყნის წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების ინტერესების დაცვას ემსახურება.

# ევროკავშირში ახალი ქვეყნები წევრიანდებიან

პირველი გვერდიდან



ევროსაბჭოს სამიტი ათენში იმართება

ევროპის გაფართოების აღმნიშვნელ სამიტზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები მძაფრი ურთიერთდაპირისპირების ფონზე ჩავიდნენ. როგორც ცნობილია, საფრანგეთი ომის ყველაზე თავგადაკლული მოწინააღმდეგეა, ბრიტანეთი კი – ბუშის პირველი მხარდამჭერი.

განსხვავებების მიუხედავად, ლიდერებმა მაინც შეძლეს ერაყის საკითხზე ერთობლივი განცხადების მიღება, რომელშიც ისინი მოითხოვენ, რომ ქვეყნის რეკონსტრუქციის პროცესში გადამწყვეტი როლი გაერო-მ შეასრულოს. მიმომხილველთა თქმით, სამიტზე, რომელიც გუშინ დაიწყო და დღეს დასრულდება, მხარეებს შორის შერიგების პირველი ნიშნები გამოჩნდა.

თუმცა, განხეთქილებამ სხვა საკითხში იჩინა თავი, ამჯერად - კავშირის დიდ და პატარა სახელმწიფოებს შორის.

ევროკავშირის საკონსტიტუციო კონვენციამ, რომელსაც საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ`ესტენი ხელმძღვანელობს, 20 ივნისამდე უნდა წარადგინოს ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტი, ამ პროექტით გაერთიანების მომავალი მოწყობის საკითხები უნდა განისაზღვროს.

ერთ-ერთი მოთხოვნა კავშირის პრეზიდენტის პოსტის შემოღებაა, რომელსაც 4 ან 5 წლის ვადით აირჩევენ. ამჟამად ევროკავშირის თავმჯდომარეს წევრი ქვეყნებიდან როტაციულ საფუძველზე ექვსი თვის ვადით ირჩევენ. პატარა ქვეყნები შიშობენ, რომ თუ პრეზიდენტის პოსტი შემოიღეს, მაშინ ამ თანამდებობაზე ყოველთვის დიდი ქვეყნების წარმომადგენლებს დანიშნავენ.

მეორე მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელზეც თანხმობა ასევე არ არის მიღწეული, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის შემოღებაა. მინისტრმა უნდა წარადგინოს კავშირი მესამე ქვეყნებთან ურთიერთობაში და უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებში კავშირის ერთიანი პოზიცია განასახიეროს. ამბობენ, რომ ამ პოსტის დაკავების დიდი სურვილი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, იოშკა ფიშერს აქვს.

შეხვედრის საზეიმო ნაწილი გუშინ დასრულდა, დღეს კი ევროკავშირის ლიდერთა არაფორმალური სამიტი უნდა გაიმართოს.

# შეიძლება, პაპი რუსეთს ეწვიოს



შესაძლოა, რომის პაპი იოანე პავლე მეორე აგვისტოში რუსეთს ეწვიოს. მისი ვიზიტი, სავარაუდოდ, ძალზე ხანმოკლე იქნება. მონღოლეთში მიმავალი პაპი ქალაქ ყაზანში, ალბათ, სულ რამდენიმე საათით შეჩერდება.

პაპმა ადრეც არაერთხელ გამოთქვა სურვილი, რუსეთს სწვეოდა, მაგრამ რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მას ამის საშუალება არ მისცა. ვატიკანსა და მოსკოვის საპატრიარქოს შორის ურთიერთობები ბოლო წლებში საგრძნობლად გაფუჭდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კათოლიკე სასულიერო პირებს რუსეთში ვიზებს აღარ აძლევენ. საპატრიარქო "წმინდა ტახტს" მორწმუნეთა გადაბირებაში ადანაშაულებს.

როგორც ანონიმმა წყარომ "როიტერს" განუცხადა, რუსეთში პაპის შესაძლო ვიზიტზე მუშაობა რამდენიმე თვეა, მიმდინარეობს. ჯერჯერობით, უცნობია, როგორ შეხვდება ამ ვიზიტს მოსკოვის საპატრიარქო და ჩავა თუ არა პაპი ყაზანში იმ შემთხვევაში, თუ მართლმადიდებლური ეკლესია ამ ვიზიტის წინააღმდეგი იქნება.

პაპი აპირებს, ამ ვიზიტის დროს რუსეთს დაუბრუნოს ამ ქვეყნის ერთ-ერთი უწმინდესი რელიქვია - ყაზანის ღვთისმშობლის ხატი. ხატი მე-16 საუკუნეშია შექმნილი. იგი 1904 წელს მოიპარეს. რამდენიმე ევროპული ქალაქის მოვლის შემდეგ იგი ვატიკანში აღმოჩნდა.

იოანე პავლე მეორეს, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სხვადასხვა კონფესიებსა და რელიგიებს შორის ურთიერთგაგებისა და შემწყნარებლობის დამყარებას, იმედი აქვს, რომ ხატის დაბრუნებით შეძლებს რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ურთიერთობების გაუმჯობესებას.

*როიტერი*

# რუსებს ევროპაში უვიზო მოგზაურობა სურთ

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, იგორ ივანოვმა ევროკავშირს რუსეთსა და ევროპას შორის უვიზო რეჟიმის დაწესების შესაძლებლობის განხილვა შესთავაზა. ლუქსემბურგში ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს სხდომის დროს, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სამუშაო ჯგუფის შექმნა მოითხოვა, რომელმაც საბოლოო ჯამში, რუსეთის მოქალაქეებისათვის ევროპაში შესვლაზე დაწესებული შეზღუდვების გაუქმება უნდა მოახდინოს.

რუსეთს ეს იდეა, დიდი ხანია, აწუხებს. ჯერ კიდევ გასულ წელს, ანალოგიური ინიციატივით თავად რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი გამოვიდა. მან ევროკავშირს რუსეთის მოქალაქეებისათვის ევროპაში შესვლაზე შეზღუდვების მოხსნა სთხოვა და თან დასძინა, რომ **"რუსეთი ამისათვის ბევრ რამეს გააკეთებს."** მაშინ, ევროკავშირის წარმომადგენლებმა ამ ინიციატივაზე საკმაოდ თავშეკავებული რეაგირება მოახდინეს. მათი თქმით, ამგვარი წინადადება, შესაძლოა, მხოლოდ შორეულ პერსპექტივაში იქნას განხილული.

ამჟამად, ეს საკითხი იგორ ივანოვმა კვლავ დღის წესრიგში დააყენა. მან ამავდროულად განაცხადა, რომ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღებამდე რუსეთმა მრავალი პრობლემა უნდა მოაგვაროს, მათ შორის, არალეგალური ემიგრაციის საკითხი. **"მაგრამ ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ მიზნისაკენ ერთად უნდა ვიაროთ"** - განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების შეფმა.

# საუდები სასულიერო პირებს პოლიტიკაში ჩარევას უკრძალავენ

საუდის არაბეთის მმართველმა ოჯახმა, რომელიც ქვეყანაში ანტიამერიკული განწყობის მოთოკვას ცდილობს, რამდენიმე მეჩეთის ღვთისმსახური გაათავისუფლა, ხოლო დანარჩენები გააფრთხილა, რომ ლოცვისა და ქადაგების დროს პოლიტიკური საკითხების განხილვისაგან თავი შეიკავონ.

საუდების კუთვნილმა ყოველდღიურმა გაზეთმა "აშარაფ ალ-ავსათმა" ოთხშაბათს ისლამური საკითხების მინისტრის შეიხ სალეჰ ბინ აბდულ-აზიზ ალ-შეიხის განცხადება დაბეჭდა, რომლის თანახმად, ზოგიერთმა სასულიერო პირმა თანამდებობა თავად დატოვა, ხოლო "ზოგიერთებს ამის შესახებ სთხოვეს".

"მქადაგებლებმა და სასულიერო პირებმა უფროს სწავლულებთან წინასწარ უნდა შეათანხმონ, ქადაგებისას რა საკითხებს განიხილავენ და რას - არა. ქადაგება პირადი აზრების გამოთქმის ადგილი არ არის," - აღნიშნა მან.

საუდების სამეფო ოჯახი ცდილობს, რომ ამ გზით, ერაყში წარმოებული ომისა და ისრაელის უპირობო მხარდაჭერის გამო, არაბებში არსებული ანტიამერიკული გამოსვლები აღკვეთოს.

"პოლიტიკურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება მართებული არ არის, რადგან სასულიერო პირები მიმომხილველები და ჟურნალისტები არ არიან", - განაცხადა შეიხმა.

მართალია, საუდელმა სასულიერო პირებმა ქადაგების დროს, ერაყში ამერიკის ომი რამდენჯერმე ახსენეს, მაგრამ ხელისუფლება ყველანაირად შეეცადა, რომ ლოცვისას ჯიჰადისაკენ მოწოდება არ გაჟღერებულიყო. საუდის არაბეთის მეზობელ სახელმწიფოებში ეს ყოველდღიურად ხდებოდა და სახალხო მღელვარებაც მეტი იყო.

საუდის არაბეთში ამერიკელთა ბაზაა განლაგებული. ამას გარდა, საუდები ნავთობით ამერიკის ყველაზე დიდი მომმარაგებლები არიან და მათ არ სურთ, მსოფლიოს ყველაზე ძლიერი და დიდი ბაზრის მქონე სახელმწიფოსთან საქმე გაიფუჭონ. მით უმეტეს ახლა, როდესაც რეგიონში ამერიკელთა შეიარაღებული ძალები არიან კონცენტრირებულნი.

ცოტა ხნის წინ, სამეფოს უმაღლესმა სასულიერო ლიდერებმა ბრძანება გამოსცეს, რომელიც არამუსლიმებზე ფიზიკურ თავდასხმას კრძალავს.

სამეფოზე დასავლეთი უზარმაზარ ზეწოლას ახორციელებს, რათა იქაურმა ხელისუფლებამ საგანმანათლებლო სისტემის რეფორმა დაიწყოს, სისტემისა, რომელიც დასავლელი პოლიტიკოსებისა და სწავლულების აზრით, ფუნდამენტალიზმს აღვივებს.

*როიტერი*

# კუჩმა სახალხო მღელვარებას უფრთხის

უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ, რომელსაც ერაყისათვის იარაღის უკანონო მიყიდვაში ედება ბრალი, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს – უმაღლეს რადას ტრადიციული ყოველწლიური მიმართვა გაუგზავნა. ლეონიდ კუჩმა აცხადებს, რომ 2004 წელს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარებისათვის ყველაფერს ილონებს.

აშკარაა, რომ კუჩმა, რომელსაც მეორე საპრეზიდენტო ვადა წელიწადნახევარში ეწურება, შიშობს, რომ არჩევნებამდე, შესაძლოა, მის წინააღმდეგ ახალი პოლიტიკური ბატალიები დაიწყოს. უკრაინის გაერთიანებული ოპოზიცია პრეზიდენტის ვადამდე გადადგომას ითხოვს. მათ პრეზიდენტის დაპირებების აღარ სჯერათ. კუჩმას საპარლამენტო მიმართვამდე რამდენიმე ხნით ადრე, უმაღლესი რადას ოთხი მთავარი ოპოზიციური ფრაქციების ლიდერებმა – ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმების დაწყების მოთხოვნის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

# ბაღდადში ცნობილი ტერორისტი დააპატიმრეს



დემონსტრაცია მოსულში

გუშინ აშშ-ს სამხედრო სპეცდანაყოფებმა ერაყში ვეტერანი პალესტინელი ტერორისტი დააპატიმრეს, რაც ვაშინგტონის თქმით, კიდევ ერთხელ ამტკიცებს სადამ ჰუსეინის მჭიდრო კავშირს საერთაშორისო ტერორისტულ დაჯგუფებებთან.

აშშ-ს სამხედრო ხელმძღვანელობის განცხადებით, ბაღდადში დაკავებულ აბუ აბასს, 1985 წელს იტალიური სამგზავრო გემის "აჩილე ლაუროს" გატაცებაში ედება ბრალი. **"სადამ ჰუსეინის რეჟიმსა და ტერორიზმს შორის კავშირის არსებობა დადასტურებულია,"** - აცხადებს აშშ-ს სამხედრო სარდლობის კატარში ბაზირებული შტაბის წარმომადგენელი კაპიტანი ფრენკ ტორპი.

აბუ აბასი, იგივე მოჰამედ აბასი, აშშ-ს სპეცრაზმმა სამხრეთ ბაღდადში ჩატარებული ოპერაციის დროს დააპატიმრა. აღსანიშნავია, რომ აბასი ბინ ლადენის "ალ ქაიდასთან" კავშირში შემჩნეული არ არის. თუმცა, აბუ აბასი ისრაელის წინააღმდეგ პალესტინელი ტერორისტების ერთი ჯგუფის ბრძოლას ხელმძღვანელობდა და თელ-ავივის წინააღმდეგ ოპერაციებს ერაყის ტერიტორიიდან გეგმავდა და წარმართავდა. პალესტინელი ტერორისტის გადაცემა უკვე მოითხოვა იტალიის ხელისუფლებამ, რამდენადაც სამგზავრო გემი "აჩილე ლაურო" იტალიის კუთვნილებაა. აბუ აბასს, ჯერ კიდევ 18 წლის წინ, იტალიის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა დაუსწრებლად მიუსაჯა. ამავდროულად, აბუ აბასის გათავისუფლება უკვე მოითხოვა პალესტინის ადმინისტრაციამ. პალესტინის ხელისუფლების განცხადებით, მოჰამედ აბასის დაპატიმრება უხეშად არღვევს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების მიზნით აშშ-ს მიერ მხრდაჭერილი გეგმის პირობებს, რომლის თანახმადაც პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის წევრები 1993 წლამდე ჩადენილი ქმედებებისათვის არ უნდა გასამართლდნენ. მიუხედავად ამისა, ნაკლებსავარაუდოა, რომ აშშ-მ თავისი მოკავშირის - იტალიის ინტერესების სანაცვლოდ, პალესტინის ხელისუფლების მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

პარალელურად, აშშ-ს საზღვაო ქვეითი ჯარის მებრძოლები ერაყის დედაქალაქში კონტროლს აძლიერებენ. ამერიკელები სადამ ჰუსეინის გარემოცვის წევრებს გამალებით ეძებენ. სადამის და მისი ორი ვაჟის - უდაის და ქუსაის გარდა, კოალიციამ ერაყის ხელისუფლების 55 წევრზე გამოაცხადა ძებნა. საქმის გასამარტივებლად, ამერიკელ და ბრიტანელ ჯარისკაცებს ძებნილი პირების გამოსახულებიანი სათამაშო ბანქოს ქაღალდები დაურიგდათ. გარდა ამისა, მოკავშირეები ბაღდადსა და სხვა ქალაქებში ცხოვრების ნორმალიზებას ცდილობენ, თუმცა, ჯერჯერობით, უშედეგოდ. ერაყის დიდი ტერიტორია კვლავ ელექტროენერგიის და სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი. ამასთანავე, ბაღდადსა და სხვა ქალაქებში აქა-იქ შემორჩენილი, სადამის გვარდიელები მოკავშირეთა ძალებს კვლავ ქაოტურ და არაორგანიზებულ წინააღმდეგობას უწევენ. პენტაგონის ოფიციალური პირების განცხადებით, ერაყში ჯერ კიდევ დარჩენილია სადამის ათი ათასამდე გვარდიელი, რომლებიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არიან მიმოფანტულები. მათ გვერდით უცხოელი ისლამისტებიც იმყოფებიან.

მაგრამ აშკარაა, რომ მათი წინააღმდეგობა კოალიციისათვის უკვე სერიოზულ საფრთხეს აღარ წარმოადგენს. პრეზიდენტ ბუშის განცხადებით, ერაყში აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის გამარჯვება აშკარაა, მაგრამ - არასაბოლოო.

■ ■ ■

გუშინ მოსულში გამართული საპროტესტო დემონსტრაციის დროს შვიდი ერაყელი მოკლეს. მსვლელობა იმ შენობასთან გაიმართა, სადაც ქალაქის ამერიკული ადმინისტრაცია განთავსდა. კოალიციის სამხედრო ძალების წარმომადგენლის, გენერალ ბრუკსის თქმით, დემონსტრანტებმა პირველებმა გაუხსნეს ცეცხლი ამერიკელ ჯარისკაცებს. მისი თქმით, საპასუხო ცეცხლის შედეგად, სულ ცოტა, შვიდი ერაყელი მოკვდა და რამდენიმე დაიჭრა. ადგილობრივი ლიდერები კი აცხადებენ რომ დემონსტრაცია მშვიდობიანი იყო და მისი დაწყება გუბერნატორის სასახლის შენობაზე ამერიკელების მიერ ვარსკვლავებიან-ზოლებიანი დროშის აღმართვამ გამოიწვია.

# აშშ და ჩრდილოეთ კორეა მოლაპარაკებებს გამართავენ

რევაზ ბახტაძე

მომავალ კვირას პეკინში ბუშის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირი ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების გასამართავად ჩავა.

დიპლომატიური ომი ვაშინგტონსა და ფხენიანს შორის გასული წლის ოქტომბერში დაიწყო, როდესაც დადასტურდა, რომ ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული პროგრამები განაახლა. "გარღვევა" გასულ კვირას მოხდა, როდესაც ფხენიანმა თავისი დაჟინებული მოთხოვნა შეცვალა, რომლის თანახმად, საკუთარი ბირთვულ პროგრამების განხილვას იგი შეერთებულ შტატებთან მხოლოდ ერთიერთზე აპირებდა. ჩინეთი დათანხმდა, რომ ორი ქვეყნის შეხვედრისათვის მასპინძლობა გაეწია და მოლაპარაკებებში მონაწილეობაც მიეღო.

აშშ-ის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ვაშინგტონი ჩრდილოთ კორეასთან მხოლოდ მრავალმხრივ ფორმატში აწარმოებს მოლაპრაკებებს, სადაც მონაწილეობას რეგიონის სახელმწიფოები (მათ შორის - ჩინეთი, სამხრეთ კორეა, იაპონია და რუსეთი) მიიღებენ. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ ჩინეთი ბუშს უშუალო მოლაპარაკებებზე უარის თქმის გამო აკრიტიკებდა. ვაშინგტონის ადმინისტრაციის განცხადებით, ისინი ჩრდილოეთ კორეელებს ცალკე მხოლოდ უფრო ფართო სამიტის ფარგლებში შეხვდებიან. როგორც ჩანს, ჩინეთი ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

გასული წლის ოქტომბერში, ამერიკის ადმინისტრაციის მიერ ფხენიანის ბირთვული პროგრამების გამოაშკარავების შემდეგ, ჩრდილოეთ კორეელებმა ბირთვული იარაღის ინსპექტორები ქვეყნიდან გამოყარეს და პლუტონიუმის რეაქტორის ამუშავება დაიწყეს, რომელიც 1994 წელს კლინტონის ადმინისტრაციასთან მიღწეული შეთანხმებით დაიხურა. ჩრდილოეთ კორეა აგრეთვე პირველი სახელმწიფოა, რომელიც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გამოვიდა.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მტკიცებით, ჩრდილოეთ კორეამ უკვე ერთი ან ორი ატომური ბომბი დაამზადა. ამას გარდა, ჩრდილოეთ კორეას კბილებამდე შეიარაღებული მილიონიანი არმიაც ჰყავს.

ბუშის ადმინისტრაციის წევრთა აზრით, ერაყში წარმატებულად ჩატარებულმა ოპერაციამ ფხენიანი დააფრთხო და "მოარჯულა". სწორედ ბაღდადის აღების შემდეგ გააკეთა ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელობამ განცხადება და ამერიკას მრავალმხრივი მოლაპარკებების დაწყება შესთავაზა.

გასულ წელს ჩრდილოეთ კორეა, ერაყთან და ირანთან ერთად, პრეზიდენტმა ბუშმა "ბოროტების ღერძის" სახელმწიფოთა შორის მოიხსენია. ექსპერტების აზრით, ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული პროგრამების განახლება სწორედ ამ განცხადებამ და ერაყთან დაწყებულმა კონფლიქტმა გამოიწვია. ფხენიანი დარწმუნებული იყო, რომ ერაყის შემდეგ მისი რიგი დადგებოდა.

შეერთებული შტატების დელეგაციას სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯეიმს კელი უხელმძღვანელებს, რომელიც გასული წლის ოქტომბერში ფხენიანს უკანასკნელად ეწვია. ამჟამინდელ შეკრებას სამხრეთ კორეისა და იაპონიის წარმომადგენლები არ დაესწრებიან. ბრიტანული "თაიმსის" ინფორმაციით, ჩინეთი იმედოვნებდა, რომ შეხვედრა საიდუმლო ვითარებაში ჩატარდებოდა.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლიუ ძიანჩაომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი მთავრობა მზად არის, ნებისმიერ გეგმას დაუჭიროს მხარი, რომელიც "პრობლემის მშვიდობიან მოგვარებას შეუწყობს ხელს".

თეთრი სახლის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირთა თქმით, ამერიკელები "რეგიონის ქვეყნებთან ერთად (განსაკუთრებით - ჩინეთთან და რუსეთთან) დიდი ხანია, რაც მუშაობენ", რათა შეხვედრა შედგეს.

"დღეს მზად არ ვარ, რომ შეხვედრის, ან მონაწილეთა სტატუსის თაობაზე რამე ვთქვა" - განაცხადა სახელმწიფო მდივანმა პაუელმა, - ერთადერთი, რაც დღესავით ნათელია, არის ის, რომ რომელ დონეზეც არ უნდა გაიმართოს მოლაპარაკებები და ვინც არ უნდა მონაწილეობდეს მასში, რეგიონის სახელმწიფოთა შეხედულებები რეალურად უნდა იყოს წარმოდგენილი".

## სენსაციური განცხადება

საერთაშორისო სამეცნიერო კონსორციუმის წარმომადგენლის განცხადებით მეცნიერთა თორმეტწლიანი შრომა, რომელზეც 2,7 მილიარდი დოლარი დაიხარჯა, წარმატებით დამთავრდა და ადამიანის გენეტიკური ინფორმაციის დაახლოებით 30 ათასამდე ერთეული გაიშიფრა. მეცნიერებმა მას სიცოცხლის წიგნი უწოდეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ საქმეში ლომის წილი შეიტანეს იმ სპეციალიზირებულმა ლაბორატორიებმა, რომლებიც მუშაობენ აშშ-ში, გერმანიაში, იაპონიაში, დიდ ბრიტანეთსა და ჩინეთში.

მეცნიერები უკვე ალაპარაკდნენ, მედიცინაში ახალი ერის დაწყებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელი გახდება დღემდე მოურჩენელი დაავადებების განკურნება.

*„24 საათი“*

## შევარდენიძე ბრალს სდებს

ჟურნალების "ფალავანისა" და "ცეკვის და სიმღერის" მთავარი რედაქტორი ზვიად შევარდენიძე 10 აპრილს საკუთარ სახლში გაჩენილ ხანძარს განზრახ ჩადენილ დანაშაულად აფასებს და მომხდარს საკუთარ საქმიანობას, კონკრეტულად კი, "მოჭიდავეებისა და ზოგადად სპორტის ამ სახეობის შესახებ გამოქვეყნებულ კრიტიკულ პუბლიკაციებს უკავშირებს".

თუმცა შევარდენიძე კონკრეტული სახელებისა და გვარების დასახელებისაგან თავს იკავებს და აცხადებს, რომ არ სურს გახდეს ვილაცის ბრმა იარაღი.

"სახლი რომ განზრახ არის დამწვარი, ამას ისიც მაფიქრებინებს, რომ შემთხვევის ადგილზე მოსულმა სახანძრომ ნივთმტკიცებები არ დალუქა, ხოლო ექსპერტიზის შედეგები გაყალბებულია. გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველო საქმის აღძვრაზე უარს აცხადებს და მომხდარს შემთხვევითობით ხსნის," - განაცხადა შევარდენიძემ გუშინ ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე.

*ინტერ-პრესი*

United Nations Development Programme

UNDP Georgia

UNDP

განცხადება

გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტი "ბიზნეს ინკუბაციის მხარდაჭერა" აცხადებს წინადადებების მიღებას ბიზნეს ინკუბატორისათვის ფართის საქირავებლად ორი წლით ქ. თბილისში. ფართი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- არანაკლებ 500 კვ.მ.
- მდებარეობა ცენტრალური გამზირი ან მიმდებარე ტერიტორია
- საკუთარი შესასვლელი

წინადადებები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ფასი (თვეში/წელიწადში)
- ელექტროგაყვანილობა/კომუნიკაციების არსებობა
- ფართის მისამართი
- მფლობელი ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობა
- ფართის ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერა

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს გაეროს განვითარების პროგრამის ოფისში (ერისთავის ქ. 9) 2003 წლის 1 მაისის სამუშაო დღის ბოლომდე. ის წინადადებები, რომლებიც უკვე წარმოდგენილი იყო გაზეთ "24 საათში" 18 და 20 იანვარს, გაზეთ "რეზონანსში" 17 იანვარს, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" 17 იანვარს, გამოქვეყნებული განცხადების საფუძველზე, გათვალისწინებული იქნება განხილვის დროს.

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი:

1

2

3

4

5

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## მეორე „ხუთწლედი„ ახალ ფაზაში შედის

მაკა ჯაიანი

*ურთიერთთანამშრომლობის მეორე ხუთწლიანი სამოქმედო პროგრამა, რომელიც, გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს მთავრობის შეთანხმებით, 2001 წელს დაიწყო, ახალ ფაზაში შედის. წელს, მისი შუალედური მიმოხილვა შედგება. ფონდში მიაჩნიათ, რომ ეს გაზრდის პროგრამის ეფექტურობას და უფრო ქმედითს გახდის მას.*



*პრეზენტაციაზე*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

რა თქმა უნდა, საქართველოს მთავრობა ბოლომდე იზიარებს ამ აზრს. გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) ათწლიანი თანამშრომლობა და ამ ხნის განმავლობაში მისი თანადგომით განხორციელებული პროგრამები სხვაგვარ რეაქციას თავისთავად გამორიცხავდა. ჩვენი ხელისუფლებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ამ ურთიერთობის შედეგი იყო ისიც, რომ გუშინ, შუალედური მიმოხილვის მიზნების პრეზენტაციაზე სასტუმრო "მარიოტში" მიწვეული სახელმწიფო კანცელარიის წარმომადგენლები თუ ალმასრულებელთა პირველი პირები UNICEF-ს უშურველად ემადლიერებოდნენ.

მეორე ხუთწლიანი პროგრამის ფარგლებში, ფონდი საქართველოში ხუთი ძირითადი მიმართულებით მუშაობს: დედათა და ბავშვთა კეთილდღეობა; ბავშვთა განვითარება; ახალგაზრდა თაობის ჯანდაცვა და განვითარება; ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ; სოციალური პოლიტიკის განვითარება. შუალედური მიმოხილვა, რომელზეც სპეციალურად შექმნილი ჯგუფები მიმართულებების მიხედვით კონკრეტულად იმუშავებენ, განვლილი ორნახევარი წლის შედეგებს შეისწავლის, გააანალიზებს მიღებულ გამოცდილებას და პროგრამის სრულყოფის გეგმას მოამზადებს.

გაეროს ბავშვთა ფონდში დღეს უკვე ლაპარაკობენ იმაზე, რომ კონფლიქტური ზონების ცალკე პროგრამა შემუშავდება. ეს ერთადერთი სიახლე არ იქნება მომავალ თანამშრომლობაში. ყოველ შემთხვევაში, UNICEF-ში აცხადებენ, რომ არსებული რესურსების ახალი საჭიროებისამებრ გადანაწილება წარმოუდგენელი სულაც არ არის. ამას საფუძვლად, შეიძლება, დაედოს ქალებისა და ბავშვების მდგომარეობის სიტუაციული ანალიზის უახლესი მონაცემებიც, რომელთა შეგროვებასაც ფონდი შუალედური მიმოხილვის პროცესში აპირებს.

## "სახალხო ფრონტი" ეროვნული სიწმინდეების სადარაჯოზე

ლენა მიქაძე

სახალხო ფრონტი ეროვნული სიწმინდეების დასაცავად, დაახლოებით, სამ კვირაში უკიდურეს ზომებზე გადავა. უკიდურეს ზომებში ფიზიკური ზემოქმედება იგულისხმება. სახალხო ფრონტის წარმომადგენლები ამგვარად აპირებენ, წინ აღუდგნენ იმ მშენებლობას, რომელიც კერძო პირმა 300 არაგველის მონუმენტის მიმდებარე ტერიტორიაზე წამოიწყო. ნოდარ ნათაძეს ჯერ ხელთ არ აქვს იურიდიულად დამტკიცებული დოკუმენტები, რომ ამ სკვერში, სადაც ახლა ებრაელმა ბიზნესმენმა სასტუმროს მშენებლობა წამოიწყო, ნამდვილად სამასი არაგველია დაკრძალული, მაგრამ ნათაძესა და მის თანამოაზრეებს ნამდვილად აქვთ არგუმენტი, რომელიც გუშინ ასე ჟღერდა: **"მოსიაშვილმა ყურადღება არ მიაქცია იმ ძვლებს, რომლებიც მშენებლობის დროს იარაღებს ამოჰყვა. მან სამშენებლო სამუშაოები გააგრძელა. ამ ადგილს ჯერ კიდევ აღა მაჰმად-ხანის მემატიანე მოიხსენიებს თავის მატიანეში. ქართველების გარდა, სხვა ვისი ძვლები უნდა ყოფილიყო? "არქეოლოგიური მასალის შესახებაც" არსებობს კანონი. ილია მოსიაშვილმა სწორედ ეს კანონი დაარღვია. არადა, მხოლოდ თიხის ნაკეთობებზე ხომ არ არის ახლა საუბარი, ეროვნული სიწმინდეების შეურაცხყოფაზეა".**



*ნოდარ ნათაძე*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინ ნოდარ ნათაძემ მასმედიის წარმომადგენლები იმის სათქმელადაც დაიბარა, რომ ისრაელის საელჩოსა და ამ ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს სამასი არაგველის სკვერში წამოწყებულ მშენებლობასთან კავშირი არ აქვთ. მართალია, საქართველოში ისრაელის ელჩის იულკა კოჰენის სახელზე ისრაელის ბიზნეს პალატის თავმჯდომარის სახელით წერილიც არის შესული, მაგრამ სახალხო ფრონტელები ამას დიდ ამბად არ მიიჩნევენ. წერილში პალატის თავმჯდომარე მოსიაშვილის მიერ წამოწყებული მშენებლობის კანონიერებას ამტკიცებს. გარდა ამისა, ამტკიცებს იმასაც, რომ თუ ამ მშენებლობას ხელი შეეშალა, მაშინ საქართველოში უკვე არც ერთი ბიზნესმენი აღარ ჩამოვა. ნათაძე თავად მოსიაშვილის მიერ საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილისადმი მიწერილ წერილსაც ამზეურებდა. როგორც ნათაძე აცხადებს, ერთი მხრივ, მოსიაშვილი იმ შენობის სავალალო მდგომარეობაზე საუბრობს, რომელიც მას მოვლის უფლებით გადაეცა. თუმცა, მეორე მხრივ, იმავე წერილში იმასაც აცხადებს, რომ შენობა, რომლის გადაკეთებაც მან გადაწყვიტა, კიდევ ოთხი სართულის დაშენებას თავისუფლად გაუძლებს... **"როგორც მოსიაშვილის, ისე ბიზნეს-პალატის თავმჯდომარის წერილები ინტელიგენციის პოზიციად ვერ ჩაითვლება. ეს ვაჭრუკანების პოზიციაა",** - ამშვიდებს საზოგადოებას ნათაძე.

სანამ ხელების გადაგრეხვაზე გადავიდოდნენ, სახალხო ფრონტის წარმომადგენლები, თანადგომის მოთხოვნით, საქართველოში ებრაელთა საზოგადოებას და რელიგიურ ცენტრს მიმართავენ. თუმცა, იმედია, საქმე აქამდე არ მივა. საკრებულოში რელიგიის საკითხთა კომისიამ, დაახლოებით, ერთი კვირის ვადაში 300 არაგველის სკვერში დაწყებული და დროებით შეჩერებული მშენებლობის საკითხი უნდა შეისწავლოს და დასკვნაც გაამზადოს.

## სასამართლო პროცესი არ შედგა

*ეროვნული საგანძურის გატანასთან დაკავშირებით 1999-2000 წლებში საზოგადოებაში მიმდინარე ხმაურიანი მოვლენები დღესაც არანაკლებ აქტუალურია. 1999 წელს სასამართლოში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ მიერ შეტანილი სარჩელი, ეროვნული განძის ანუ ოქროს ფონდის გატანის თაობაზე, დღესაც განიხილება მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში. ამჯერად, მოსარჩელე მხარემ მოთხოვნა უფრო გააფართოვა-საერთოდ შეჩერდეს ყველა ეროვნული მნიშვნელობის განძის გატანა, რასაც, მათი თქმით, დღესაც აქვს ადგილი.*

თეა ხოფერია

გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით დაგეგმილი სასამართლო პროცესი არ შედგა იმ მიზეზით, რომ მოპასუხეთა ადვოკატებს დამატებითი დრო სჭირდებათ საქმის შესასწავლად.

**"ეს არ არის ჩვეულებრივი ადმინისტრაციული დავა, საქმე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დავას ეხება. ჩვენ კარგად გვახსოვს თუ რა აჟიოტაჟი იყო შექმნილი ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე წლის წინ. თუკი მოსარჩელე მხარეს კიდევ ცოტაოდენი დრო სჭირდება საქმის გულდასმით შესასწავლად, სასამართლო პროცესს გადავდებთ,"** - განაცხადა მოსამართლე თამაზ ჯალიაშვილმა გუშინ კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში.

როგორც გვახსოვს, საქმე ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებში გრეგ გურივის მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე საქართველოს ეროვნული განძის, ოქროს ფონდის გატანას, რომელიც 1999-2001 წლებისათვის იყო დაგეგმილი. ოქროს ფონდის საზღვაგრეთ გამოფენაზე გატანის მომხრე არაერთი სახელმწიფო სტრუქტურა თუ ჩვეულებრივი მოქალაქე იყო. სასამართლოში კი მოსარჩელეს მოპასუხედ კონკრეტული სტრუქტურები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს.ჯანაშიას სახელობის სახლმწიფო მუზეუმი, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი და საქართველოს კულტურის სამინისტრო არიან დაფიქსირებულნი.

1999 წელს მოსარჩელე მხარემ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით (განძის გატანა, რომ შეჩერებულიყო დროებით), ყადაღის დადების მოთხოვნით სარჩელი საოლქო სასამართლოში შეიტანა, სადაც მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. განძის გატანაზე ყადაღის დადებამ, მართლმადიდებელი ეკლესიის ჩარევამ და ფართო საზოგადოებრივმა გამოხმაურებამ დაგეგმილი გამოფენა საერთოდ ჩაშალა. სასამართლოს კი აღნიშნული დავის განხილვა თავისთავად არ დასჭირდა.

**"ახლანდელი სარჩელის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მომავალში ეროვნული მნიშვნელობის განძის გატანა არ მოხდეს,"**-აცხადებს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" ერთ-ერთი ლიდერი თამარ ჩხეიძე.

**"არის მცდელობა ქართველი ხალხის გაძარცვისა, რაც სრულიად დაუშვებელია,"**- აღნიშნა სახალხო ფრონტის ლიდერმა ნოდარ ნათაძემ, რომელიც გუშინ სასამართლოში სწორედ აღნიშნულ პროცესს ესწრებოდა.

სასამართლო პროცესზე მოსული მოპასუხე მხარის წარმომადგენლები არ იზიარებდნენ მოსარჩელის განცხადებებს და საქმისადმი ასეთ მიდგომას პროვინციალიზმს უწოდებდნენ.

**"ეს არის აბსოლუტური უმეცრება, რასაც ეს საზოგადოება ამბობს. საერთოდაც აღმაშფოთებელია, რომ ასეთი საზოგადოებები საერთოდ არსებობს. ჩვენი ნივთების საზღვარგარეთ გატანა ეროვნული საქმეა. დღეს უკვე აღარცერთ მუზეუმს აღარ უნდა ჩვენთან ურთიერთობის დაჭერა,"**- აცხადებს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი ნოდარ ლომოური.

გუშინ კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოში არშემდგარი პროცესი 12 მაისს გაიმართება.

## „სტუდენტურმა დღეებმა" ქუჩაში გადაინაცვლა

*სტუდენტური დღეები კულმინაციური აღმოჩნდა იმისთვის, რომ საქართველოს რამდენიმე სტუდენტურ და ახალგაზრდულ ორგანიზაციას ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის წყალი შეეყენებინა.*

ირინე სანებლიძე

საქართველოს რამდენიმე სტუდენტურმა და ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ გუშინ დილით ალმაშენებლის გამზირი გადაკეტა. საქართველოში პროტესტის გამოხატვის ამ ფორმის არაეფექტურობის მიუხედავად, სტუდენტები მაინც გამოვიდნენ ქუჩაში და ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ზურაბ გაიპარაშვილის გადადგომა მოითხოვეს. ერთ-ერთი ორგანიზატორის თქმით, მათი "გაცეცხლება" "სამარცხვინო" სტუდენტურმა დღეებმა გამოიწვია. როგორც ჩანს, ცეცხლს ნავთიც დაესხა, რადგან მათ ზურაბ გაიპარაშვილის მიმართ არაერთი სერიოზული პრეტენზია და ბრალდება აქვთ. აქციის ორგანიზატორები გაიპარაშვილს ადანაშაულებენ ახალგაზრდობის ინიციატივების იგნორირებაში, პროგრამებისა და პროექტების არასრულყოფილებაში, ფინანსური და მატერიალური ბაზის არასწორ განაწილებაში, ახალგაზრდული სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობაში.

აქციის თავკაცები უფრო კონკრეტულ მიზეზებსაც ასახელებენ, თუ რატომ სურთ გაიპარაშვილის ამ თანამდებობიდან "გაპარვა". ისინი თვლიან, რომ ძეგლთა დაცვისთვის გამოყოფილი 20 000 ლარი, ისევე როგორც სტუდენტური დღეებისთვის განკუთვნილი 40 000 ლარი, "სასაცილოა". გარდა ამისა, აქციის ორგანიზატორებს მიაჩნიათ, რომ 2001 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მოვლენების შემდეგ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის შექმნილი დაძაბული სიტუაციისა და კონფლიქტის მოწესრიგება სწორედ ამ უწყებას უნდა ეთავა. უფრო მეტიც, ისინი გამოთქვამენ ეჭვს, რომ ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტმა ხელი შეუწყო ამ კონფლიქტის ესკალაციას.

"ვერც თვითონ გვივლის და არც საერთაშორისო ორგანიზაციებს უშვებს ახალგაზრდობის დასახმარებლადო", - კიდევ ერთი ბრალდება გაგვიმხილა ერთ-ერთმა აქტივისტმა.

"სახელმწიფოში რაღაც ლოგიკა ხომ უნდა იყოს... რა საერთო უნდა გვქონდეს ჩვენ, ახალგაზრდებს, 43 წლის კაცთან?!" - ცხარობდა მეორე.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა პოზიციები ამ შემთხვევაშიც გაიყო: როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქციას ესწრებოდა საქართველოს სტუდენტური და ახალგაზრდული ორგანიზაციების მხოლოდ ნაწილი. აქციაში მონაწილეობა არ მიიღეს აგრარული უნივერსიტეტის, სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის, უცხო ენების, თბილისისა და სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთმა სტუდენტურმა და ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ.

აქციაზე წესრიგის დამცავი ფორმიანები თუ უფორმოები იქვე, შორიახლოს იდგნენ. თავდაპირველად მათმა უფროსებმა აქციის უფროსებს სთხოვეს, ხალხი სამსახურში მიდის, ოღონდ ქუჩას ნუ გადაკეტავთ და, რაც გინდათ, ის ქენითო. თხოვნამ რომ არ გაჭრა, ცოტა ხანს აცადეს და მერე სტუდენტები მორიდებით მიმოფანტეს. ქუჩის გადაკეტვამ გამზირის მთლად პარალიზება არ გამოიწვია. აქცია გაგრძელდა მანამ, სანამ ერთ-ერთი აქტივისტი პრეზიდენტის სახელზე დაწერილ ღია წერილს, რომელშიც აქციის ორგანიზატორები, ძირითადად, გაიპარაშვილის მიერ "დაკავებული სიცარიელის შევსებას მოითხოვენ", ხმამაღლა კითხულობდა.

## ცოტაც მოითმინეთ!

პატივცემულო თბილისელებო, გუშინ გაირკვა, რომ უფასო სასწრაფო დახმარებამდე მხოლოდ ორი თვე გვაცილებს. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა დავით პავლიაშვილმა. თქვენ აღარ უნდა შეგეშინდეთ ქუჩაში ცუდად გახდომის, ვინაიდან "03" აუცილებლად მოვა და უფასოდ მოგემსახურებათ; ხოლო თუ 16 წლამდე, ან 65 წლის ზემოთა ასაკის ბრძანდებით, მაშინ "03" უფასო გამოძახება ბინაზეც დაუბრკოლებლად შეგეძლებათ. რაც შეეხება დანარჩენ, 16-დან 65 წლამდე ასაკი მოქალაქეებს, მათ "03"-ის სამჯერ უფასო გამოძახების უფლება მიეცემათ.

ამ პროგრამის დაწყებამდე, რომელიც ძალაში წლის ბოლომდე იქნება, განახლდება "03"-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 20 ახალი მანქანითა და სამედიცინო აპარატურით.

საქალაქო სამსახური მომსახურების მაღალ ხარისხზეც იზრუნებს და ყოველ საჭვო შემთხვევას დეტალურად გაარჩევს. იმისათვის, რომ ექიმებს სხვა დაინტერესება არ ჰქონდეთ, მათი ხელფასი 100 პროცენტით გაიზრდება და ფიქსირებული გახდება, არ იქნება დამოკიდებული შესრულებული გამოძახების რაოდენობაზე.

ახლა საქმე ტენდერზეა. გამარჯვებულის გამოვლინებისა და მის მიერ "03"-ს ბაზის განახლების შემდეგ პროგრამაც დაიწყება. სავარაუდოდ ეს იქნება ივნისის შუა რიცხვები.

ამ ინფორმაციით დაიწყო საქალაქო სამსახურმა მასმედიასთან ურთიერთობის ახალი, უფრო ინტენსიური და სისტემატური ეტაპი, რომლის მიზანი მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებაა.

*"24 საათი"*

# ყალბი ვიზებით მოვაჭრეებს პოლიცია ხელს აფარებს(?!)

თამარ კაციტაძე

*შინაგან საქმეთა სამინისტროში ათობით საქმეა აღძრული იმ თაღლითების მიმართ, რომლებმაც უცხოეთში წასვლის მსურველ მოქალაქეებს უკანასკნელი ფული გამოსტყუეს. მაგრამ, როგორც ჩანს, დღემდე ქვეყანაში არც ყალბი ვიზებით გამდიდრებას გამოდევნებული "შუამავლები" ილევა და არც უცხოეთში ყველანაირი საშუალებით წასვლის მსურველი. სამართალდამცველებმა კი წლების განმავლობაში აღნიშნული საქმიანობით დაკავებულ მთავარ დამნაშავეებს, რატომღაც, ვერა და ვერ მიაგნეს. სწორედ ამ მიზეზის გამო, საზოგადოებაში პოლიციას ხშირად ყალბი ვიზების ბიზნესის მფარველადაც ასახელებენ.*



გამომძიებელი დიმიტრი მამისაშვილი



დაზარალებული სოფიო პოპოვა-ფერაძე

ამჟამად ისანი-სამგორის სასამართლოში ვიოლა ფილიპოვას სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, რომელსაც საბერძნეთის ყალბი ვიზების დამზადებასთან დაკავშირებით თაღლითობის მუხლით ასამართლებენ. თუმცა, სისხლის სამართლის აღნიშნული საქმიდან თავის დროზე გაქრა მთავარი მტკიცებულება - საბერძნეთის საკონსულოდან გამოტანილი გაყალბებული, ვიზაჩარტყმული პასპორტი, რომელიც იქვე, საელჩოსთან პოლიციის კაპიტანს ჩახმახაშვილს ჩაუვარდა ხელში. რაში გამოიყენა პოლიციის კაპიტანმა საკონსულოდან გამოტანილი გაყალბებული პასპორტი, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ თაღლითობის მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში დღეს აღარც გაყალბებული პასპორტი არსებობს და არც დაზარალებულთა მხრიდან მთავარ დამნაშავედ დასახელებული, საბერძნეთის კონსულის თარჯიმნის – მადლენა (ელენა) ტატაროვას სახელი.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ფირმა "ელადის" თანამშრომელს სოფიკო პოპოვა-ფერაძეს საბერძნეთში წასვლის შვიდმა მსურველმა ვიზების "გაკეთებაში" დახმარება სთხოვა. ამ მიზნით პოპოვა-ფერაძემ ისინი ვინმე ვიოლა ფილიპოვას შეახვედრა. შეთანხმებისამებრ, კლიენტებს ფილიპოვასთვის, მთლიანობაში, 12 ათასი დოლარი და უცხოეთის პასპორტები უნდა მიეტანათ, სანაცვლოდ კი, ისინი რამდენიმე დღეში კონსულს შეხვდებოდნენ და საბერძნეთის ვიზაჩარტყმულ პასპორტებსაც მიიღებდნენ.

რამდენიმე თვის განმავლობაში ფილიპოვა უცხოეთში წასვლის მსურველებს საბერძნეთის საკონსულოსთან იბარებდა, მაგრამ ისინი არც კონსულთან შეუხვედრებია და არც ვიზირებული პასპორტები უნახავს ვინმეს. თუმცა, როგორც პოპოვა-ფერაძე და სხვა დაზარალებულები ირწმუნებიან, თვითონ ფილიპოვა საელჩოს შენობაში თავისუფლად შედიოდა და კონსულის თარჯიმნის მადლენა ტატაროვასგან სხვადასხვა დამაიმედებელი ინფორმაციაც გამოჰქონდა.

**"ვიზების გაკეთების თაობაზე ფილიპოვა ყოველთვის ტატაროვას ელაპარაკებოდა. ამის დასადასტურებლად დაზარალებულების ჩვენებებიც კმარა"**, - ამბობს პოპოვა-ფერაძე.

საკონსულოსთან მორიგი შეკრებისას ფოლიპოვას საკონსულოდან ერთ-ერთი კლიენტის – ბერაიას ყალბ-ვიზაჩარტყმული პასპორტი გამოუტანია და კლიენტებისთვის დამატებით 5 ათასი დოლარი მოუთხოვია - წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიზებს ვერ მიიღებთო. ამ ისტორიას ერთ-ერთი კლიენტის ბიძაშვილი, პოლიციელი ალექსანდრე ჩახმახაშვილი შეესწრო, რომელმაც ფილიპოვას გაყალბებული პასპორტი იქვე, საელჩოსთან წაართვა და დაემუქრა – ამ საქმეს მე მოუვლიო.

## პოლიციის კაპიტნის "მოვლილი საქმე"

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარ სამმართველოს, საორგანიზაციო და დამხმარე ძალებთან მუშაობის სამმართველოს განყოფილების პოლიციის კაპიტანმა ჩახმახაშვილმა ფილიპოვას თავისი ბიძაშვილის კუთვნილი ათასი დოლარიც დააბრუნებინა. მაგრამ, პოლიციის კაპიტნის ამ საქმესთან და, მით უმეტეს, კლიენტების თანხასთან კავშირი ამით არ დასრულებულა. ჩახმახაშვილი, რატომღაც, ყალბი პასპორტის წარმომავლობით კი არა, მანამდე მისთვის უცნობი პირის, გაყალბებული პასპორტის პატრონის, ბერაიას ბედით დაინტერესდა. თუმცა, როგორც ამჟამად უკვე დაზარალებულად ცნობილი სოფიო პოპოვა-ფერაძე ირწმუნება, ჩახმახაშვილს ამ საქმისადმი სულ სხვა დაინტერესება ჰქონდა, რის გამოც იგი იმთავითვე ცდილობდა, რეალური დამნაშავეები უკანა პლანზე დარჩენილიყვნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიციის კაპიტანმა "ფაქტზე დაჭერილი" ფილიპოვა გაუშვა. სამაგიეროდ, იგი დიდად იყო დაინტერესებული, რომ დაზარალებული ბერაიასთვის კუთვნილი 2 ათასი დოლარი შუამავალს – პოპოვა-ფერაძეს დაებრუნებინა. ამისათვის სამართალდამცველი უკანონობაზე თავადაც წავიდა და შუამავალი უკანონოდ გამოწერილი უწყებით დასაკითხად შს სამინისტროში დაიბარა. არადა, განცხადება, რომლის საფუძველზეც აღნიშნულ საქმეზე მოკვლევა დაიწყო, უწყების გამოწერიდან რამდენიმე კვირის შემდეგ დაიწერა.

მოკვლევა კი, რატომღაც, მაინცდამაინც ჩახმახაშვილის განყოფილებამ დაიწყო. მეტიც, ყველა დაკითხვას ჩახმახაშვილი პირადად ესწრებოდა.

როგორც პოპოვა-ფერაძე ირწმუნება, ბერაია პირველი იყო, ვინც განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსს, ინსპექტორ ელდარ ელიზბარაშვილს საქმის რეალური ვითარება უამბო და მანაც ურჩია, ყველაფერი ახსნა-განმარტებაში დაეწერა. ამ ახსნა-განმარტებაში საუბარი იყო საკონსულოდან გამოტანილ გაყალბებულ პასპორტსა და საკონსულოს თანამშრომელ მადლენაზე, რომელსაც ფილიპოვა უკავშირდებოდა და ვიზების საკითხს უთანხმებდა. გაურკვეველ გარემოებებში, ეს ახსნა-განმარტება დაიკარგა. დაზარალებულების ჩვენებიდან გამომდინარე, პოლკოვნიკმა ელიზბარაშვილმა საბერძნეთში წასვლის დანარჩენი მოტყუებული მსურველებიც დაკითხა და მათ მიერ მთავარ დამნაშავედ დასახელებული, საბერძნეთის კონსულის თარჯიმანი - მადლენა ტატაროვაც. ამ პროცესს თითქმის ორი თვე დასჭირდა. ამასობაში, შუამავალმა პოპოვა-ფერაძემ, როგორც თავად ამბობს, პოლიციის ზეწოლით, სახლ-კარი გაყიდა და კლიენტებს ფილიპოვასათვის მიცემული თანხა გაუსტუმრა. როგორც ჩანს, ელიზბარაშვილმა და ჩახმახაშვილმაც თავისი საქმე გააკეთეს და დაზარალებული პოპოვა-ფერაძე თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში გაისტუმრეს – მოკვლევის მასალები იქ გადავგზავნეთო.

## ორი თვე, რომელიც საქმის სამინისტროდან სამმართველოში გადაგზავნას დასჭირდა

სამი თვის მანძილზე სამინისტროდან სამმართველოში უაზრო სიარულის შემდეგ, ფერაძემ განცხადება შს სამინისტროში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის, დავით კაჭკაჭიშვილის სახელზე დაწერა, სადაც მიუთითებდა, რომ მთავარი დამნაშავე კონსულის თარჯიმანი იყო, რომელიც შს სამინისტროს თანამშრომლებმა, გარკვეული დაინტერესების გამო, დაფარეს. მაგრამ მაისში დაწერილი განცხადება თბილისის სამმართველოში ორი თვის შემდეგ გადაიგზავნა და საქმეც მხოლოდ მაშინ აღიძრა.

როგორც პოპოვა-ფერაძე ვარაუდობს, აღნიშნული დრო ელიზბარაშვილს და ჩახმახაშვილს საქმის "გასათეთრებლად" დასჭირდათ.

კანონით, საქმის მოკვლევა ოც დღეში უნდა დასრულდეს, მაგრამ სამინისტროში პოლკოვნიკ ელიზბარაშვილის მიერ დაწყებული მოკვლევა, თითქმის, ხუთ თვეს გაგრძელდა. მაგრამ, საქმის გამომძიებელს, რომელსაც მოკვლევის მასალები ჩაბარდა, საეჭვო ამაში არაფერი შეუმჩნევია. მეტიც, კანონდარღვევად არც ელიზბარაშვილის მიერ შეუსაბამოდ დათარიღებული ახსნა-განმარტებები მიუჩნევია და არც დაკარგული გაყალბებული პასპორტი, რომელიც ბოლოს ჩახმახაშვილის ხელში ნახეს.

სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული პოპოვა-ფერაძე პოლიციელ ჩახმახაშვილს, ტატაროვას დაფარვის მიზნით, გაყალბებული პასპორტის დაკარგვას აბრალებს, კოლეგის დაკითხვა გამოძიებას რატომღაც ზედმეტად ჩაუთვლია.

**"ის, რაც ჩახმახაშვილს უნდა ეთქვა, ჩვენებებში სხვა მოწმეებმაც დააფიქსირეს და მისი დაკითხვა რაღა საჭირო იყო"**, – ამბობს გამომძიებელი დიმიტრი მამისაშვილი, რომელსაც საკუთარ წარმატებად მიაჩნია ის, რომ აღნიშნულ საქმეში დღევანდელი განსასჯელი - ვიოლა ფილიპოვა დააპატიმრა და საქმე სასამართლოში კანონიერ ვადებში გადაგზავნა.

თუმცა, ვიდრე სამართალდამცველები განსასჯელს დააპატიმრებდნენ, გამომძიებელმა მამისაშვილმა კონსულის თარჯიმანიც დაკითხა. ტატაროვამ, რა თქმა უნდა, კვლავ დაადასტურა, რომ იგი არც ფილიპოვას იცნობდა და არც პოპოვა-ფერაძეს. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებამ იცოდა - ტატაროვა ტყუოდა, და ამასთანავე, ფილიპოვას ადგილსამყოფელი სამართალდამცველებს სწორედ მან შეატყობინა, კონსულის თარჯიმანი ამის შემდეგ აღარ შეუწუხებიათ.

**"ტატაროვას ბრალეულობაზე რომ ვისაუბროთ, მას ხელი ფილიპოვამ უნდა დაადოს. მის წინააღმდეგ სხვა მტკიცებულების მოპოვება გამოძიებამ ვერ შეძლო. ამჟამინდელი განსასჯელი კი კონსულის თარჯიმანთან ნაცნობობას, და საერთოდ, ვიზების გაკეთებასთან რაიმე კავშირს კატეგორიულად უარყოფს"**, – ამბობს გამომძიებელი მამისაშვილი.

დაზარალებული პოპოვა-ფერაძე კი ამბობს: **"ზუსტად ვიცოდი, ფილიპოვა პასპორტებს მადლენა ტატაროვას დახმარებით რომ აკეთებდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ფილიპოვას პოლიციის მაღალჩინოსანი პოლიციელები ეხმარებოდნენ. ამ საქმის შემდეგ კი უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი ამაში,"** – ამბობს ფერაძე.

ამ საქმეს ამჯერად შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია სწავლობს, თუმცა, საეჭვოა, იქ თავიანთ თანამშრომელთა რეალური საქმიანობის გამოაშკარავება მოინდომონ.

# მძიმე ბრალდებებით გასამართლებულ დუისელ მარგოშვილს სასჯელი გაუნახევრეს

ხათუნა ჯანგირაშვილი

*რამდენიმე თვის წინ ფეიზულ მარგოშვილი გაასამართლეს ადამიანების გატაცებისთვის, განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის, იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარებისა და გამოყენებისთვის, უზენაესმა სასამართლომ მას 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. რამდენიმე დღის წინ იმავე სასამართლოს საკასაციო პალატამ მარგოშვილს სასჯელის მოხდის ვადად მხოლოდ შვიდი წელი არგუნა.*
*საქმე ისაა, რომ საკასაციო პალატამ ფეიზულ მარგოშვილის საქმის გამოძიებაში უამრავი მნიშვნელოვანი დარღვევა აღმოაჩინა და ამიტომ მის მიმართ წაყენებული მძიმე ბრალდებები გააბათილა.*

დუისელი ფეიზულ მარგოშვილის სასამართლო პროცესი თავდაპირველად მოწმეთა და დაზარალებულთა გამოუცხადებლობის გამო გაჭიანურდა. საქმე გაართულა იმანაც, რომ სასამართლო პროცესზე განსასჯელს სამი თვის განმავლობაში ხმა არ ამოუღია. მან ჩვენება არც წინასწარ გამოძიებას მისცა და სასამართლოშიც დუმილის უფლებით ისარგებლა. თუმცა, ბოლოს და ბოლოს პროცესზე გამოჩენილმა დაზარალებულებმა და მოწმეებმა მისი სიმშვიდე დაარღვიეს და დიდი ხნის განმავლობაში ჩუმად და მშვიდად მყოფი, შემდეგ კი საკუთარ უდანაშაულობაზე ალაპარაკებული განსასჯელის დამორჩილება მაშინ სასამართლო კოლეგიას გაუჭირდა. მარგოშვილი კატეგორიულად მოითხოვდა დარბაზიდან გაყვანას და პროცესის გაგრძელებას მის დაუსწრებლად. მარგოშვილის ხმაურიანი პროტესტი მისი დარბაზიდან გაძევებით დასრულდა. განსასჯელს ისე გამოუტანეს 15-წლიანი პატიმრობის განაჩენი, რომ მან კანონით მინიჭებული საბოლოო სიტყვის უფლება არ გამოიყენა.

ამის შესახებ "24 საათი" უკვე წერდა.

**"ჩემი ადვოკატი პოლიციასთან არის შეკრული, ჩემს ინტერესებს არ იცავს, მისი დანახვა არ მინდა, ველარ მოვისმენ ამ ტყუილებს, აღარც მაინტერესებს არაფერი. გამიყვანეთ და დაუსწრებლად გამომიტანეთ განაჩენი"**, – აცხადებდა ჯერ კიდევ სასამართლო დარბაზში მყოფი ფეიზულ მარგოშვილი, თანაც საკუთარ ადვოკატს ლანძღავდა და კატეგორიულად ითხოვდა დარბაზიდან მის გაძევებას. **" არ მჭირდები, თავი დამანებე, არ მინდა შენი დაცვითი სიტყვის მოსმენა... გიმეორებთ, ჩემი ადვოკატი ახმეტის პოლიციასთან არის შეკრული, ჩემს ინტერესებს კი არა, მათ ინტერესებს იცავს. მომეცით საშუალება, სხვა ადვოკატმა დამიცვას"**, - იხვეწებოდა განსასჯელი და გარკვეულ მინიშნებებს იძლეოდა პოლიციის მხრიდან მისით დაინტერესების შესახებ. თუმცა, რა იმალებოდა ფეიზულ მარგოშვილის საქმეში, მაშინ სასამართლო კოლეგია ამით არ დაინტერესებულა. მას სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (ადვოკატის აცილების შესახებ) უარი უთხრა.

**"ვიღაც-ვიღაცეებს აქვთ ჩემი ინტერესი, მაგრამ სიმართლის გარკვევა შეუძლებელი ყოფილა"**, - ამ სიტყვებით დაატოვებინეს სასამართლოს შენობა მარგოშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ მისთვის გამოტანილ განაჩენს ახალი ადვოკატის დახმარებით გაასაჩივრებდა და თუ მანამდე გაურკვეველ მინიშნებებს იძლეოდა პოლიციის შესახებ, საკასაციო პალატაში ბევრ საინტერესო რამეს იტყოდა და პანკისურ საიდუმლოებებსაც ახდიდა ფარდას.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატამ, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ხელახლა განიხილა დუისელი მარგოშვილის საქმე, პანკისურ საიდუმლოებებს ფარდა ნამდვილად ვერ ახადა, თუმცა ვეფხია მარგოშვილის ბიძის საქმეში მნიშვნელოვანი დარღვევები აღმოაჩინა. გაყალბებული ექსპერტიზის დასკვნა, დაზარალებულების ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები – ეს ის ძირითადი დარღვევებია, რის გამოც მარგოშვილს, განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებასთან ერთად, სხვა მძიმე ბრალდებებიც მოეხსნა. პატიმარს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დუმილის უფლებით სარგებლობდა, სასჯელი გაუნახევრდა.

# თვითმკვლელობა სკოლაში

ნესტან ცეცხლაძე
ბათუმიდან

ქედის რაიონის სოფელ სასადილოყელის დაწყებით სკოლაში მისულ მოსწავლე-მასწავლებლებს დერეფანში საზარელი სურათი დახვდათ – თოკზე ჩამოკიდებული ადამიანი. თვითმკვლელი ვერავინ ამოიცნო, რადგან იგი არც სკოლის მასწავლებელი აღმოჩნდა და არც სოფლის მკვიდრი. მხოლოდ მოგვიანებით გახდა შესაძლებელი მისი ვინაობის დადგენა-იგი 43 წლის ნური ბერიძე აღმოჩნდა.

პოლიციის ცნობით, ბერიძე ხელვაჩაურის რაიონიდან იყო და თვითმკვლელობის ადგილად აღნიშნული სკოლა იმიტომ შეარჩია, რომ სკოლის შენობა ადრე მის ოჯახს ეკუთვნოდა და ბავშვობა იქ ჰქონდა გატარებული. ქედის რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობის გამო აღიძრა. თვითმკვლელობის მთავარი ვერსია გენეტიკურ მემკვიდრეობას უკავშირდება - 10 წლის წინათ ნური ბერიძის ძმამაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

რამდენიმე წლის წინ აჭარაში მომხდარი თვითმკვლელობების მთავარ მიზეზად ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებდნენ. ამის თქმის საფუძველს 1993-96 წლებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული სუიციდის 41 და პარასუიციდის 62 (თვითმკვლელობის მცდელობა) შემთხვევის შესწავლა იძლეოდა.

რაც შეეხება უახლეს, ბოლო წლების მონაცემებს, აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს თვითმკვლელობათა სტატისტიკა არ მოეპოვება, რადგანაც სუიციდის შემთხვევები, რატომღაც, მკვლელობებად და მკვლელობის მცდელობად კვალიფიცირდება.

## მოკლედ

**თბილისი.** 2003 წლის პირველ სამ თვეში შს სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპყრობილეში სხეულის დაზიანებით შეიყვანეს 137 პატიმარი. ამავე პერიოდში საპყრობილეებში კონსტიტუციით განსაზღვრული 72-საათიანი ვადის დარღვევით შეყვანილია ხუთი ბრალდებული. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმაციით, მონაცემები ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა.

2002 წელს შს სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორიდან საპყრობილეებში სხეულის დაზიანებითა და 72-საათიანი ვადის დარღვევით 350-ზე მეტი პატიმარი შეიყვანეს. ყოველ კონკრეტულ ფაქტზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მასალებს უგზავნის პროკურატურას, სადაც შარშან სულ ოთხი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფომ ღვინის N1 ქარხანა „სავანეს" პრივატიზების შემდეგ 84.000 ბოთლი საკოლექციო ღვინის დანაკლისი განიცადა.

ქარხნის პასუხისმგებელ პირთა მიმართ ამ და სხვა დარღვევების გამო სისხლის სამართლის საქმე თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურაში არის აღძრული.

იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის ხელმძღვანელის მაია ნიკოლეიშვილის თქმით, ექსპერტიზით დადგინდა, რომ 84 ათასი ბოთლი საკოლექციო ღვინის ფასი 6 მილიონ ლარს აღემატება.

ჯერჯერობით, პროკურატურას ამ საქმეში ბრალდებული არ ჰყავს. თუმცა ექსპერტიზის პასუხის მიღების შემდეგ, სავარაუდოდ, ქარხნის ზოგიერთი პასუხისმგებელი პირი გამოძიების წინაშე წარდგება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროსა და მარნეულის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს მარნეულში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი, 46 წლის ნაზიმ მამედოვი, რომელსაც ჩამოართვეს სარეალიზაციოდ გამზადებული 3 ე.წ. „ჩეკად" დაფასოებული 1,9 გრამი ჰეროინი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები, 38 წლის გოჩა კელენჯელიძე, რომელსაც ჩამოართვეს სარეალიზაციოდ გამზადებული, 6 „ბაშად" დაფასოებული 20,9 გრამი ჰეროინი. ტარდება ღონისძიებები ნარკოტიკების პირველწყაროს დადგენის მიზნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის, თბილისის უშიშროების სამმართველოს და საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა ამხილეს გორის რაიონის სოფელ ტირძნისში მცხოვრები, 1962 წელს დაბადებული ალექსანდრე ზურუკიძე, რომელსაც ავტომანქანით უსაბუთოდ გადაჰქონდა 10 000 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები. ავტომანქანა გადაყვანილია საბაჟო ტერმინალში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი შეხვედრას გეგმავს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან იუსტიციის სამინისტროს სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის ხონის კოლონიაში მოშიმშილე პატიმრების საკითხთან დაკავშირებით. დევდარიანის თქმით, იგი მზად არის, ყველას შეხვდეს, ვისაც რაიმე ფორმით შეუძლია ყოფილი მეომარი პატიმრების პრობლემის მოგვარება; თუმცა ამჯერად მათი შეწყალების საკითხის გადაწყვეტა უშუალოდ პრეზიდენტის პრეროგატივაა.

სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის ცნობით, ხონის კოლონიაში მოშიმშილე 43 პატიმრიდან აქციას 30 მსჯავრდებული აგრძელებს.

დანარჩენმა პატიმრებმა აქცია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო შეწყვიტეს, სამი მათგანი ციხის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

როგორც დეპარტამენტში აცხადებენ, სამივეს ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელია. **პრაიმ-ნიუსი**

# ნაცემი ბრალდებული და „გაფუჭებული საქმე„

## პოლიციური გამოძიების ტიპური შემთხვევა

სოფიკო ჩხაიძე

*ფრაზას – როგორ ვებრძოლოთ დამნაშავეობას, როცა ჩვენ ვიჭერთ, სასამართლო კი უშვებს – ნებისმიერი ჩინის პოლიციელისგან მოისმენთ. არადა, იმავე მოსამართლეთა თქმით, პოლიციის მიერ გამოძიებული სისხლის სამართლის საქმეები, ხშირ შემთხვევაში, უეჭველი დამნაშავის გათავისუფლების საფუძველსაც კი იძლევა. ასეთი საფუძველი ხშირად პოლიციის მიერ დაკავებულ პირს სახეზევე ეტყობა, ამას ემატება დარღვევებით წარმოებული გამოძიება – საქმის გაფუჭება – როგორც თავად სამართალდამცველ ორგანოებში უწოდებენ. ძნელი სათქმელია, ანგარებითი მიზნებით, განგებ კეთდება ასე, თუ, უბრალოდ, უვიცობის გამო სხვაგვარად არ გამოსდით, მაგრამ ფაქტია – ქართულ პოლიციაში გამოძიების ამგვარი სტილი, კარგა ხანია, ჩამოყალიბდა.*

22 წლის ბექა რუსიშვილი პოლიციამ ნატახტრის საგუშაგოზე დააკავა. როგორც თავად პოლიციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ის მოპარულ მანქანაში მჯდომი დააკავეს მეგობარ, ფეხმძიმე გოგონასთან ერთად. უახლოეს – მცხეთის პოლიციის განყოფილებაში ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებაში რუსიშვილი აღიარებს, რომ მანქანა გაიტაცა და ცხინვალში აპირებდა მის გადაყვანას. ასევე აღიარა მან კიდევ რამდენიმე მანქანის გატაცება. რუსიშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით წაუყენეს, რაც სხვისი ქონების უკანონოდ დაუფლებას გულისხმობს. გუშინ მისთვის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხი უნდა გადაეწყვიტა, თუმცა, მოსამართლემ მსგავსი შემთხვევებისთვის იშვიათი გამონაკლისი დაუშვა, სხდომაზე შესვენება გამოაცხადა და გადაწყვეტილების მიღება დღეისთვის გადადო.

ამავე დროს, ბექა რუსიშვილის ადვოკატი მამუკა ნოზაძე აცხადებს, რომ რუსიშვილს სცემდნენ პოლიციის ყველა იმ განყოფილებაში, სადაც კი მიიყვანეს. ამჟამად ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის უფლებების შელახვისა და გამოძიების დარღვევით მიმდინარეობის გამო ჩივის. ნოზაძის თქმით, **"ამ საქმეში დარღვეულია ყველაფერი, რისი დარღვევაც კი შეიძლებოდა. პოლიციის მიერ ბექას წინააღმდეგ შეკრებილი ყველა მტკიცებულება უკანონოა. ჯერ ერთი, ის 14 აპრილს დააკავეს, ხოლო ოჯახის წევრებს მისი დაკავების შესახებ მხოლოდ გუშინ, სასამართლოს დაწყებამდე აცნობეს. დედ-მამა მას ორი დღის მანძილზე ეძებდა. უკვე ესეც კი პროცესუალური მოთხოვნების დარღვევაა. ამასთან, ბექას ვინც ნახავს, მაშინვე მიხვდება, ამ ორი დღის განმავლობაში რა დღეში ჰყავდათ. ის ჯერ დაკავებისას უცემიათ, მერე მცხეთის პოლიციის განყოფილებაში, მერე დიდუბის პოლიციის ქვეგანყოფილებაში, დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოში. ბოლოს, ის თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში მოხვდა. როდესაც გამომძიებელს შუამდგომლობით მივმართე, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოეკვლიათ, მან შუამდგომლობა არ მიიღო, რისი უფლებაც არ აქვს. ამ საქმესთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბექას დაცვით უზრუნველყოფაზე არავის უფიქრია - დაკითხვები ადვოკატის გარეშეა ჩატარებული. მეტიც, ასეთ შემთხვევებში განცხადებას მაინც აწერინებენ ხოლმე დაკავებულს, რომ, თითქოს, ადვოკატზე საკუთარი ნებით ამბობს უარს. ამ შემთხვევაში კი ამის გაკეთებაც დაავიწყდათ"**.

როგორც ქალაქის პოლიციის მთავარ სამმართველოში გვითხრეს, რუსიშვილი მათთან არავის უცემია და მასზე არც სხვა სახის ზეწოლას ჰქონია ადგილი. რაც შეეხება რაიონული პოლიციის თანამშრომლებს, მათ ქმედებაზე მთავარ სამმართველოში ვერაფერს ამბობენ.

თვით ბექა რუსიშვილი კი, ახსნა-განმარტების მიცემის შემდეგ, დაკითხვებზე დუმილის უფლებას ინარჩუნებს. დუმილის უფლება გამოიყენა მან მოსამართლის წინაშეც. ერთადერთი, რაც მან სასამართლოს სხდომაზე თქვა, პოლიციაში მასზე ფიზიკური ზეწოლის შესახებ განცხადება იყო. მეტიც, ბრალდებული იმ პოლიციელის ვინაობასაც ასახელებს, ვინც ის სცემა.

ერთი შეხედვით, მოპარულ მანქანაში დაკავებული პირისთვის ბრალდების წასაყენებლად პოლიციას მაინცდამაინც მისი აღიარებითი ჩვენება და, მისი მიღების მიზნით, ძალადობის გამოყენება არ უნდა დასჭირვებოდა, თუმცა, ადვოკატის თქმით, გამოძიების საქმეში დაფიქსირებული, რუსიშვილის დაკავების გარემოებებიც ეჭვს იწვევს.

**"საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობით, მართალია, ნივთმტკიცების ამოღება და მისი დათვალიერება შეიძლება, მაგრამ, ამ მოქმედების კანონიერება 24 საათში სასამართლომ უნდა დაადასტუროს. არადა, ამ საქმეში პოლიციამ ნატახტარში მანქანის ამოღება და მისი დათვალიერება დააფიქსირა, მაგრამ მოსამართლისგან ამ მტკიცებულების კანონიერების დადასტურება არ მიუღია. ამასთან, იმ პოლიციელებს, რომლებმაც, საქმის მიხედვით, ბექა დააკავეს, გამომძიებელმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა, მაშინ, როცა კანონის თანახმად, ისინი მოწმის სახით უნდა დაეკითხა. ამ დარღვევების მერე, ვინ უნდა დაიჯეროს, რომ რუსიშვილი მართლაც მოპარულ მანქანაში დააკავეს"**, - ამბობს ნოზაძე, რომელმაც თავისი პრეტენზიები გუშინ სასამართლოს წინაშეც დააფიქსირა და დარწმუნებულიც იყო, რომ მოსამართლე დავით დოიჯაშვილი ბრალდებულს აღმკვეთ ღონისძიებას საერთოდ არ შეუფარდებდა. თუმცა, როგორც ადვოკატი ამბობს, მისთვის სრულიად მოულოდნელად, მოსამართლემ გადაწყვეტილების გამოტანა დღეისთვის გადადო:

**"მეგონა, მოსამართლემ გადაწყვეტილების გამოტანამდე ჩვეული პროცედურა შეასრულა-მცირე ხნით სათათბირო ოთახში გავიდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა დოიჯაშვილი ათი წუთი პროკურორთან და სხდომის მდივანთან კონსულტაციებს მართავდა, მერე კი შესვენება გამოაცხადა და პროცესი მეორე დილისთვის გადადო. ამის შემდეგ, რა უნდა ვიფიქრო?"** – ადვოკატის ამ კითხვას პასუხი, სავარაუდოდ, დღეს გაეცემა.

# გამარჯვებულებს არ ასამართლებენ?

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ოპერაცია წარმატებით ჩატარდა. ავადმყოფი გარდაიცვალა... რამდენად მიესადაგება ეს ძველი ხუმრობა ერაყში, ფაქტობრივად, უკვე დამთავრებულ ომს? თუკი ავადმყოფად სადამ ჰუსეინის დიქტატორულ რეჟიმს მივიჩნევთ, მაშინ მისი დამხობა, ყოველგვარი ირონიის გარეშე, შეიძლება წარმატებულ ოპერაციად ჩავთვალოთ. მაგრამ თუ "ავადმყოფი" საერთაშორისო მშვიდობაა, აქ მრავალი პრობლემა ჩნდება, რომლებიც ჯერ კიდევ გასარკვევია. ამ შემთხვევაში პასუხი კითხვაზე, წარმატებული იყო თუ არა ოპერაცია, ცალსახა ვერ იქნება.

დავიწყოთ შეერთებული შტატებით, იმ ქვეყნით, რომელიც ერაყში იბრძოდა. ამერიკის საზოგადოებრივი აზრის უკლებლივ ყველა გამოკითხვამ ნათელჰყო, რომ მოსახლეობა ერაყის ომს წარმატებულად თვლის, იმ პირობითაც კი, თუ სადამს ვერ დაიჭერენ და მასობრივი განადგურების იარაღს ვერ იპოვნიან. ამავე დროს ამერიკელთა უმრავლესობა პოლიტიკურად პრევენციული ომის წინააღმდეგია, ისეთი ომისა, ერაყში რომ იყო. ისინი თვლიან, რომ ერაყში წარმატებამ შეიძლება თეთრ სახლს ირანში, სირიაში ან ჩრდილოეთ კორეაში ანალოგიური ომებისკენ უბიძგოს.

მაგალითად, განვიხილოთ უკანასკნელი გამოკითხვა, რომლებიც ჟურნალმა "თაიმმა" და ტელეარხმა "სი-ბი-ეს"-მა ჩაატარეს, და მისი შედეგების მიხედვით მოვახდინოთ ამერიკის საზოგადოებრივი აზრის ანალიზი. ჰუსეინის რეჟიმის დაცემამ უდავოდ განამტკიცა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის პოზიციები. 73-მა პროცენტმა მოიწონა ის, თუ როგორ ასრულებს ის თავის უფლებამოსილებებს (ომის დაწყებამდე ეს მაჩვენებელი მხოლოდ 59 პროცენტს შეადგენდა). დემოკრატთა შორისაც კი ბუშის დადებითი რეიტინგი 61 პროცენტს შეადგენს. 2001 წლის შემდეგ პირველად ამერიკელთა უმრავლესობას (62 პროცენტს) სწამს, რომ შეერთებული შტატები ტერორიზმის წინააღმდეგ ომში იგებენ. მკვეთრად შემცირდა მათი რაოდენობა, ვისაც ეშინოდა, რომ ერაყის ომი აშშ-ს წინააღმდეგ ტერორიზმის საფრთხეს გაზრდიდა. გამოკითხულთა 79 პროცენტმა ბუშის მიერ ერაყში ომის წარმოება მოიწონა. ეს უკანასკნელი მითითებულ გამოკითხვის ფურცელში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

თეთრი სახლის დაპყრობისა და 2004 წლის არჩევნების დროს კონგრესში ხმათა უმრავლესობის მიღების თვალსაზრისით დემოკრატიულ პარტიას ცუდი პოლიტიკური პერსპექტივები აქვს. ეს უკვე ტრადიციადაა ქცეული: ომის დროს ამერიკელი ერი პრეზიდენტის გარშემო შეიკრა. მაგრამ მომავალთან დაკავშირებითაც უმრავლესობას – 56 პროცენტს – მიაჩნია, რომ ქვეყანას სწორი გეზი აქვს აღებული. ომამდე ამ აზრისა მხოლოდ 39 პროცენტი იყო. ეკონომიკის სფეროშიც კი, რომელსაც დემოკრატები თავიანთ ძლიერ მხარედ მიიჩნევენ, ამერიკელები თანაბრად გაიყვნენ: 42 პროცენტი დემოკრატების მხარესაა და 42 – რესპუბლიკელებისა. მეტსაც მოგახსენებთ: გამოკითხულთა 54 პროცენტმა განაცხადა, რომ ბუშის ქვეყნის ეკონომიკის მართვის უნარისა სწამთ (იანვრის შემდეგ ეს მაჩვენებელი 7 პროცენტითაა გაზრდილი). და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბუშის დროს ქვეყნის ეკონომიკა დასუსტებულია. პრეზიდენტის ეკონომიკური პოზიციების განმტკიცება ერაყის წარმატებული ომის შედეგია – ხანმოკლე ომისა (20 დღეზე ოდნავ ხანგრძლივი), თითქმის დანაკარგების გარეშე (100-ზე ოდნავ მეტია მოკლული). ითვლება, რომ თუ ომს ასე წარმატებით გაუძლვა, ის ეკონომიკასაც წარმატებით უხელმძღვანელებს.

უნდა გავიხსენოთ, რომ სპარსეთის ყურეში პირველი ომის შემდეგ მამა-ბუშს თავის ვაჟზე უფრო შთამბეჭდავი რეიტინგები ჰქონდა, მათ შორის ეკონომიკური მენეჯმენტის პრობლემებშიც. მაგრამ მაშინ ეს მალე მიეცა მივიწყებას, და მამა-ბუშმა 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ბილ კლინტონთან წააგო. ახლა ვაჟი მამის შეცდომების გათვალისწინებას შეეცდება. თუკი მამა-ბუში დიდხანს ტკბებოდა გამარჯვებულის დაფნის გვირგვინით და ეკონომიკით ომის დამთავრებიდან მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ დაკავდა, შვილმა-ბუშმა მას ერაყში ომის დამთავრების მეორე დღესვე მოჰკიდა ხელი. 15 აპრილს ის თეთრი სახლის "ვარდის ბაღში" გამოვიდა და პირველად განაცხადა, რომ ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმი აღარ არსებობს. იცით, რა აუდიტორია შეარჩია ამ განცხადების გასაკეთებლად? ამერიკის მცირე ბიზნესის წარმომადგენლები – წვრილი მეწარმეები.

ერაყის ომს პრეზიდენტმა ნაკლები დრო დაუთმო, ვიდრე თავის ეკონომიკურ პროგრამას. პირველ თემასთან დაკავშირებით მან ხაზი გაუსვა იმას, რომ "მსოფლიო უფრო უსაფრთხო გახდა" და რომ "ტერორიზმის წინააღმდეგ ომს კვლავაც განვაგრძობთ. რაც დავიწყეთ, დავასრულებთ კიდეც," "თავისუფალი ერაყი მთელი ახლო აღმოსავლეთისთვის სამაგალითო გახდება". იოლი შესამჩნევია, რომ ყველა ეს პოსტულატი სამომავლოდაა მიმართული. თუკი მამა-ბუშმა სპარსეთის ყურეში პირველი ომის შემდეგ წერტილი დასვა, შვილმა-ბუშმა მძიმეც იკმარა. მან თითქოს გააფრთხილა ამერიკელები – წინ ახალი ომები გველოდება: ერაყის ომში უკვე გამომცადეთ; თუ 2004 წელს კვლავ პრეზიდენტად ამირჩევთ, ტერორიზმთან ბრძოლას გამარჯვებით დავასრულებ, როგორც სადამ ჰუსეინთან ომი დავასრულე გამარჯვებით. ბუშმა იცის, რომ ქვეყანაში საომარი სიტუაციის არსებობა მას, ფაქტობრივად, კიდევ ოთხი წლით აძლევს თეთრი სახლის გასაღების ფლობის გარანტიას. ცინიკური და სახიფათო გათვლაა, მაგრამ, წმინდა პარტიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით, გამართლებული, მით უმეტეს, რომ ამერიკას, რომელიც უზარმაზარ სამხედრო ძალას ფლობს, ერაყის ომის მსგავს ომებში დამარცხება არ ემუქრება.

ეკონომიკის სფეროში პრეზიდენტი ბუში გადასახადების შემცირებას "აწვებოდა", რაც წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა, მაგრამ სენატმა შეაჩერა და გაანახევრა. პრეზიდენტმა 2004, ანუ არჩევნების წლისთვის, სამუშაო ადგილების თითქმის მილიონნახევრით გაზრდის პირობაც დადო. მაშასადამე, პრეზიდენტი თავს სამხედრო-პოლიტიკურსა და ეკონომიკურ სფეროებშიც იზღვევს.

დემოკრატების იმედები, რომ თუ ერაყში მასობრივი განადგურების საშუალებებს ვერ იპოვნიან, თუ სადამს ვერ დაიჭერენ და თუ შეერთებული შტატები ერაყში "გაიჭედება", ბუშის პოზიციები შესუსტდება, ჯერჯერობით, არ გამართლდა. "თაიმ" – "სი-ბი-ეს"-ის გამოკითხვის თანახმად, 60 პროცენტს მასობრივი განადგურების საშუალებების აღმოჩენის გარეშეც ომი მოგებულად მიაჩნია; 51 პროცენტს – სადამ ჰუსეინის შეპყრობისა თუ მოკვლის გარეშეც; 46 პროცენტი "თანახმაა, დაიცადოს", მინიმუმ, ერთი წლის განმავლობაში, სანამ ამერიკული ჯარები ერაყში დემოკრატიას დანერგავენ. გარდა ამისა, გამოკითხვებმა ნათელჰყო: ამერიკელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მათ ქვეყანას, მთელს მსოფლიოში მშვიდობის გარანტიის მოსაპოვებლად, მინიმუმ, ერთი წლის განმავლობაში "აგრესიული ძალისხმევის" გაწევა, ანუ "მსოფლიო პოლიციელის" როლში ყოფნა მართებს. 10-დან 6 ამერიკელს მიაჩნია, რომ ერაყში მიღწეულმა წარმატებამ აშშ-ს ჩრდილოეთ კორეასა თუ სირიაში ინტერვენციისკენ უბიძგა. თუმცა, მეორე მხრივ, ამერიკელთა უმრავლესობა იმას ისურვებდა, რომ ეს "საერთაშორისო კოალიციის" ჩარჩოებში მოხდეს. რაც შეეხება ერაყს, გამოკითხულთა ორი მესამედი იმას ამჯობინებდა, რომ მისი ომისშემდგომი განვითარების პასუხისმგებლობა აშშ-ს კი არა, გაერო-ს დაეკისროს.

პრევენციული ომის საკითხს დავუბრუნდეთ. მისი გამომცხადებელი ბუშის დოქტრინა ამერიკელებს, საერთოდ, აფრთხობს. ამერიკელთა 51 პროცენტს მიაჩნია, რომ აშშ-მ სხვა ქვეყანაში ომი არ უნდა დაიწყოს, თუ ის პირველი არ დაესხა თავს; 48 პროცენტი იმ აზრისაა, რომ აშშ-მ სხვა ქვეყნებში არსებული რეჟიმის, თუნდაც დიქტატურის დემოკრატიით შეცვლის მიზნით, ომი არ უნდა დაიწყოს. დღეს ამერიკელები თავისი უსაფრთხოების ყველაზე დიდ მუქარას ჩრდილოეთ კორეის სახით ხედავენ (39 პროცენტი), შემდეგ მოდის სირია (5 პროცენტი) და ირანი (1 პროცენტი).

გამოკითხვის შედეგების შეჯამებისას გაზეთი "ნიუ-იორკ თაიმსი" წერს: "შედეგების უმრავლესობა იმაზე მიუთითებს, რომ იმაში, რაც ომს შეეხება (ერაყში. – მ.ს.), ამერიკელები თავს ტრიუმფატორებად გრძნობენ. თუმცა ხედავენ, რომ შეერთებული შტატების მხრიდან ახლო აღმოსავლეთში სხვა სამხედრო აქციებიც დასაშვებია, მათ სწამთ, რომ ჰუსეინის გადაყენება ერაყსა და მთელს აღმოსავლეთ რეგიონში მშვიდობის საწინდარი იქნება".

ასეთია, ზოგადად, "ამერიკის ხმა". მის შეცვლას მხოლოდ შეერთებული შტატების ეკონომიკის მკვეთრი გაუარესება შეძლებს. ახალი პრევენციული ომი (რომელიც უახლოეს მომავალში არ დაიწყება), ან 2001 წლის 11 სექტემბრის მსგავსი ახალი ფართომასშტაბიანი ტერაქტი ამ "ხმას" მხოლოდ აამაღლებს, მასთან ერთად პრეზიდენტ ბუშის პოზიციაც გამტკიცდება და მისი ხელახალი არჩევის შანსიც გაიზრდება. ეს რეალობაა, რომელსაც დანარჩენმა მსოფლიომაც ანგარიში უნდა გაუწიოს.

## ტელეკაზინოს გათამაშების შედეგები

| | | |
|---|---|---|
| $14^{50}$ - 3 | $19^{50}$ - 32 | $22^{45}$ - 23 |



ნომრის პერსონა

# გავერთიანდეთ და მზეს დაველოდოთ

*"უცნობის" ცხოვრებაში მეორე "ვაგონი მიქრის" მოხდა. ოღონდ, გაცილებით შთამბეჭდავად და, თითქმის, სხვა თემაზე.*
*გიორგი გაჩეჩილაძის ამ შესრულებას ("გაერთიანებულ დემოკრატებთან" გაწევრიანების სურვილი) - გაცილებით მეტი ეფექტი ექნება, ვიდრე ზემოხსენებულ კლიპს, რომელმაც დაჩრდილა შოუ-ბიზნესში მისი პირველი ნაბიჯი - ედპ-ს მხარდასაჭერი შოუ - "ქვეყანაშია ფერები მუქი".*
*"უცნობი", ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე ბევრად გამოუცდელად გამოიყურებოდა, ვიდრე სცენაზე. ეს შეიძლება უკეთესიც იყოს. დღეს პოლიტიკოსების სახეზე კლიშედ აკრულ არაგულწრფელობასა და უემოციობაზე უფრო მეტად, საზოგადოება არაპოლიტიკოს "უცნობის" ღამენათევმა განცხადებამ შეიძლება დაარწმუნოს იმაში, რომ არასახელისუფლებო ძალების გაერთიანება ჰაერივით საჭიროა.*
*გაერთიანებაზე საუბარი ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრში ლამის 9 თვეა, მიმდინარეობს. გაჭიანურებული კონსულტაციების გზაზე ოპოზიციამ დაკარგა სარიშვილი-ჭანტურია და ვინ იცის, კიდევ ვის დაკარგავს. "უცნობს" კი საყოველთაო გაერთიანების სახელით არაორდინარული, მაგრამ მჭრელი ნაბიჯის გადასადგმელად მხოლოდ ორი ღამის გათენება დასჭირდა.*
*ათიოდე წლის წინ და უფრო ადრეც საქართველოს ერთიანობით გულანთებული ადამიანები პროტესტის ნიშნად სახალხოდ იწვავდნენ თავს. ნათელია, რომ ამას შედეგი არ მოუტანია. ესეც კარგია, რადგან საქართველოში ყოველგვარ საქციელს გამოუჩნდებიან ხოლმე მიმბაძველები...*
*დღეს, "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი დამფუძნებლის ძმა - ძმის ოდესღაც მწვავე ოპონენტის პარტიაში აპირებს გადასვლას. ვფიქრობთ, პოლიტიკაში შედარებით ახალმოსულ "ახლებში" მსგავსი რეზონანსული ნაბიჯი დღეისთვის არავის გადაუდგამს. გაჩეჩილაძე "უცნობის" ეს ნაბიჯი იქნებ იმიტომაც გახდება სენსაციური და პოპულარული, რომ არც ოჯახის წევრებთან და არც ერთ პარტიასთან კონსულტაციები არ გაუმართავს...*

ჩემი ძმის საწინააღმდეგოდ არც ერთი წამით არ წავსულვარ, ის გავაკეთე, რაც ჭეშმარიტება მგონია.

საზოგადოებრივი აზრი მაინც სხვაა და ის ამბობს - გაერთიანება, გაერთიანება, გაერთიანება...

ხელისუფლება დასცინის საზოგადოებას და ერთსა და იმავეს იმეორებს - რომ ის უნდა იყოს აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

გაერთიანება მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის არის საჭირო, რომ ეს ხელისუფლება გავაგდოთ...


გიორგი გაჩეჩილაძე "24 საათის" რედაქციაში

მაია ჭალაგანიძე

**- როცა გაზეთი გამოვა, ლევან გაჩეჩილაძის რეაქცია უკვე ცნობილი იქნება. ახლა რა შეგიძლიათ თქვათ, რას ელით?**

- რა ვიცი, როგორღაც შევრიგდებით. რაც სიმართლე და ჩემი ქვეყნის მომავლისთვის ჭეშმარიტება მგონია, ის ვთქვი. ლევანს თავისი ჭეშმარიტება აქვს, მე - ჩემი. არ შემიძლია, დავმალო და არ ვთქვა ის, რაც ჩემს ცხოვრებაში რეალობაა.

**- ბავშვობიდან თუ გაიხსენებთ ამგვარად პრინციპული საკითხებში უთანხმოებას.**

- რა თქმა უნდა, ძალიან ბევრჯერ დავპირისპირებივართ ერთმანეთს, მაგრამ ასე მთელი ქვეყნის დასანახად - არასდროს. ამისთვის კიდევ ერთხელ მოვუბოდიშებ, მაგრამ ეს არ არის ჩემი ახირება. ეს ის რეალობაა, რასაც ჩემი ქვეყნის მომავალში ვხედავ.

**- პოლიტიკოსები ამ რეალობას მოკლებულნი არიან?**

- დღეს ყველა პოლიტიკოსი რეალობას არის მოწყვეტილი. გაუთავებელ ბატალიებში ყველა საკუთარი პარტიული ინტერესებით არის ჩართული, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი მაინც სხვაა და ის ამბობს - გაერთიანება, გაერთიანება, გაერთიანება...

**- თქვენი აზრით, როგორ მიიღებს ფართო საზოგადოება ამ თქვენს განცხადებას?**

- არ ვიცი, მაგრამ მჯერა და ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ გაერთიანების გარეშე ამ ხელისუფლებას ვერ გავაგდებთ.

**- თუკი "დემოკრატებში" გადახვედით, რა შეემატებათ "დემოკრატებს" და რას დაკარგავენ "ახლები?"**

- საკითხი ასე არ დგას - რაღაცას შევმატებ "დემოკრატებს" და რაღაცას "ახლებს" დავაკლებ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ - ჩემი მსოფლმხედველობა ისევ და ისევ არის დამყარებული იმაზე, რასაც "ახლები" და, კერძოდ, ჩემი ძმა აცხადებენ. ამის საწინააღმდეგოდ არც ერთი წუთით, არც ერთი წამით არ წავსულვარ. იმიტომ არ გადავალ, ვთქვათ, "დემოკრატებში", რომ ზურაბ ჟვანიას პოლიტიკური სიმპათია უფრო მაქვს, ვიდრე ჩემი ძმის. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გადავდგამ ამ ნაბიჯს, რომ ოპოზიციურ ძალებს შორის გაერთიანება მოხდეს.

**- თქვენი ნაბიჯი როგორ იქნება აღქმული თვითონ "ახლებში" და ხომ არ იმოქმედებს ეს ლევან გაჩეჩილაძის პოზიციაზე პარტიაში?**

- არ ვიცი, როგორ იმოქმედებს ლევანის პოზიციაზე იმ პარტიაში, რომელიც მან ააშენა. ღრმად ვარ დარწმუნებული, მან ეს პარტია იმისთვის შექმნა, რომ საქართველოში ბედნიერი მომავალი იყოს. მე მგონი, არ უნდა იმოქმედოს და თუ იმოქმედებს, მაგასაც მოევლება - პრობლემა არ იქნება.

**- ნაკლები რეზონანსი ექნებოდა, რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრს რომ გადაენაცვლებინა სხვა პარტიაში, მაგრამ პოლიტიკოსი არ ხართ. რა ვითარებაა, კონკრეტულად, თქვენს სამოღვაწეო სფეროში და რამდენად იგრძნობა იქ იმ ხელისუფლების ხელი, რომლის წინააღმდეგაც გამოდიხართ?**

- ეს ხელისუფლება დაგვცინის ჩვენ, დასცინის საზოგადოებას და ერთსა და იმავეს იმეორებს - რომ ის უნდა იყოს აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე; რომ ისინი უნდა იყვნენ სახელმწიფოს სათავეში და მარადიულად მართონ ქვეყანა. გარწმუნებთ, გაერთიანების შემთხვევაში ეს არ მოხდება. მერე გავარკვიოთ - ვინ ვინ არის. ახლა მთავარია – წავიდნენ!

**- წამსვლელთა შორის აღმოჩნდა ირინა სარიშვილი-ჭანტურიაც, რომლის მხარდამჭერი შოუ ესტრადაზე თქვენი პირველი ნაბიჯი იყო.**

- არა მგონია, რომ ირინას შეგნებულად გადაედგა ეს ნაბიჯი. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ოპოზიციაში ირინას ადგილი ყოველთვის იქნება.

თქვენი მეშვეობით მინდა ირინას შევუთვალო, რომ მიიღოს ის გადაწყვეტილება, რასაც გული უკარნახებს.

**- გგონიათ, რომ სტაჟიანმა პოლიტიკოსმა ეს ნაბიჯი სპონტანურად გადადგა და იქ, სადაც ახლაა, მისი ადგილი არ არის?**

- დიახ, ასე მგონია.

**- რას ფიქრობთ არაპოლიტიკოსთა, შემოქმედებითი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ხელისუფლებასთან დაახლოებაზე. პრეზიდენტთან შეხვედრებზე მისული თქვენი კოლეგები და მეგობრები რას ელოდნენ ქვეყნის მეთაურისგან? რომელიმე შეკითხვას პასუხი გაეცა?**

- ყველანი ერთად უნდა იდგნენ, სხვაგვარად არ გამოვა. ასე თუ არ მოხდა, ისინი გაიხარებენ... ერთი რამ ვიცი - ჩემი მეგობრები ჩემს გვერდით დადგებიან. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ჩემი გადაწყვეტილების სისწორეს ისინი ყოველთვის დაინახავენ და მიიღებენ.

რაც შეეხება შეხვედრებს პრეზიდენტთან - იმიტომ იყვნენ, რომ ვალი მოეხადათ.

**- ტრადიციულად, წინასაარჩევნოდ, პოლიტიკური ძალები მხარდამჭერებს შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებსა და მსახიობებს შორის ეძებენ. თქვენი კოლეგების განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები ხომ არ იმოქმედებს ურთიერთობებზე?**

- პირველად იმიტომ არ ვიმღერე, რომ შოუ-ბიზნესის სკოლა შემექმნა და ხალხისთვის დამენახებინა, რომ მომღერალი ვარ... ვიმღერე იმიტომ, რომ რაღაც მაწუხებდა. რაც მტკიოდა - ის ვიმღერე და ბოლომდე ასე გავაგრძელებ.

**- რა აქვს საერთო და რა განასხვავებს ერთმანეთისგან პოლიტიკასა და შოუ-ბიზნესს?**

- მე მგონი, ერთმანეთს ყოველთვის აერთიანებენ და ერთად არიან. არ არსებობს შოუ-ბიზნესი პოლიტიკის გარეშე და პოლიტიკა შოუს გარეშე.

**- თუკი საარჩევნოდ "დემოკრატებს" თქვენი კლიპი დასჭირდათ, როგორ მოიქცევით. რა ბედი ეწევა "38"-ს?**

- ასე არ არის, - რომ ვიღაცას დავჭირდე და იმიტომ ვიმღერო. იმიტომ ვმღერი, და ვაკეთებ კლიპს, რომ ჩემს ქვეყანას დასჭირდეს. იმიტომ არ გამოვდივარ სცენასა და ეკრანზე, რომ ვიღაცას საარჩევნო რეკლამა გავუკეთო. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ხალხმა სიმართლე და ჭეშმარიტება დაინახოს.

**- პრესკონფერენციაზე გულწრფელი და ემოციური იყავით. რა ადგილი აქვს გულწრფელობას პოლიტიკაში?**

- გულწრფელობასა და სიმართლეს პოლიტიკაში არანაირი ადგილი არ გააჩნია. როგორც კი ხალხი პოლიტიკას გაიგებს, იმ წუთში გარბის და იქაურობას ეცლება. ასე იმიტომ იქცევიან, რომ პოლიტიკა სიბინძურესთან ასოცირდება. ადამიანმა პოლიტიკა სუფთადაც შეიძლება აკეთოს და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ჩვენ ამას შევძლებთ.

**- ამ თემაზე ლევანთან გისაუბრიათ?**

- რა თქმა უნდა, ამ თემაზე გვისაუბრია და იმ იდეაში, რომ პოლიტიკა სუფთა ხელებით უნდა ვაკეთოთ - ერთად ვართ.

**- როგორ შეაფასებენ თქვენს საქციელს "ახლების" მიერ ამერიკიდან ჩამოყვანილი იმიჯმეიკერები? როგორ იმოქმედებს თქვენი გადაწყვეტილება პარტიის რეიტინგსა და არჩევნებში გამარჯვებაზე?**

- ამერიკელი იმიჯმეიკერების აზრი არ ვიცი. გამაჩნია საკუთარი აზრი იმის შესახებ, რომ გაერთიანების გარეშე არაფერი მოხდება. ჩვენ ერთმანეთს ხმებს წავართმევთ და გაიმარჯვებენ ცუდიანები...

**- ხომ არ იქნება შემდეგი თქვენი ნაბიჯი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა?**

- არ ვიცი, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

ისე კი, პარლამენტში მოხვედრა-არმოხვედრის საკითხი არ მაღელვებს.

თავისუფლად შემეძლო ეს "ახლების" მხრიდან გამეკეთებინა. პარლამენტში მოხვედრა ჩემთვის არაფერს წარმოადგენს. მთავარი ჩემი ქვეყნის მომავალია და ამ მომავალს გაერთიანებაში ვხედავ.

**- თქვენი აზრით, საზოგადოების რამდენი პროცენტი ჩათვლის თქვენს განცხადებას საარჩევნო ხრიკად?**

- ვისაც როგორ უნდა, ისე ჩათვალოს. მე ხომ შიგნიდან ვიცი, რომ მართალი ვარ. მე ეს ვიცი... .

**- როცა ამ ნაბიჯს დგამდით, რას ელოდით, როგორი გავლენა ექნება ამას უბრალო ამომრჩეველზე?**

- რიგითი მოქალაქისგან მხოლოდ იმით განვსხვავდები, რომ უფრო ცნობადი ვარ და, რა თქმა უნდა, სწორედ ამიტომ ვდგამ ამ ნაბიჯს. ხალხისგან სიმპათიებს ვგრძნობ და ამიტომ ვაკეთებ ამ განცხადებას.

ეფექტზე ასე ზუსტად არ მიფიქრია. თუმცა, ალბათ, სწორედ იმიტომ განვაცხადე, რომ ეფექტი მეტი ექნება.

ჩემი ოჯახის წევრები, დღეს, შეიძლება, ჩემსავით არ ფიქრობდნენ, მაგრამ ხვალ მიხვდებიან, რომ გაერთიანება აუცილებელია...

ჭეშმარიტება არის ის, რომ ძალა ერთობაშია. "ახლები", "დემოკრატები", "ნაციონალები", "ლეიბორისტები" - პარლამენტში, შეიძლება, პატარ-პატარა ფრაქციებად შევიდნენ და ის გადაწყვეტილება ვერ მიიღონ, რაც ამ ხელისუფლებას აქედან გაუშვებს.

გაერთიანება მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის არის საჭირო, რომ ეს ხელისუფლება წავიდეს...



ბიძინა მაყაშვილის სვეტი



## უცნობი

ეს სიმღერა ქართულ მუსიკალურ ეთერში შარშან საახალწლოდ გამოჩნდა და დღეს რომ ვუყურებ, მგონი ძალიან დიდი ხნით დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს ცნობიერებაში, როგორც ფონმა, რომელსაც ისე ეჩვევი - ვერც კი ამჩნევ, შენთან ერთად თუ არსებობს. იმ ხანებში ჩემმა ბავშვმა მითხრა, ამ სიმღერაზე მეტირებაო. გამიკვირდა, ყველას ეცეკვება და ამას რაღა ატირებს-თქო. საქართველო მეცოდება, წვიმის დროს მარტო ეგ რომ სველდება, ეტყობა "უცნობს" ძალიან უყვარს საქართველო - სხვა სიმღერებშიც ასეთი ტექსტები აქვსო. მაშინ ამ სიტყვებისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია.

გუშინ გამახსენდა, "უცნობის" პრესკონფერენციაზე. ძალიან ღელავდა; სანამ სათქმელს იტყოდა და მერეც, როცა უკვე თქვა. ასე, ტყუილად არ ღელავენ; ასე მხოლოდ ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეტაპებზე ღელავენ; ასე მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ ღელვა, როცა არჩევანი აქვთ გასაკეთებელი მრწამსსა და ძმას შორის.

გუშინ "უცნობმა" არჩევანი სამშობლოს სასარგებლოდ გააკეთა. როცა საზოგადოების თვალში ისე ხარ ასოცირებული პოლიტიკური პარტიის ლიდერ ძმასთან, რომ მეტსახელიც კი ერთი გაქვთ (უფროსი და უმცროსი "გრეჩიხა"), ალბათ, ძალიან უნდა გიყვარდეს სამშობლო, რომ მისი მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე, მოახლოებული არჩევნების წინ კონკურენტი პოლიტიკური გაერთიანების წევრობა გადაწყვიტო.

საქართველოში ოპოზიციური ძალების ნაკლებობა არასდროს იგრძნობოდა, მაგრამ ამ ფორმირებებს არასდროს მიუღწევიათ რამენაირი წარმატებისთვის. მათი დაქსაქსულობის გამო სახელისუფლო ძალები ყოველთვის იოლად ინარჩუნებდნენ პოზიციებს და აგრძელებდნენ საკუთარი ქვეყნის ყვლეფას, საკუთარი მოსახლეობის დემორალიზაციას, საკუთარი დედების... აღარ მინდა ჩამოთვლა გავაგრძელო, რადგან ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, სრული მარაზმია, ქაობია, რომელშიც არსებული სისტემა გითრევს.

ამბობენ, ხალხს ისეთი მთავრობა ჰყავს, როგორსაც იმსახურებსო. ნუთუ, ისე ჩავეშვით, რომ ოპოზიციაც კი ყოფის შესაფერისი უნდა გვყავდეს?! ნუთუ, ყოვლად დისკრედიტირებული, ყოველმხრივ ვადაგასული ხელისუფლება უნდა ხვდებოდეს, თუ რა მნიშვნელოვანია არჩევნების წინ გაერთიანება და ახალგაზრდა, დემოკრატიის სკოლაგავლილი ოპოზიცია მაინც თავისას მიერეკებოდეს?!

საქართველო ინდივიდუალისტების ქვეყანაა, ამბიციურები ვართ; პოლიტიკაში კი არა, უბრალო, ყოველდღიურ წვრილმანზე ყველას საკუთარი, სხვისგან განსხვავებული აზრი გაგვაჩნია. შეიძლება ოდნავ გადაჭარბებულია, მაგრამ ქართველების შესახებ ეს სტერეოტიპული დამოკიდებულება იმდენად გავრცელებულია, რომ მრავალი ანეკდოტის საგნადაც კი იქცა. ერთ-ერთ ცხელ მაგალითს მოვიყვან: ჯერ არგამართულ ლიტერატურულ კონკურსს, "საბას" უკვე იმდენი მწერალი დაუპირისპირდა, საქმეში ჩაუხედავ ადამიანს ეგონება, რომ ეს აქცია საქართველოში წერის აკრძალვას ისახავს მიზნად.

გუშინ "უცნობმა" ამ სტერეოტიპის დანგრევა დაიწყო. რამდენად წარმატებული იქნება ეს მცდელობა, უკვე ჩვენზეც არის დამოკიდებული; პირველ რიგში კი, ოპოზიციურ პარტიებზე; მათ უნარზე - დროებით უარი თქვან ამბიციებზე, ერთმანეთს დაელაპარაკონ და რაც მთავარია - გაერთიანდნენ. და თუ ამ უნარს დღესაც ვერ გამოავლენენ, მათ (და არა მარტო მათ) შვილებს უფრო მეტ სიბინძურესთან მოუწევთ დაპირისპირება, ვიდრე თვითონ უხდებათ.

საოცარია, მაგრამ პოლიტიკოსებს მაგალითს დღეს შემოქმედი აძლევს. "უცნობი" დღეს "კარგად არის": შემოქმედებითი პოტენციალი, რეალიზებული ნიჭი, თაყვანისმცემლები, მეგობართა საინტერესო წრე, ოჯახი, სტაბილური მატერიალური მდგომარეობა. მას პოლიტიკა არ სჭირდება (დღემდე პირიქით იყო - პოლიტიკას სჭირდებოდა "უცნობი"). პარლამენტში მოხვედრა "ახალი მემარჯვენეებიდან", ალბათ ,არ გაუჭირდებოდა. მაგრამ ეტყობა, მას კიდევ ერთი ნიჭი აქვს, რომელიც ჩემმა ბავშვმა შეამჩნია და რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოპულარული სიმღერების შექმნა. ამ ნიჭს სამშობლოს სიყვარულს ეძახიან და სამწუხაროა, რომ ბუნებამ ის არ უბოძა იმ ადამიანებს, ვისაც თვით თანამდებობა ავალდებულებს მის ქონას.

გუშინ "უცნობი" ღელავდა. ასაღელვებელი ჰქონდა - მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. მინდა, რომ დღეს ოპოზიციის ლიდერებმა იღელვონ და ხვალ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღონ. ყველაზე მეტად კი ის მინდა, რომ ჩემი ბავშვი არ მოტყუვდეს. გარდამავალ ასაკშია.

# უცნობის არჩევანი

"ცხოვრებაში რომ არ მქონია, ისეთი დღე მაქვს, მაგრამ მნიშვნელოვანი", - ამ სიტყვებით პასუხობდა უცნობი სატელეფონო ზარებს გუშინ. პოპულარულმა მომღერალმა ცხოვრებაში ყველაზე რთული დღე "24 საათის" რედაქციაში დაიწყო. რედაქციაში დილიდან მოსული სენსაციური განცხადებისთვის დაგეგმილი პრესკონფერენციისთვის დათქმულ დრომდე საშინლად ნერვიულობდა, რაც ჟურნალისტებთან შეხვედრისას რამდენჯერმე აღნიშნა კიდეც.

"ვუპირისპირდები საკუთარ ოჯახსა და მეგობრებს და ვაკეთებ განცხადებას: იმისათვის, რომ გაერთიანება მოხდეს, ვფიქრობ ბოლო წევრად შევიდე გაერთიანებულ დემოკრატებში", - ასეთი იყო გუშინდელი განცხადების კულმინაციური ფრაზა, რომელიც უცნობმა "24 საათის" საკონფერენციო დარბაზში საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გააცნო ფართო საზოგადოებას. მათ შორის საკუთარ ძმასა და ოჯახს. გაჩეჩილაძეებმა "კურიერის" დღის გამოშვებიდან შეიტყვეს "უმცროსი გრეჩიხას" პოლიტიკური გადაწყვეტილების შესახებ. უცნობის თქმით, დაახლოებით ერთი კვირის წინათ ამ თემაზე მას გარკვეული პოლემიკა ჰქონდა ძმასთან, ხოლო ორდღიანი ფიქრის შემდეგ, დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება.

## მოკლედ

### მალერის უცნობი ხელნაწერები

ბავარიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გახსნილ გამოფენაზე, რომელსაც "მოლდენჰაუერის არქივების წერილები და მუსიკალური ხელნაწერები" ჰქვია, გუსტავ მალერის ორი დღემდე უცნობი ხელნაწერია წარმოდგენილი: მე-4 და მე-10 სიმფონიების ნოტური ჩანაწერები. ამ ორი ძვირფასი ექსპონატის გარდა, გამოფენის დამთვალიერებლები დიდი კომპოზიტორის მიერ დაწერილ 400 წერილს იხილავენ, რომლებიც ბავარიამ გერმანელ-ამერიკელი მუსიკათმცოდნისა და პიანისტის, ჰანს მოლდენჰაუერის კერძო კოლექციიდან შეიძინა.

გამოფენა 11 მაისამდე გაგრძელდება.

### მოდის მუზეუმი ლონდონში

9 მაისს ლონდონში ახალი - მოდის და ქსოვილების, მუზეუმი გაიხსნება. მუზეუმის მშენებლობას აფინანსებს დიზაინერი სანდრა როუდსი. აქ ბრიტანელი და უცხოელი დიზაინერების ნამუშევრებს გამოფენენ. დაგეგმილია ვივიენ ვესტვუდის, ჟანა მიურის და ოსი კლარკის გამოფენების მოწყობა.

### კოტე ყუბანეიშვილის განცხადება

მივმართავ ლიტერატურულ კონკურს "საბას" ორგანიზატორებს, რომ პირადი მოსაზრებების გამო, ჩემი წიგნი ამოიღონ ნომინანტთა სიიდან.

*კოტე ყუბანეიშვილი*

# ქართველი არისტოფანე „პარნასში„

თამარ სუხიშვილი

*"ათენში, აკროპოლისის მთის ძირას, დიონისეს თეატრში, დღისით, ღია ცის ქვეშ, ჩვიდმეტი ათასი მაყურებლის წინაშე გამოდის კომედიის გუნდი და თავის თანამოქალაქეთა და ატიკის დედაქალაქის სტუმართა წინაშე დაუნდობლად ესხმის თავს სახელმწიფოს მეთაურს, უკანასკნელი სიტყვებით მოიხსენიებს დიდ-დიდი თანამდებობის პირებს, სასტიკად აკრიტიკებს სახელმწიფოს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას, დასცინის ეროვნულ ტრადიციებს, აყალბებს სახელოვან ისტორიას და ა.შ. სახელმწიფოს მოღვაწეები და უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოღვაწეები კი იქვე, პირველ რიგში მსხდომნი, სიცილითა და ტაშით ეგებებიან თავიანთ საქვეყნო ლანძღვა-გინებას და დამცირებას... ასეთია ის არნახული თავისუფლება, რომელიც არც მანამდე და არც მას შემდეგ არცერთ სახელმწიფოს არ მიუნიჭებია რომელიმე ხელოვანისათვის და, მით უმეტეს, მთელი ჟანრისათვის,.." – ვკითხულობთ ლევან ბერძენიშვილის წინასიტყვაობაში ("ძველი ატიკური კომედია და არისტოფანე"), რომელიც ძველი ბერძენი კომედიოგრაფის - არისტოფანეს კომედიების თარგმანებს ერთვის. ლევან ბერძენიშვილის მიერ თარგმნილი არისტოფანეს ორი კომედია ("აქარნელები" და "მხედრები") გამომცემლობა "ლოგოს პრესმა" უკვე გამოსცა და რამდენიმე თვის წინ ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისი პრეზენტაციაც შედგა. გუშინ მთარგმნელს წიგნის მაღაზია "პარნასმა" უმასპინძლა.*



*"ქართველი არისტოფანე" გამომცემელთან, ლაშა ბერაიასთან ერთად*

ლევან ბერძენიშვილს ყველა იცნობს, ზოგს უყვარს, ზოგს არ უყვარს; მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს დამოკიდებულება მის მიმართ, ერთი რამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, ყველა პატივს სცემს მის აზრს და მისი აზროვნების ძალას. ნაცნობმეგობრები მას "ქართველ არისტოფანეს" ეძახიან. მარტო იმიტომ არა, რომ არისტოფანე აქვს ნათარგმნი და მისთვის ეს კომედიოგრაფი განსაკუთრებით ახლობელია, არამედ იმიტომაც, რომ მისი ცხოვრება არისტოფანეს ცხოვრებას ჰგავს: "სახელმწიფოც მიჩიოდა, პოლიტიკურ სატირაშიც შემჩნეული ვარ. სამჯერ მქონდა სასამართლო, სამივეჯერ წავაგე, არისტოფანესაც სამჯერ ჰქონდა საქმე სასამართლოში და მანაც სამივეჯერ წააგო,.." – ასე ხუმრობს ხოლმე ლევან ბერძენიშვილი და იქვე დასძენს: ცხოვრებით შეიძლება ვგავარ, თორემ არისტოფანე გენიოსი იყოო.

გუშინ "პარნასში" "ქართველი არისტოფანე" შეგნებულად თავს არიდებდა ჟურნალისტებთან პოლიტიკურ საკითხებზე საუბარს და მხოლოდ ლიტერატურაზე საუბრობდა (მკვლევარმა არ შეიმჩნია, როცა ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, ეს თქვენი დებიუტიაო? - და არისტოფანესეული ღიმილით უპასუხა: არა, დიდი ხნის წინ ვთარგმნე, მაგრამ ახლა გამოვეცი პირველადო), თუმცა პოლიტიკური თემატიკის სრული იგნორირება, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდა ერთი უბრალო მიზეზის გამო - ძველი ატიკური კომედია ხომ პოლიტიკური კომედიაა მწვავე პოლიტიკური სატირით.

"დღეს ეს ავტორი განსაკუთრებით გვჭირდება, არა მარტო როგორც ანტიკური კომედიის წარმომადგენელი, არამედ როგორც ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. თავისთავად ის ფაქტი, რომ ჩვენს დროში ლაპარაკია არისტოფანეზე, ძალიან ბევრს ნიშნავს, ეს ავტორი მხოლოდ ისტორიის კუთვნილება არაა, 25 საუკუნის შემდეგაც არისტოფანე თანამედროვეა ყველა იმ საზოგადოებისთვის და ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელშიც ხელისუფლება ისეთი არ არის, როგორიც უნდა იყოს," – ამბობს ლევან ბერძენიშვილი.

საკუთარი თარგმანების უპირველეს ღირსებად მთარგმნელი სიზუსტეს მიიჩნევს: თარგმანში ისედაც ბევრი რამ იკარგება და ამიტომ სიზუსტე აუცილებლად უნდა იყოს დაცულიო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თარგმანი უამრავი სხვა ღირსებითაც გამოირჩევა.

დაბოლოს, თუ აქამდე ქართველი მკითხველი კომედიის მამას – არისტოფანეს მხოლოდ ერთი ნაწარმოებით - "ფრინველებით" იცნობდა (ემზარ კვიტაიშვილის თარგმანი), ახლა საშუალება ექნება, მის შემოქმედებას (ჩვენამდე მოღწეულ 11 კომედიას) სრულად გაეცნოს ლევან ბერძენიშვილის თარგმანების საშუალებით. ლიტერატურის მოყვარულთათვის ეს ნამდვილად შესანიშნავი საჩუქარი იქნება.

გამომცემლობა "ლოგოს პრესი" (დირექტორი ლაშა ბერაია) არისტოფანეს კომედიების ხუთტომეულის დანარჩენი ტომების გამოცემას 2004 წლის დასასრულამდე გეგმავს. კომედიები ასეთნაირად იქნება განაწილებული: II ტომი - "ღრუბლები", "კრაზანები", III ტომი - "მშვიდობა", "ფრინველები", IV ტომი - "ლისისტრატე", "ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე", V ტომი - "ბაყაყები", "ქალები სახალხო კრებაზე", "პლუტოსი".

# ბიოგრაფიაცაა და ბიოგრაფიაც!

## ქართული მხატვრობის ამბავი "ქარვასლაში"

ანა კორძაია-სამადაშვილი

ძნელად მაგონდება გამოფენა, რომელსაც ასეთი ჭრელი საზოგადოება დასწრებია: ყველა თაობისა და მიმდინარეობის მხატვარი, გალერისტები, ხელოვნებათმცოდნეები და ის ერთიორი ხელოვნების კრიტიკოსიც, რომელიც კადნიერდება ხოლმე და, ყინწვისის ანგელოზის გარდა, თანამედროვე ქართულ ხელოვნებაზე წერასაც ბედავს.

საქმე ის გახლავთ, რომ გამოფენა, რომელიც გუშინ, "ქარვასლაში" გაიხსნა, ქართული მხატვრობის მეტ-ნაკლებად სრულ წარმოდგენას ისახავს მიზნად. უნდა ითქვას, რომ უდავოდ წარმატებული ექსპოზიციაა. ცხადია, ითვლება, რომ დამსწრეთა უმრავლესობა ამ საკითხში ისედაც გათვითცნობიერებული იყო, მაგრამ გამოფენის გახსნასთან ერთად აქ წიგნის პრეზენტაციაც შედგა, რომელშიც, გარდაცვლილი კლასიკოსების გარდა, დამსწრეთა უმრავლესობის ხელოვნებაზეც იყო საუბარი. ჰოდა, ყველას აინტერესებდა, რა კონტექსტში ახსენეს – მოგეხსენებათ, ქებაც და გალანძღვაც სასტიკი გვჩვევია.



*დავით ანდრიაძე თანაავტორებთან ერთად*

ამ წიგნის შესახებ ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს უკვე ვუამბეთ "ჭორად", როცა აზერბაიჯანელი ფოტოგრაფის, ხადიჯა ალიევას გამოფენის შესახებ მოხსენებისას ქეთევან კორძახიასა და დავით ანდრიაძესთან კერძო საუბრის შინაარსსაც შევეხეთ. ქართული მხატვრობის ბიოგრაფიას, კლასიკური curriculum vitae-ს სახით დაწერილს, ზემოთხსენებულმა ორმა ხელოვნებათმცოდნემ და გალერისტმა გიორგი ჯამბერიძემ სამიოდე კვირის წინათ მოჰკიდეს ხელი და საქმე, მართლაც, რეკორდულ ვადაში დაასრულეს.

თავად წიგნი, რომელიც იქვე, ვერნისაჟზეც იყიდებოდა, ფრიად საინტერესო მოვლენა გახლავთ. ვგონებ, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართული მხატვრობის ამბავი - ფიროსმანიდან დღემდე – მკითხველს ასეთი პოპულარული, სახალისო და, ამავე დროს, ფაქტობრივი მასალით მდიდარი სახით მიეწოდებინოთ. მისი ავტორები არც ვინმეს კრიტიკას ისახავენ მიზნად, არც აკადემიური გამოცემის პრეტენზია აქვთ და არც მშრალი ფაქტების გადმოცემით იფარგლებიან. ტექსტს კი აშკარად ეტყობა ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი დავით ანდრიაძის ხელი – არამარტო ღიმილისმომგვრელ პასაჟებს, არამედ საკითხის ღრმა ცოდნასაც ვგულისხმობ.

ამ წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი რამდენიმე დღის წინათ ქეთევან კორძახიას წყალობით ვნახე, და მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი არცთუ მცირე მოცულობისაა, იქვე წავიკითხე – ნამდვილად საინტერესოა. თუმცა, თავი დავით კაკაბაძის დიდ თაყვანისმცემლად მიმაჩნია, ნამდვილად არ ვიცოდი, რა შარი მოსდეს, რა მიზეზით დაატოვებინეს სამსახური; ისიც ხომ საინტერესოა, რა ერქვა იმხანად იმ დალოცვილ ქუჩას, რომელზეც ნიკო ფიროსმანის გამოფენა გაიხსნა – რა გითხრათ, უამრავი ამბავი გავიგე და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. თან "კულტურული" წიგნია, მშვენივრად გამოცემული და ილუსტრირებული.

რამდენადაც მივხვდი, გუშინდელი საღამოთი, გამოფენით და წიგნით ყველა კმაყოფილი დარჩა. ქეთევან კორძახიაც კი, რომელსაც ყველა ქათინაურზე ერთი (აუტანელი) პასუხი აქვს ხოლმე – "კარგი, რა", - უზარმაზარი თაიგულით ხელში, კმაყოფილი იღიმოდა. კორძახია-ანდრიაძე-ჯამბერიძის თანამშრომლობამ აშკარად გაამართლა. თუ ჩემი არ გჯერათ, "ქარვასლაში" მიბრძანდით – თავად დარწმუნდებით.

# ქორწილის შემდეგ ნამდვილ სცენაზე

## A`Студио-ს კონცერტი თბილისში

ვერა ნეფარიძე



A`Студио უკანასკნელად თბილისში სულ რაღაც ერთი თვის წინათ იყო, მაგრამ მათ დღევანდელ კონცერტს მაინც ისეთი ჟრიამულით ხვდებიან... ალბათ, იმიტომ, რომ მარტის შუა რიცხვებში ალმაატური ჯგუფის მოსმენა შეზღუდული რაოდენობის აუდიტორიამ შეძლო – განა რამდენი კაცი შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ ჩვეულებრივ თბილისურ ქორწილში.

სულ სხვაა A`Студио-ს დღევანდელი ამპლუა. ისინი ამჯერად რიგით ვარსკვლავებად მოგვევლინებიან, ვის კონცერტზეც "აჭარა მიუზიკ ჰოლი" ალბათ, გაივსება. და თუკი მართლა ასე მოხდება, ვფიქრობ, ორგანიზატორები შრომას წყალში არ ჩაუყრიან ქართულ "ემ-ტი-ვი"-ს, რომლის წყალობითაც ბოლო დროს ამ ჯგუფის სიმღერები ჩვენთან დაიზეპირეს კიდეც (ეჭვი მეპარება, მსგავსი რეკლამა თბილისში რომელიმე გასტროლიორს ჰქონოდა). ერთი სიტყვით, A`Студио-ს დასახვედრად ჩვენთან სერიოზული სამზადისი მიდიოდა, რის შედეგსაც დღეს საღამოს ვიხილავთ. მანამდე კი ცოტა რამ ამ ჯგუფის შესახებ, თუნდაც იმისათვის, რომ სტუმარი მუსიკოსების მიმართ ზედმეტი პრეტენზიები არ გვქონდეს.

ეს ჯგუფი თბილისურ სცენაზე ადრეც გამოსულა, თუ არ ვცდები, სპორტის სასახლეში, სადღაც 90-იანი წლების დასაწყისში. მაშინ ვოკალისტი ბატირხან შუკენოვი იყო. იმ დროისათვის A`Студио ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა; ხოლო, რადგანაც ქართული მუსიკალური სცენა რუსული მუსიკის ძალიან დიდ ზეგავლენას განიცდიდა, ჯგუფის ხმაურიან თბილისურ კონცერტს გარკვეული გამართლება ჰქონდა. დღეს ნამდვილად არ მესმის იმ აჟიოტაჟის, რომელიც A`Студио-ს უკანასკნელმა ჩამოსვლამ გამოიწვია საქართველოში. იმის მიუხედავად, რომ ჯგუფს პოლინა გრიფისის სახით მომხიბლავი ვოკალისტი ჰყავს, ამ კოლექტივის შემოქმედება დიდად არ ბრწყინავს. A`Студио რუსული მუსიკალური სცენის ტიპური წარმომადგენელია.

ჯგუფი ალმა-ატაში 1987 წელს ჩამოყალიბდა. ერთი წლის შემდეგ გამოუშვა ალბომი, ხოლო წარმატება მხოლოდ ერთ-ერთ სიმღერას - "ჯულიას", მოჰყვა. რამდენადაც ცნობილია, სიმღერა რუსული სცენის "მეგავარსკვლავს" - ფილიპ კირკოროვს მოსწონებია და მისი შესრულება გადაუწყვეტია; სწორედ ამის გამო დაინტერესდა ალა ბორისოვნა ჩანაწერით, რომლის გაცნობის შემდეგაც ჯგუფს თავის თეატრში მუშაობა შესთავაზა. ამას მოჰყვა ალა პუგაჩოვასთან ერთობლივი ტურნე, მონაწილეობა სხვადასხვა კონცერტებსა თუ ფესტივალებში, - სულ რომ არ წასულიყვნენ საზღვარგარეთ, გარკვეული წარმატება მათ უკვე რუსული პოპ-სცენის დედოფალთან სიახლოვით გარანტირებული ჰქონდათ. ასე გაიკვლია წარმატებებისკენ გზა ალმაატურმა ჯგუფმა, რომელიც 1990-იან წლებში ხშირად გასტროლიორობდა დსთ-ს ქვეყნებში.

1994 წლიდან A`Студио-ს წევრები ნიუ-იორკში ცნობილ ფირმა The Hit Factory-ში მუშაობდნენ სასესიო შემსრულებლებად, 2000 წელს კი კონცერტები ჰქონდა მაიამისა და ნიუ-იორკში. ამავე წელს ჯგუფი სოლო-კარიერის დაწყების მიზნით ვოკალისტმა დატოვა, მის ნაცვლად პოლინა გრიფისი მოვიდა. ეს უკანასკნელი წარმოშობით ქალაქ ტომსკიდან იყო და ბოლო ათი წლის განმავლობაში აშშ-ში ცხოვრობდა. როგორც მუსიკოსები ამბობდნენ, პოლინა თავისი საშემსრულებლო მანერით სრულად ეწერებოდა ჯგუფის სტილში. ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთი რამის თქმა შეიძლება – მის პოპულარობაზე ახალ წევრს უარყოფითად ნამდვილად არ უმოქმედია. სხვათა შორის, A`Студио-ს ერთ-ერთი ბოლო ინგლისურენოვანი სიმღერის ქართული ვერსია რამდენიმე თვის წინათ ქართული პოპ-სცენის ახალი თაობის წარმომადგენელმა, ქეთა თოფურიამ შემოგვთავაზა.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან იცურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმში რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## "სკუადრა აძურას" საფრთხე ემუქრება

იტალიაში შეშფოთებულნი არიან. თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ფიფა-ს აქვს დაგეგმილი, იტალიის ნაკრებს, ალბათ, ძალიან გაუჭირდება ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა. საქმე ის არის, რომ ფიფა-ს სურს, აზერბაიჯანის ნაკრები საერთაშორისო ტურნირებიდან გამოთიშოს. ამის მიზეზი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში შექმნილი პრობლემებია. ფიფა-ს უეფა-ც მხარს უბამს - აპირებს, აზერბაიჯანულ კლუბებს ევროტურნირებზე გამოსვლა აუკრძალოს.

თუ ფიფა, მართლაც, მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, მაშინ, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე აზერბაიჯანის ჯგუფში მყოფ კლუბებს ის ქულები ჩამოერთვათ, რაც მათ აზერბაიჯანის წინააღმდეგ თამაშისას მოიპოვეს. ამ მხრივ, ძალიან დაზარალდება იტალიის ნაკრები, რომელსაც ოთხი მატჩიდან მხოლოდ ორი აქვს მოგებული, მათ შორის ერთი სწორედ აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდთან. ამ ჯგუფში, ყველასთვის მოულოდნელად, უელსი ლიდერობს, იტალიელები უელსის ნაკრებს ხუთი ქულით ჩამორჩებიან, სერბიისა და ჩერნოგორიის კავშირის გუნდს კი ორი ქულით უსწრებენ. თუ "სკუადრა აძურას" აზერბაიჯანის ნაკრებთან მოპოვებული სამი ქულა ჩამოაკლდება, ხოლო ექს-იუგოსლავიელები, რომელთაც აზერბაიჯანთან მატჩი ფრედ დაასრულეს, ერთ ქულას დაკარგავენ, სერბია-ჩერნოგორიის კავშირის ნაკრები იტალიელებს დაეწევა და ორივეს 4-4 ქულა ექნება.

იმის გამო, რომ დარჩენილი სამი შეხვედრიდან "სკუადრა აძურა" ერთს შინ ატარებს და ისიც ჯგუფის ლიდერთან, უელსის ნაკრებთან, გასაკვირი სულაც არ არის, რომ იტალიაში ძალიან ნერვიულობენ და აზერბაიჯანთან აღებული სამი ქულის დაკარგვა არ სურთ. სად არის იმის გარანტია, რომ იტალიელები ფინეთსა და სერბია-ჩერნოგორიას აუცილებლად მოუგებენ და 2004 წლის ზაფხულში პორტუგალიაში გაემგზავრებიან?

## ინგლისში "არსენალს" დასცინიან

თითქმის, ერთი კვირის განმავლობაში ინგლისურ სპორტულ პრესაში აქტიურად ჭორაობდნენ ლონდონური გარიგების შესახებ, რომლის მიხედვითაც "არსენალს" "ჩელსისგან" ორი პერსპექტიული ფეხბურთელი - ჯონ ტერი და უილიამ გალასი უნდა ეყიდა. "არისტოკრატთა" გულშემატკივრები ძალიან ნერვიულობდნენ - არ უნდოდათ, რომ მათი კლუბის საუკეთესო ფეხბურთელებს მომდევნო სეზონიდან "მეთოფეთა" მაისურებში ეთამაშათ. "არსენალის" ფანები კი ამ ტრანსფერს მოუთმენლად ელოდნენ. საბოლოოდ ყველა ჩააჩერა "ჩელსის" პრეზიდენტმა კენ ბეიტსმა. მან განაცხადა, რომ ტერი და გალასი არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდნენ "არსენალში". "ჩვენი ფეხბურთელები რომ იყიდოს, "არსენალს" ძალიან დიდი თანხა სჭირდება. მას კი იმის ფულიც არა აქვს, რომ სტადიონის მშენებლობა დაასრულოს. "მეთოფეებმა" ჯერ თავიანთი ლიდერები უნდა გაყიდონ, რომ ფული იშოვონ. მხოლოდ ამის შემდეგ თუ შეძლებენ ისეთი ფეხბურთელების შეძენას, როგორიც ტერი და გალასი არიან", - მწარედ უკბინა თანაქალაქელებს "არისტოკრატთა" ბოსმა, რამაც დიდად გაამხიარულა "მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი გოლკიპერი ფაბიენ ბარტეზი.

"ვხედავ, როგორ უჭირთ ლონდონურ კლუბებს ფულის შოვნა. ლამის მე დავიწყო ზრუნვა მათი პრობლემების მოსაგვარებლად. ჩვენ დიდი სიამოვნებით შევიძენდით "არსენალის" ლიდერებს - ანრის, პირესს ან ვიეირას. ამ ფულით "არსენალი" სტადიონსაც ააშენებდა და "ჩელსის" ფეხბურთელებსაც იყიდდა. ასე ორივე ლონდონური კლუბი თანასწორი გახდებოდა და მათ შორის მატჩები, მუდამ ფრედ დასრულდებოდა, რაც ჩვენთვის ნამდვილად არახელსაყრელი შედეგი იქნებოდა", - ხუმრობის დიდი ნიჭი გამოამჟღავნა ბარტეზმა.

"არსენალის" მხრიდან კომენტარისგან ყველამ თავი შეიკავა. ტერისა და გალასის შეძენის საკითხიც ამით დაიხურა.

## "ინტერის" პრობლემები

შაბათს "სან-სიროზე" გამართული დერბის შემდეგ მილანის "ინტერი" ორმაგად დაზარალებული დარჩა. გარდა იმისა, რომ ფილიპო ინძაგიმ კუპერის გუნდს გოლი გაუტანა და მორიგი მარცხი აგემა, "ინტერმა" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელიც დაკარგა - მატჩის ბოლო წუთებზე "პარმას" ექს-კაპიტანმა ფაბიო კანავარომ მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო.

ექიმები ვარაუდობენ, რომ კანავაროს ფორმის აღდგენისთვის ერთი თვე დასჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ექტორ რაულ კუპერს დაცვის ხაზში დიდი პრობლემები შეექმნება. სერია A-ს მომავალ ტურში "ინტერი" "ბრეშას" ხვდება და კუპერი აქამდეც იმაზე დარდობს, ვინ დააყენოს დაცვაში. ფრანჩესკო კოკო ტრავმირებულია, ივან კორდობას კი დისკვალიფიკაცია აქვს. "ინტერს" პრობლემები ექნება ჩემპიონთა ლიგის მეორე მეოთხედფინალურ მატჩშიც, რომელსაც მომავალ კვირას "ვალენსიასთან" გამართავს. ესპანეთში ვერ გაემგზავრება თურქი ემრე, რომელმაც პირველ შეხვედრაში წითელი ბარათი მიიღო. თავის მხრივ, "ვალენსიას" დააკლდება დავიდ ალბელდა, რომელსაც უეფამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა "სან-სიროზე" ჩადენილი არასპორტული საქციელისთვის.

## "ვალენსიის" სურვილები

ესპანეთის ახლანდელი ჩემპიონის, "ვალენსიის" მენეჯერს პაკო იორენტეს განზრახული აქვს, რომში ჩავიდეს, რათა "ლაციოს" პრეზიდენტ სერჯო კრანიოტისთან საბოლოოდ გაარკვიოს გაიზკა მენდიეტას ტრანსფერთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი. იმის მიუხედავად, რომ უკვე თითქმის ორი წელიწადია, რაც "ლაციომ" მენდიეტა შეიძინა, რომაელებს ესპანური კლუბისთვის სატრანსფერო თანხა ბოლომდე არ გადაუხდიათ.

მენდიეტას გარდა, "ვალენსიას" "ლაციოსთან" სხვა საკითხებიც აქვს გასარკვევი. ესპანელებს კრანიოტის კლუბის მფლობელობაში მყოფი ორი ფეხბურთელის შეძენა სურთ. ერთი მათგანი არგენტინელი ფორვარდი კლაუდიო ლოპესია, რომელიც "ვალენსიამ" 2000 წელს მიჰყიდა "ლაციოს", მეორე კი გახლავთ სერბი დარკო კოვაჩევიჩი, რომელიც ამჟამად სან-სებასტიანის "რეალ სოსიედადში" ჰყავთ განათხოვრებული რომაელებს. კოვაჩევიჩი ბასკურ კლუბში კარგად თამაშობს. პრიმერა დივიზიონის გასულ ტურში მან მადრიდის "რეალს" ორი გოლი გაუტანა, რითაც სატრანსფერო ბაზარზე მისი აქციები კიდევ უფრო გაიზარდა.

## თავაზიანი ვიერი

შაბათს მილანური დერბი "ინტერისა" და "მილანის" შორის, რომელიც კარლო ანჩელოტის გუნდის გამარჯვებით დასრულდა, იმდენად დაძაბული და უხეში იყო, რომ მატჩის შემდეგ ზოგიერთი ფეხბურთელი პირდაპირ საავადმყოფოში მოხვდა. იოლად გადარჩენილებმა კი ორშაბათს ვარჯიშზე მისვლა ვერ შეძლეს.

ყველაზე სერიოზულად "მილანის" კაპიტანი პაოლო მალდინი დაზიანდა - "ინტერის" ფორვარდმა კრისტიან ვიერიმ მას ცხვირი გაუტეხა. ვიერი იმდენად დიდსულოვანი აღმოჩნდა, რომ მალდინი საავადმყოფოში მოინახულა და ბოდიში მოუხადა მომხდარი ინციდენტის გამო.

"ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს. მალდინის საავადმყოფოში მივაკითხე და ბოდიში მოვუხადე. უბედურება თამაშისას ხდება, მაგრამ ცუდი განზრახვა ნამდვილად არ მქონია. ძალიან ვნერვიულობ, რომ პაოლოს ტრავმა მივაყენე", - განაცხადა ვიერიმ.

## ისტორიული ფოტო

### ეს იყო 31 წლის წინათ...



1972 წლის 18 ივნისი, ბრიუსელი, ბელგია.
ევროპის ჩემპიონები:
ფრანც ბექენბაუერი და გიუნტერ ნეტცერი.

ფეხბურთი

# ფედერაცია, ნაკრები და სკანდალი

## "ლოკომოტივი" ეროვნულ ჩემპიონატს ტოვებს?

მიხეილ აბაიშვილი

*მიუხედავად იმისა, რომ გუშინ საქართველოში არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მატჩი არ ჩატარებულა, ეს დღე ქართულ საფეხბურთო ცხოვრებაში მაინც განსაკუთრებულად აქტიური, დაძაბული და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სკანდალური აღმოჩნდა: ფედერაციაში მოსული უეფა-ს ოფიციალური ვერდიქტი, რასაც მოსდევს სფფ-ს აღმასკომის სხდომა, შემდგომ ფედერაციის პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას და ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ივო შუშაკის პრესკონფერენციები, დაბოლოს, დამაგვირგვინებელი "აკორდი" - სფფ-ში შესული საფეხბურთო კლუბ "ლოკომოტივის" ოფიციალური წერილი იმის თაობაზე, რომ ეს კლუბი წყვეტს საქართველოს ჩემპიონატში თამაშს. მივყვეთ თანმიმდევრობით.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ჟორდანიას და კვარაცხელიას არაერთ კითხვაზე უწევდათ პასუხის გაცემა.*

აღმასკომის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მერაბ ჟორდანიამ დაადასტურა სფფ-ში უეფა-ს სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტიდან შეტყობინების მიღების ფაქტი. უეფა-ს ვერდიქტის მიხედვით, საქართველოსა და რუსეთის ნაკრები გუნდების საკვალიფიკაციო მატჩზე, რომელიც 30 აპრილს "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება, ბილეთების გაყიდვა იკრძალება და მასზე დასწრების უფლება, ორივე მხრიდან, მხოლოდ 75 კაცს ექნება. მათ რიცხვში შედიან საქართველოსა და რუსეთის ნაკრები გუნდების ფეხბურთელები, მწვრთნელები, მსაჯები და ის პირები, რომელთა დასწრება აუცილებელია შეხვედრის ნორმალურად ჩასატარებლად. უეფა-ს ჯერ არ განუსაზღვრავს, თუ მედიის რამდენ წარმომადგენელს მისცემს მატჩზე დასწრების უფლებას, თუმცა, ცნობილია, რომ აკრედიტაციები შეზღუდული რაოდენობით გაიცემა. მერაბ ჟორდანიამ აღგვითქვა, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა პრესისთვის მაქსიმალურად ბევრი ადგილი გამოსტყუოს ევროპის საფეხბურთო კავშირს.

"უეფა-ს ასეთი გადაწყვეტილება მოსალოდნელი კი იყო, მაგრამ მაინც იმედი გვქონდა, რომ ამ სანქციას ავიცილებდით. სამწუხაროდ, ვერაფერს გავაწყობთ – უეფა-ს ვერდიქტს უნდა დავემორჩილოთ. ასეთი მატჩების ჩატარების გამოცდილება არა გვაქვს. იმედია, ამ საქმეში არ გავიწაფებით და ეს ერთადერთი გამონაკლისი იქნება", - განაცხადა ჟორდანიამ.

სფფ-ს პრეზიდენტის თქმით, მართალია, უეფა ფულად ჯარიმას არ გვახდევინებს, მაგრამ სფფ-ს სერიოზული ფინანსური ზარალი მაინც მიადგება. კერძოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და "ლოკომოტივის" სტადიონის ხელმძღვანელობას შორის გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, "ლოკომოტივის" სტადიონს ბილეთების რეალიზაციიდან შემოსული თანხის ნაწილი ფედერაციის ანგარიშზე უნდა ჩაერიცხა. ამ შემოსავალს, გასაგები მიზეზების გამო, სფფ ველარ მიიღებს. "ჩვენსა და "ლოკომოტივის" სტადიონს შორის გაფორმებული კონტრაქტის პირობების შესრულება შეუძლებელი ხდება. ორივე მხარეს ახალი ხელშეკრულება გვაქვს მოსამზადებელი", - აღნიშნა ჟორდანიამ.

### ივო შუშაკი: "რევოლუციების დრო არ არის"

ჟორდანიას შემდეგ საკონფერენციო ესტაფეტა ნაკრების ხორვატმა მწვრთნელმა, ივო შუშაკმა გადაიბარა. პირველ რიგში, ფედერაციის დროებითმა კონტრაქტორმა (შუშაკი ეროვნულ ნაკრებს ორ უახლოეს თამაშზე უხელმძღვანელებს) თავისი თანაშემწეების ვინაობა გაგვიმხილა. ორი თვის განმავლობაში ნაკრების გაწვრთნაში ხორვატს ოთარ გაბელია და გივი ნოდია დაეხმარებიან. შეგახსენებთ, რომ ოთარ გაბელია, მურთაზ ხურცილავასთან ერთად, ეროვნული გუნდის ექს-მწვრთნელის, ალექსანდრე ჩივაძის თანაშემწეც იყო. შუშაკის თქმით, მან გაბელიასთან ერთად ხურცილავასაც შესთავაზა უწინდელ პოსტზე დარჩენა, მაგრამ ბატონმა მურთაზმა პირადი მიზეზების გამო ეს წინადადება არ მიიღო. თუმცა, შუშაკს აღუთქვა, რომ პირველივე საჭიროების შემთხვევაში დახმარებას გაუწევს.

შუშაკის თქმით, იგი რევოლუციების და კარდინალური ცვლილებების მომხრე არასდროს ყოფილა, მით უმეტეს, ისეთ ცაიტნოტში, როგორშიც მას უწევს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობის დაწყება. ამიტომ გამოძახების ფურცლები გაუგზავნა თითქმის იმავე ლეგიონერების კლუბებს, რომლებზეც ალექსანდრე ჩივაძე აკეთებდა აქცენტს. გამონაკლისია მხოლოდ თემურ ქეცბაია, რომელმაც სანაკრებო კარიერის დასრულებაზე ოფიციალურად განაცხადა. თუმცა, ქეცბაიას ადგილი შეუვსებელი არ დარჩენილა. მართალია, დიდი მონდომების მიუხედავად, შუშაკმა "დინამოში" მალხაზ ასათიანი ვერ გადაიყვანა, მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მაინც აისრულა წადილი და ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი ეროვნულ გუნდში მიიწვია. აი, იმ ლეგიონერთა ჩამონათვალი, რომელთა კლუბებსაც შუშაკმა მოწვევა გაუგზავნა: ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ნემსაძე (ორივე - "დანდი", შოტლანდია), ლევან ცქიტიშვილი, ალექსანდრე იაშვილი (ორივე - "ფრაიბურგი", გერმანია), რევაზ ქემოკლიძე, გივი დიდავა (ორივე - "ქოჯაელისპორი", თურქეთი), გოჩა ჯამარაული, გიორგი დემეტრაძე (ორივე - "მეტალურგი", უკრაინა), კახა კალაძე ("მილანი", იტალია), შოთა არველაძე ("გლაზგო რეინჯერსი", შოტლანდია), მალხაზ ასათიანი ("ლოკომოტივი", რუსეთი). ამ სიაში არ არიან ფრაიბურგელი ლევან კობიაშვილი და ტორპედო-მეტალურგელი ალექსანდრე რეხვიაშვილი, რომლებიც წინა მატჩებში დაგროვილი ყვითელი ბარათების გამო რუსებთან ვერ ითამაშებენ.

"ის, რომ ამ ფეხბურთელებს უკვე გავუგზავნეთ მოწვევა, მათ სამატჩო განაცხადში მოხვედრის გარანტიას არ აძლევს. უეფა-ს წესებით, კლუბმა ლეგიონერის გამოძახებაზე მოთხოვნა მატჩამდე 15 დღით ადრე უნდა მიიღოს. საბოლოო შემადგენლობას 21 აპრილს გამოვაცხადებ. თადარიგში მეყოლება 4 ისეთი ფეხბურთელი, რომლებსაც გაუთვალისწინებელი შემთხვევისას, მაგალითად, ტრავმისას, ჩანაცვლება შეეძლებათ", - თადარიგს იჭერს დროებითი მწვრთნელი.

შუშაკი უკმაყოფილოა უეფა-ს გადაწყვეტილებით და მიაჩნია, რომ მაყურებლის მხარდაჭერის გარეშე გამარჯვება უფრო გაჭირდება. "სამწუხაროა, რომ ქართველები ამ მატჩს ვერ დაესწრებიან. ამის გამო, "საკუთარი კედლების" ფაქტორი ჩვენს სასარგებლოდ ვერ იმუშავებს. ეს კი, უმეტეს შემთხვევაში, თანამედროვე ფეხბურთში მე-12 მოთამაშის ფუნქციას ასრულებს", - მიაჩნია ნაკრების თავკაცს.

ხორვატი სპეციალისტი რუსეთის ნაკრების თამაშს მაღალ შეფასებას აძლევს, თუმცა, მიაჩნია, რომ ქართველი ფეხბურთელები მეტოქეს არაფრით ჩამოუვარდებიან, პირიქით, რიგ კომპონენტებში, ინდივიდუალური თვალსაზრისით, სჯაბნიან კიდეც და მეტოქის დამარცხება შეუძლიათ. "მიმდინარე შესარჩევ ციკლში რუსეთის ნაკრების ორი მატჩი მაქვს ნანახი - სასტარტო, ირლანდიის ნაკრებთან, რომელიც რუსების გამარჯვებით, 4:2 დასრულდა და ბოლო - ალბანეთის ნაკრებთან, რომელშიც ალბანელებმა 3:1 დაამარცხეს მეტოქე. თუ ირლანდიელთა წინააღმდეგ ნაჩვენები თამაშით ვიმსჯელებთ, რუსეთის ნაკრებს სუსტი წერტილები, პრაქტიკულად, არა აქვს და მისი დამარცხება შეუძლებელია. სრულიად საპირისპირო შთაბეჭდილება დატოვა ჩვენმა მომავალმა მეტოქემ ალბანელებთან მატჩში. გამოჩნდა, რომ რუსებს დაცვასა და ნახევარდაცვაში ბევრი ხარვეზი აქვთ და მათი გამოყენება ჩვენც უნდა შევძლოთ", - აღნიშნა შუშაკმა.

ეროვნული გუნდის დროებით დამრიგებელს მიაჩნია, რომ ნაკრები პოლიგონი არ არის, სადაც ცდები უნდა ჩაატარო. "ყველაფრის მიუხედავად, გუნდს, რომელსაც ეროვნული ნაკრები ჰქვია, ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეეძლოს მობილიზება. სატურნირო მდგომარეობა სიმბოლურ, მაგრამ რაღაც შანსს კიდევ გვიტოვებს და ჩვენ ამ შანსის რეალიზაციისთვის უნდა ვიბრძოლოთ. მე უნდა შევქმნა გუნდი, რომელიც 11 კი არა, 18 კაცისგან შედგება და თვრამეტივე ერთი მიზნით იქნება გაერთიანებული – ნებისმიერ თამაშში, ნებისმიერ მეტოქესთან მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლოს. ეროვნულ ნაკრებს მხოლოდ ასეთი მენტალიტეტი ეკადრება", - გვასწავლის პატრიოტიზმს და ეროვნულ სულისკვეთებას შუშაკი და თუ ეს აქამდე ქართველმა მწვრთნელებმა ვერ მოახერხეს, იქნებ ხორვატმა მაინც შეძლოს.

### საქართველოს ჩემპიონატი "ლოკომოტივის" გარეშე?

პრესკონფერენციების დასრულების შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში მოვიდა თბილისის "ლოკომოტივის" პრესატაშე ნუგზარ ჯულელი, რომელმაც სენსაციური ამბავი გვამცნო: "ლოკომოტივი" საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში აღარ ითამაშებს. ამის მიზეზად ნუგზარ ჯულელმა რამდენიმე ფაქტი დაასახელა. მათ შორის უმთავრესი ის ყოფილა, რომ ორი დღის წინ ეროვნულ სტადიონზე "დინამოსა" და "ლოკომოტივის" კალენდარულ მატჩში მსაჯმა ლევან ფანიაშვილმა "დინამოს" კარში გატანილი გოლი არ ჩათვალა. ფანიაშვილმა გოლი იმ საბაბით გააუქმა, რომ ონიანმა კარში დარტყმამდე ბურთი ხელით გაისწორა. "როინ ონიანმა ბურთი მიიღო, კარში დაარტყა, გოლი გაიტანა და გახარებული გამოვარდა თანაგუნდელებისკენ. გვერდითი მსაჯიც ცენტრისკენ წამოვიდა. ფანიაშვილმა მხოლოდ ამის შემდეგ გააუქმა კარის აღება, აღნიშნა, რომ ონიანმა ხელით ითამაშა. საინფორმაციო საშუალებებმა ვიდეოფირზე აღბეჭდეს ეს მომენტი და ნათლად ჩანს, რომ "ლოკომოტივის" თავდამსხმელმა წესების სრული დაცვით გაათანაბრა ანგარიში. მსაჯების ასეთი დამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ სურთ, "დინამოს" ხონჩით მიართვან ჩემპიონობა. თუ ასეა, რაღა აზრი აქვს ასეთ ჩემპიონატში თამაშს? ჩვენ გვაქვს ბევრი სხვა ფაქტიც, რომელთაც ეროვნული ჩემპიონატის დისკრედიტაცია შეუძლიათ. თუ საჭირო გახდა, მათაც გამოვამზეურებთ. ხალხმა უნდა იცოდეს, რა სიბინძურეები ხდება ქართულ ფეხბურთში", - კატეგორიული იყო ნუგზარ ჯულელი.

და ერთიც: "ლოკომოტივის" პრესატაშეს თქმით, უსამართლოდ წაგებული მატჩის გამო გუნდის მთავარ მწვრთნელს, პერუელ ლუის ცაკარიასს გულის შეტევა მოსვლია და იგი, ინფარქტის დიაგნოზით, ჰოსპიტალიზებულია.

ამ კომენტარის შემდეგ ბატონი ნუგზარი შევიდა ფედერაციის ოფისში და გენერალური მდივნის, ვალერი ჩოლარიას კაბინეტში მერაბ ჟორდანიასა და ვიცე-პრეზიდენტს, ლერი სულაბერიძეს შეხვდა. ამავე კაბინეტში, ჩოლარიას მაგიდაზე იდო საპროტესტო წერილი, რომელიც ქართული ფეხბურთის მესვეურთ ატყობინებდა, რომ "ლოკომოტივმა" ეროვნული ჩემპიონატი დატოვა. გაიმართა ხანმოკლე დიალოგი. ჟორდანია ცდილობდა, დაერწმუნებინა სტუმარი, რომ "ლოკომოტივის" წინააღმდეგ მიზანმიმართულ კამპანიაზე საუბარს საფუძველი არ ჰქონდა და ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება, ქართულ ფეხბურთთან ერთად, პირველ რიგში, თავად ამ პერსპექტიულ და საინტერესო გუნდს მიაყენებდა გამოუსწორებელ ზიანს. თუმცა, ნუგზარ ჯულელს არ შეეძლო გადაწყვეტილება შეეცვალა, რადგან წერილი კლუბის პრეზიდენტის, აკაკი ჩხაიძის მიერ იყო ხელმოწერილი.

**ლევან ფანიაშვილი (მატჩის მთავარი არბიტრი):** "აქ ორი რამ უნდა გავითვალისწინოთ: ონიანმა ხელით ითამაშა, როგორც რუსები იტყვიან, "подыграл рукой" და მე დავაფიქსირე ეს დარღვევა. როგორც შევიტყვე, ოპონენტები აცხადებენ, რომ დაგვიანებით ჩავსტვინე. მართალია, ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ხელით თამაში, ესე იგი, დარღვევა ნამდვილად იყო და, დაგვიანებითაც რომ დამეფიქსირებინა, ეს მდგომარეობას არ შეცვლიდა. მაგრამ აქაც უდანაშაულო ვარ. წესის დარღვევის ნიშანი დარტყმის მომენტში მივეცი, ანუ, სასტვენის ხმა მაშინ გაისმა, როცა ბურთი ჯერ კიდევ მიფრინავდა და კარის ხაზი გადაკვეთილი არ ჰქონდა. მატჩის კომისარმა, ანატოლი მილჩენკომ, ჩემს გარჯას მისცა შეფასება "კარგი". იმავე საღამოს, ფედერაციის ხელმძღვანელობის თანდასწრებით, რამდენჯერმე ვნახეთ იმ ეპიზოდის ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ნათლად ჩანდა ის ყველაფერი, რაც მოგახსენეთ."

რომიკო შოთაძე (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი): "ვფიქრობ, "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ ეს წერილი ცხელ გულზე დაწერა და მიხვდება, რომ ფედერაცია გუნდის მარცხში არაფერ შუაშია. ჩემთვის გასაგებია "ლოკომოტივის" წარუმატებლობებით გამოწვეული მათი გულისტკივილი. მაგრამ "დინამომ" სამართლიან, სპორტულ ბრძოლაში გაიმარჯვა და აქ სადავო არაფერია. არსებობს ეპიზოდის რამდენიმე ვიდეოჩანაწერი, სადაც ეს დასტურდება. "ლოკომოტივი" თვითმყოფადი და დიდი პოტენციალის გუნდია, მას სერიოზული პერსპექტივები აქვს. მის გარეშე საქართველოს ჩემპიონატს ბევრი დააკლდება. დარწმუნებული ვარ, კლუბის ხელმძღვანელობა ნაჩქარევად მიღებულ გადაწყვეტილებას შეცვლის და ჩემპიონატში თამაშს გააგრძელებს."

"24 საათი" ეცადა, "ლოკომოტივის" პრეზიდენტის, აკაკი ჩხაიძის პოზიციაც შეეტყო, მაგრამ ბატონმა აკაკიმ არც ერთხელ არ უპასუხა მობილური ტელეფონის ზარს.

# ნახევარფინალი თბილისში, ნახევარფინალი ბათუმში

გუშინ "ქარიშხალას" სპორტკომპლექსმა ფუტზალში საქართველოს მე-9 ჩემპიონატის ორ პირველ ნახევარფინალურ მატჩს უმასპინძლა. პირველად "თსუ" და ქუთაისის "ქუთაისი" გავიდნენ მოედანზე, შემდეგ კი მეორე წყვილს - ბათუმის "მარდისა" და თბილისის "იბერია 2000"-ს უხმეს.

მოგეხსენებათ, ფუტზალში საქართველოს მე-9 ჩემპიონატმა 12 გუნდით აიღო სტარტი. ორ ქვეჯგუფად გაყოფილებმა, ერთმანეთში ორ-ორ წრედ ითამაშეს. შემდეგ გამოვლინდა მეოთხედფინალურ პლეი-ოფში გასული რვა გუნდი. ჩემპიონატის ფავორიტებად თავიდანვე მიაჩნდათ "იბერია 2000" და "თსუ", რომლებმაც თავ-თავიანთ ქვეჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს და საქართველოს თასზე თამაშის უფლება მოიპოვეს. თასის ფინალი კი ერთი კვირის წინათ გაიმართა. დაძაბულ ორთაბრძოლაში "იბერიამ" გაიმარჯვა – 2:1. პროგნოზები, ჯერჯერობით, მიმდინარე ჩემპიონატშიც მართლდება, რადგან ერთმაც და მეორემაც გუშინ პირველი ნახევარფინალური მატჩებიც სასურველი ანგარიშით დაასრულეს. გამარჯვება არ გასჭირვებია "თსუ-ს" - იგი იოლად გაუსწორდა "ქუთაისს". შედარებით დაძაბული გამოდგა მეორე წყვილის - "იბერიასა" და "მარდის" დაპირისპირება. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, ბათუმელები შინ რევანშის იმედად გაემგზავრნენ. განმეორებითი თამაშები ხვალ ბათუმში შედგება. თუ ბათუმში წაგებული გუნდები იყოჩაღებენ, მაშინ ფინალისტის ვინაობას 19 აპრილს, ბათუმშივე, დამატებითი შეხვედრისას შევიტყობთ. საქმე ის არის, რომ კენჭისყრის შედეგად ორი თამაშის უპირატესობა ბათუმს ხვდა წილად, ანუ საერთო ანგარიშის გაქვითვის შემთხვევაშიც მორიგ დაპირისპირებასაც ბათუმი უმასპინძლებს.

**პირველი ნახევარფინალური შეხვედრა**

თსუ 8:3 ქუთაისი
იბერია 3:1 მარდი

რაგბი

# რუსები ახალგაზრდებმაც დაამარცხეს

პაატა თოთაძე

პარიზში მიმდინარე ჭაბუკ მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ბოლო ტური, როგორც ორგანიზატორები უწოდებენ, ფინალური მატჩები დარჩა გასამართი. ამ შემთხვევაში ფინალი მხოლოდ პირველ-მეორე ადგილებზე გასულთა გასარკვევ მატჩზე არ ითქმის. ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე უკლებლივ ყველა ადგილი თამაშდება და თითოეულისთვის ბრძოლას ფინალი ეწოდება.

სანამ ფინალები გაიმართება, გაირკვა იმ გუნდთა ვინაობა, რომლებსაც A ჯგუფის დატოვება მოუწევთ. აგრეთვე მათი, ვინც მათ ადგილს დაიჭერს. პირველად ცნობილი გახდნენ B ჯგუფის გამარჯვებულები, ანუ ისინი, ვისაც მომავალი წლიდან ელიტარულ A ჯგუფში მოუწევთ თამაში. ურუგვაიმ და ჩილემ ეს უფლება ტუნისისა და პორტუგალიის დამარცხებით მოიპოვეს. ტუნისელებს სამხრეთამერიკელებთან მატჩში ბოლო წუთზე ლელოს გატანა და ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ აფრიკელთა ერთ-ერთმა სამმეოთხედელმა ბოლო მომენტში ვერ ივარგა და თავისიანებიც მომავალ წელს ისევ ქვედა ჯგუფში სათადარიგოდ "გაიმეტა" - 13:6. მეორე ნახევარფინალში ჩილემ მოუგო პორტუგალიას. მართალია, ანგარიშიდან გამომდინარე ამას ვერ იტყვი, მაგრამ სამხრეთამერიკელები მთელი მატჩის განმავლობაში აკონტროლებდნენ სიტუაციას მოედანზე და პორტუგალიელებს შეხვედრის გადარჩენის შესაძლებლობა არ მისცეს - 22:14. სამხრეთამერიკელები მომავალი წლიდან A ჯგუფში ბოლო ორ ადგილზე გასულ რუმინეთსა და კანადას ჩაენაცვლებიან.



ჩილე - პორტუგალია

რაც შეეხება A ჯგუფს, ჩვენთვის საინტერესო ამბები გუშინ საღამოს დაიწყო. უფროსი ბორჯღალოსნების მსგავსად, ჭაბუკებსაც, ზედიზედ მეორე წელია, რუს თანატოლებთან უწევთ პაექრობა. ქართველებს მომავალი რუსებზე უკეთესი, რომ გვყავს ამ მატჩმაც დაადასტურა, რომელშიც ჩვენებმა 16:8 გაიმარჯვეს. ახლა ქართველები შარშანდელივით მეცხრე ადგილისთვის იბრძოლებენ, ოღონდ ამჯერად მათი მეტოქე იაპონია იქნება.

ტურნირის დაწყებამდე ნავარაუდევი (შარშანდელი) ფინალი არ შედგა მასპინძელთა მიზეზით - ფრანგები ნახევარფინალში სამხრეთაფრიკელებთან დამარცხდნენ - 20:15. მეორე ნახევარფინალში კი ახალმა ზელანდიამ 27:24 დაამარცხა არგენტინა.

ფეხბურთი

# „ბარსელონას" მდგომარეობა საგანგაშო იყო

## ინტერვიუ რადომირ ანტიჩთან

*სულ ცოტა ხნის წინათ დიადი "ბარსელონა" უფსკრულის პირას იდგა. შემდეგ მოვიდა ანტიჩი, კაცი, რომელმაც კატალონიას მომავლის იმედი დაუბრუნა. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის ჩემპიონატში საქმეები არც თუ ისე კარგად მიდის, "ბარსა" ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი ფავორიტია.*

**- ესპანეთის ჩემპიონატში მაინცდამაინც დიდი წარმატებით არ გამოდიხართ, ჩემპიონთა ლიგაში კი, პირიქით, - ბრწყინავთ. რით ახსნით ასეთ განსხვავებულ შედეგებს?**

- ჩემპიონთა ლიგაში ყოველთვის შემტევ ფეხბურთს ვთამაშობდით. სწორედ ეს არის განსხვავება. ძნელია, ესპანეთის ჩემპიონატში გამუდმებით ასე ითამაშო. აქ არ არსებობს იოლი მატჩები. ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე მილანის "ინტერს" ვეთამაშეთ. იტალიურ გუნდებს სრულიად სხვაგვარი სტილი აქვთ, ეტყობა, მათთან უფრო გამოგვდის თამაში.

**- "ბარსელონას" მაშინ ჩაუდექით სათავეში, როდესაც კლუბი უმძიმეს მდგომარეობაში იყო. თქვენ გაჭირვების ტალკვესად მოევლინეთ ამ გუნდს. როგორი იყო თქვენთვის ეს პერიოდი და რა მდგომარეობაა ახლა "ბარსელონაში"?**

- "ბარსელონას" ირგვლივ ყოველთვის ბევრი ჭორი ვრცელდება, ბევრს წერენ და საუბრობენ. ეს ბუნებრივია. გუნდში იყო ბევრი ტრავმა და, შესაბამისად, ცუდი შედეგები.



ანტიჩი მომავალს იმედიანად უყურებს

მდგომარეობა ცოტა ქაოსურიც იყო, თითქმის საგანგაშო. მე გარკვეული ტაქტიკური ცვლილებები მოვახდინე. ზოგიერთი ფეხბურთელი ახლაც არ არის ბოლომდე გამოჯანმრთელებული. ასე რომ, მოთმინებაა საჭირო.

**- შარშან "ბარსელონამ" გერმანელი მეკარე, რობერტ ენკე შეიძინა. ისევე როგორც ვან გაალი, ძირითად შემადგენლობაში მას არც თქვენ აყენებთ. შეცდომა ხომ არ იყო ენკეს შეძენა?**

- ის ნამდვილი პროფესიონალია, კარგად მუშაობს, თუმცა, ბონანოსა და ვალდესის სახით ორი ძლიერი კონკურენტი ჰყავს. მან საკუთარ თავზე მუშაობა უნდა გააგრძელოს და თავის შანსს დაელოდოს, შემდეგ კი ეს შანსი გამოიყენოს.

**- ხმები დადის, თითქოს, "ბარსელონა" ოლივერ კანის შეძენას აპირებს. რას იტყვით ამ ჭორთან დაკავშირებით?**

- ახლა ისეთ ფაზაში ვართ, რომ ჩვენს ირგვლივ ბევრი ჭორი ვრცელდება. ვფიქრობ, ახლა არ არის ასეთი საუბრის დრო. პრესა დაუკრეფავში გადადის. იმასაც ამბობენ, თითქოს, "ბაიერნს" იტალიის ჩემპიონატში სურს თამაში. ეს ყველაფერი გადაჭარბებული ფანტაზიის ბრალია.

**- მომავალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაში ცვლილებებია მოსალოდნელი. მეორე ჯგუფური ეტაპი გაუქმდება. რას იტყვით ლიგის ფორმატის შეცვლის თაობაზე?**

- მივესალმები ამ ცვლილებებს. ეს აუცილებელი იყო. მატჩების რაოდენობა მეტისმეტად ბევრია, კლუბებს ამოსუნთქვის საშუალება არა აქვთ. ამის გამო ფეხბურთით სიამოვნების მიღება შეუძლებელი იყო. ამდენი თამაში კლავს ფეხბურთს.

**- ვის მიგაჩნიათ წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ფავორიტად?**

- ფავორიტი არ არსებობს. მაგრამ თუ წლევანდელი სეზონის შედეგებით ვიმსჯელებთ, ფავორიტი "ბარსელონაა". აქამდე ჩვენ საუკეთესო შედეგები გვქონდა.

კალათბურთი

# პლეი-ოფი ახლოვდება

**NBA რეგულარული ჩემპიონატი.**

*ტორონტო - მაიამი 99:103, ნიუ-იორკი - ინდიანა 93:109, ჰიუსტონი - მემფისი 97:86, ჩიკაგო - ფილადელფია 115:106, პორტლენდი - ფინიქსი 120:102, ლეიკერსი - დენვერი 126:104*

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში დასასრულს უახლოვდება რეგულარული ჩემპიონატი. უკვე გაირკვა 16 საუკეთესო გუნდი, რომელიც პირველობისთვის პლეი-ოფის წესით იბრძოლებს. ბოლო დღეების მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ აღმოსავლეთ კონფერენციაში "დეტროიტმა" "ნიუ-ჯერსის" პირველობა წაართვა, მაგრამ მათ შორის სხვაობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ პირველი ადგილის ბედი, ალბათ, რეგულარული ჩემპიონატის ფინიშზე გადაწყდება. "დეტროიტის" მდგომარეობას ბენ უოლესის ტრავმა ამძიმებს. ის, როგორც ჩანს, ზედიზედ მეორედ მოიპოვებს წლის საუკეთესო მცველის ტიტულს. უოლესს რამდენიმე კვირით მოუწევს იძულებითი დასვენება და თუ პლეი-ოფისთვის მწყობრში არ ჩადგება, გუნდს მრავალი თავსატეხი გაუჩნდება.

რაც შეეხება ჯორდანს, "მფრინავ მაიკლს", MCI Center-ი დიდი ზარზეიმითა და სამწუთიანი ოვაციით დაემშვიდობა. "ვაშინგტონ უიზარდსმა" ლეგენდარული ლიდერის ხელმძღვანელობით უკანასკნელი მატჩი გამართა "ნიუ-იორკ ნიქსთან", მაგრამ ჯორდანის ძალისხმევა მასპინძელთა გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. "ვაშინგტონი" დამარცხდა - 79:93 და პლეი-ოფს მიღმა აღმოჩნდა. გუნდის მწვრთნელმა დუგ კოლინზმა კი მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ზაფხულში "უიზარდსში" რადიკალური ცვლილებები განხორციელდება.



სტეფანია პლეიოფებს მიღმა დარჩა

კვირის მოთამაშეებად აღმოსავლეთ კონფერენციაში "ორლანდო მეჯიკის" ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი, ხოლო დასავლეთში "ფინიქს სანსის" ფორვარდი შონ მერიონი აღიარეს. ტრეისი მაკგრეიდიმ ეს ტიტული მიმდინარე სეზონში მესამედ მოიპოვა. გასულ კვირაში ჩატარებულ სამ შეხვედრაში მაკგრეიდიმ, საშუალოდ, 36,3 ქულა მოაგროვა. "მეჯიკმა" სამივე თამაში მოიგო. ამჟამად ტრეისი მაკგრეიდის ჯამური მონაგარი სეზონში 2385 ქულას შეადგენს, რაც კლუბის ახალი რეკორდია. წინა მიღწევა 9 წლის წინათ დაფიქსირდა და ის შაკილ ო`ნილს ეკუთვნის. კვირა წარმატებული გამოდგა შონ მერიონისთვისაც. "სანსმა" ოთხივე თამაში მოიგო და დასავლეთ კონფერენციაში გახდა ბოლო გუნდი, რომელმაც პლეი-ოფის საგზური მოიპოვა. მერიონის სტატისტიკურმა მონაგარმა ამ ერთკვირიან მონაკვეთში 26,5 ქულა, 9,3 მოხსნა და 3,75 ჩაჭრა შეადგინა.

რაც შეეხება ვლადიმერ სტეფანიასა და ნიკა ცქიტიშვილს, სამშაბათს ორივე მათგანმა ითამაშა. ცქიტიშვილის "დენვერ ნაგეთსი", როგორც მოსალოდნელი იყო, ლოს-ანჯელესში "ლეიკერსთან" დამარცხდა. "მაიამი ჰიტმა" კი ტორონტოში აჯობა "რეპტორზს". ნიკამ თავის ანგარიშზე 36 წუთში 11 ქულა, 3 მოხსნა, 5 გადაცემა და 1 ჩაჭრა მიითვალა. ვლადიმერ სტეფანიას მიღწევა 6 წუთში 8 ქულასა და 3 მოხსნას შეადგენს.

აღმოსავლეთ კონფერენცია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **დეტროიტი** | 81 | 50 | 31 | 61,73 |
| **ნიუ-ჯერსი** | 81 | 49 | 32 | 60,49 |
| **ფილადელფია** | 81 | 47 | 34 | 58,02 |
| **ინდიანა** | 81 | 47 | 34 | 58,02 |
| **ჰორნეთსი** | 81 | 46 | 35 | 56,79 |
| **ბოსტონი** | 81 | 43 | 38 | 53,09 |
| **ორლანდო** | 81 | 42 | 39 | 51,85 |
| **მილუოკი** | 81 | 41 | 40 | 50,62 |
| ვაშინგტონი | 81 | 37 | 44 | 45,68 |
| ნიუ-იორკი | 82 | 37 | 45 | 45,12 |
| ატლანტა | 81 | 35 | 46 | 43,2! |
| ჩიკაგო | 82 | 30 | 52 | 36,59 |
| ტორონტო | 81 | 24 | 57 | 29,63 |
| მაიამი | 82 | 25 | 57 | 30,49 |
| კლივლენდი | 81 | 16 | 65 | 19,75 |

დასავლეთ კონფერენცია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **სან-ანტონიო** | 81 | 60 | 21 | 74,07 |
| **დალასი** | 81 | 59 | 22 | 72,84 |
| **საკრამენტო** | 81 | 58 | 23 | 71,60 |
| **მინესოტა** | 81 | 50 | 31 | 61,73 |
| **პორტლენდი** | 81 | 50 | 31 | 61,73 |
| **ლეიკერსი** | 81 | 49 | 32 | 60,49 |
| **იუტა** | 81 | 47 | 34 | 58,02 |
| **ფინიქსი** | 81 | 44 | 37 | 54,32 |
| ჰიუსტონი | 81 | 42 | 39 | 51,85 |
| სიეტლი | 81 | 39 | 42 | 48,15 |
| გოლდენ სტ. | 81 | 38 | 43 | 46,91 |
| მემფისი | 81 | 28 | 53 | 34,57 |
| კლიპერსი | 81 | 26 | 55 | 32,10 |
| დენვერი | 81 | 17 | 64 | 20,99 |

წუთიერი დუმილი

პაატა თოთაძე

# ცივი, სუსხიანი, თოვლიანი, შავი ოქტომბერი

ადრე თუ გვიან ყველაფერი მჟღავნდება. ისიც კი, რასაც ისტორიაში უპირებენ დამალვას იმის იმედით, რომ წლების შემდეგ აღარავის გაახსენდება.

1982 წლის 20 ოქტომბერს მოსკოვში, "ლუჟნიკებზე" დატრიალებულ ტრაგედიას შვიდ წელიწადს მალავდნენ. ეს ოფიციალურად, თორემ საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული მოვლენის შესახებ დღესაც ბევრმა არაფერი იცის, სრული სიმართლე კი - თითქმის არავინ.

იცით, ოქტომბრის მიწურულს "ლუჟნიკებზე" რატომ არ მართავენდნენ მატჩებს? ოფიციალური ვერსია, რომ მოედნის საფარი უვარგისი იყო, ცუდი არგუმენტია, რადგან წელიწადის ამ დროს მოსკოვის სხვა სტადიონებზე თამაშების ჩატარებას ხელს არაფერი უშლიდა. ასე რომ, მოედნის უხარისხობა მხოლოდ მიზეზი იყო და არა მოტივი. მოტივი ის იყო, რომ ჩინიანებს არ სურდათ იმ ტრაგედიის გახსენება, ყვავილებით დაფარული მოედნის ხილვა. დღესაც არ სურთ.

1989 წელს მსოფლიო შეძრა შეფილდში დატრიალებულმა ტრაგედიამ. ინგლისის თასის ნახევარფინალური მატჩის ("ლივერპული"-"ნოტინგემ ფორესტი") დროს 95 ადამიანი დაიღუპა. მაშინ მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიები რეპორტაჟებს აწყობდნენ "ჰილსბოროდან". არც იმდროინდელმა საბჭოთა ტელევიზიამ შეირცხვინა თავი და აჩვენა სტადიონი, რომელიც უმოკლეს დროში ასამდე ადამიანის სიკვდილის ადგილად იქცა. ვუყურებდი ამ კადრებს, ვხედავდი ყვავილებით დაფარულ სათამაშო მოედანს და ვფიქრობდი კარგა ხნით ადრე მოსკოვში დატრიალებულ ტრაგედიაზე, რომელმაც, სხვებთან ერთად, ფეხბურთის მოყვარული რვა ქართველის სიცოცხლე შეიწირა. იმ ტრაგედიის შესახებ ვიცოდი და ამავე დროს არც ვიცოდი, მჯეროდა და ვერც ვიჯერებდი. ანდა როგორი დასაჯერებელი იყო, რომ ქვეყნის მთავარ არენაზე ასეთი რამ მოხდა. მახსოვს, ტრაგედიიდან ცოტა ხანში ბიძაჩემი ეუბნებოდა მამაჩემს, მოსკოვში რაღაც მოხდა და არაფერს ამბობენო. მისთვის მეგობარს უთქვამს, რომელსაც, ზუსტად არ მახსოვს, ვინ, მაგრამ ახლობელი კი დაღუპვია. მას შემდეგ დიდი ხნის მანძილზე ამაზე არაფერი თქმულა და საქვეყნოდ მხოლოდ შეფილდში მომხდარის შემდეგ გახდა ცნობილი. შესაძლოა, მოსკოვში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ადრეც გაცხადებულიყო, მაგრამ ტრაგედიიდან ოცი დღის შემდეგ გარდაიცვალა ლეონიდ ბრეჟნევი, მისმა მემკვიდრემ იური ანდროპოვმა კი ეს ამბავი განსაკუთრებით საიდუმლოდ გამოაცხადა.

იმ დღეს მოსკოვში უეფა-ს თასის მეთექვსმეტედფინალურ მატჩში "სპარტაკი" ჰოლანდიის "ჰაარლემს" მასპინძლობდა. შემოდგომის ცივ, სუსხიან და თოვლიან საღამოს სტადიონზე წასვლა 15 000-მდე მაყურებელმა გადაწყვიტა. სტადიონის დირექციამაც, წესრიგის დამცველებთან ერთად, გადაწყვიტა, ცხოვრება გაეადვილებინა და თოვლისგან გაწმინდა მხოლოდ ერთი ტრიბუნა, სადაც დასვეს კიდეც მატჩის საყურებლად მისულნი. ამასთან, მატჩისას დაკეტეს ყველა შესასვლელ-გასასვლელი, ერთის გარდა. თამაში მთავრდებოდა, მასპინძლები 1:0 იგებდნენ. მაყურებელთა ნაწილი ნაადრევად ტოვებდა სტადიონს. სწორედ ამ დროს სტადიონზე დარჩენილთა სიხარულის ყიჟინა შემოესმათ – შვეცოვმა მეორე გოლი გაიტანა. ერთ გასასვლელს მიმწყდარი მაყურებელი უკან შებრუნდა. ზოგი კიბეზე იდგა, ზოგიც უკვე გასული იყო. ამ დროს მსაჯმა, თამაშის დასრულების ნიშნად, ჩასტვინა და ტრიბუნაზე დარჩენილები გასასვლელისკენ დაიძრნენ. მაყურებელთა ორი ნაკადი ერთადერთი ღია გასასვლელის მოყინულ კიბეზე შეხვდა ერთმანეთს და... დაწყებულ ჭყლეტაში, რომელსაც კიბის ჩანგრევაც დაემატა, ოფიციალური მონაცემებით 66 ადამიანი დაიღუპა, თუმცა, დანამდვილებითაა ცნობილი, რომ დაღუპულთა რიცხვმა ორ ასეულს გადააჭარბა, ხუთასამდე კი დაშავდა.

ამბობენ, ტრაგედიის კიდევ ერთი კატალიზატორი ერთ-ერთი გულშემატკივრის ფეხსაცმლის მოტეხილი ქუსლი გახდა. წაქცეული მანდილოსნის დახმარების მსურველები ერთხანს აკავებდნენ ტრიბუნებიდან წამოსული ხალხის ნაკადს, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერი გააწყვეს.

"ტრაგედიის მეორე ღამეს ვერაფრით ვერ დავიძინე. მას შემდეგ 20 ოქტომბერს საერთოდ ვერ ვიძინებ, იქ ნანახი მახსენდება. იმ გოგონას სახე კი, რომელსაც ვერაფერი ვუშველე, მუდამ თვალწინ მიდგას. კიბე, მთელ სიგრძეზე, დაშავებული და დაღუპული ადამიანებით იყო სავსე... ოთხნი ვიყავით, მე და სამი მილიციელი. ნანგრევებში მოყოლილ 18 წლის გოგონას სუნთქვა უჭირდა, ხმადაბლა გვემუდარებოდა, მიშველეთო. ჩვენ, ოთხმა, მისი ამოყვანა ვერ შევძელით, სამუდამოდ იქ დარჩა. გარეთ საშინელება ხდებოდა. თოვლით გადათეთრებული სტადიონის შემოგარენი წითლად შეიღება. "სასწრაფო დახმარება" არსად ჩანდა. მხოლოდ ერთი მანქანა იყო, ის, რომელიც სტადიონზე, მატჩისას მორიგეობდა. მილიციამ ალყა შემოარტყა სტადიონს და არც შიგნით უშვებდა ვინმეს, არც - გარეთ. უბედურება ის არის, რომ არც დაჭრილებს ეხმარებოდნენ. იდგნენ და არავის უშვებდნენ. ჩანს, ვილაცის ბრძანებას ელოდნენ", - მომხდარიდან ოცი წლის შემდეგ იგონებს ერთ-ერთი თვითმხილველი.

1982 წლის 20 ოქტომბერს უამრავ დედას არ დაუბრუნდა შვილი სახლში. მათ დღესაც არ იციან, ვის გამო დატრიალდა ასეთი ტრაგედია, ვინ გასცა გასასვლელების დაკეტვის ბრძანება, ვინ არ მიუშვა "სასწრაფო დახმარების" მანქანები სტადიონამდე მანამ, სანამ დაჭრილთა შველა შეიძლებოდა. გამოძიების მასალებმა ამ საქმესთან დაკავშირებით 10 ტომი შეადგინა, თუმცა, ნამდვილი დამნაშავე არ დასჯილა.

მას შემდეგ "ლუჟნიკებზე" არაერთი მატჩი ჩატარდა, კონცერტებიც გამართულა, გასასვლელები კი არ ჩაკეტილა. ყველა თუ არა, უმეტესობა ღია იყო. წარსულის გაკვეთილის დავიწყება კიდევ ერთი ტრაგედია იქნებოდა...

ფრენბურთი

# ფრენბურთის მეორედ მოსვლა

## საქართველოს ნაკრები პირველ საშინაო საერთაშორისო მატჩს გამართავს

ფრენბურთი ბრუნდება საქართველოში. ვილაცა იტყვის, როდის ყოფილა, ან როდის წასულა, დასაბრუნებლად რომ გაუხდა საქმეო. იყო, ნამდვილად იყო 1995 წლამდე. იმ წელს ხორვატიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე (ახალგაზრდებს შორის) უსახსრობის გამო საქართველოს ნაკრებმა მონაწილეობა ვერ მიიღო. საერთაშორისო ფედერაციის რეაქციამ არ დააყოვნა: ქართველები 16 000 შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა. ისევ და ისევ უსახსრობის გამო ამ თანხის გადახდა 2001 წლამდე (ანუ ფედერაციის სათავეში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლამდე) არ მოხერხდა. იმის შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე ჯერ ქართული კლუბები გამოჩნდნენ, შემდეგ კი - ნაკრები. ისე მოხდა, რომ საქართველოს ნაკრებს სულ უცხოეთში უწევდა მატჩების ჩატარება. ფრენბურთში, სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირები მიმოსვლით კი არა, ტურებად ტარდება. ამიტომაც საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, სტუმრად მოეწვიათ სომხეთის ეროვნული გუნდი და ნაკრებსაც შინაურ კედლებში პირველი მატჩი ჩაეტარებინა. ეს თამაში ხვალ სპორტის სასახლეში 16 საათზე დაიწყება. ამასთან დაკავშირებით გუშინ ფედერაციის ხელმძღვანელობამ ჩაატარა პრესკონფერენცია, რომელზეც, მომავალი მატჩის გარდა, ქართული ფრენბურთის ავკარგზე, მომავალზე ისაუბრეს.

ქართველებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი ტურის მატჩები შარშან ესტონეთში გამართეს. ჯგუფში ჩვენი ნაკრების მეტოქეები არიან ლატვია, ესტონეთი და აზერბაიჯანი. მეორე ტური ივნისში ლატვიაში ჩატარდება. პირველ ტურში ჩვენმა ფრენბურთელებმა ყველა მატჩი წააგეს. რაც შეეხება მეორე ტურს, ესტონეთი და ლატვია შედარებით მაღალი დონეა, რომელსაც ჯერჯერობით ვერ შევწვდებით, აზერბაიჯანს კი უნდა მოვუგოთო, - აცხადებენ ნაკრების ხელმძღვანელები.

**ინტერნეტის განვითარების ჯგუფი - საქართველო აწყობს სასკოლო ინტერნეტის გვერდების კონკურსს**

განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე სკოლის ადმინისტრაციისაგან მიიღება 1 მაისამდე

კონკურსის პირობები კავშირის გვერდზე
**www.idg-georgia.org.ge**
ან
თვით კავშირში
თბილისი, რუსთაველის **22**
ტელეფონი: **990037**
ელ. ფოსტა: **idg@idg-georgia.org.ge**

**ციფრული მონტაჟის, ოპერატორის ხელოვნებისა და ფოტო საქმის შემსწავლელი სასწავლო სატელევიზიო ცენტრის სერთიფიცირებული ორთვიანი კურსები პირველი მაისიდან.**
**ტელ: 34-41-15, 34-67-50**
etv@ip.osgf.ge

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9[00]-დან 20[00]-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742




## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ან იცვლება საცხოვრებელი 140 კვ.მ. კაპიტალური კერძო სახლი, ჭერი 3,80 სმ, ეზო - 400 კვ.მ., 2 მანქანის სადგომით საბურთალოზე, ვაზისუბნის 99. 37 33 76

იყიდება 11-ოთახიანი კეთილმოწყობილი კერძო სახლი საბურთალოზე 400 000-ად ან ქირავდება უცხოელებზე 5 000-ად. 98 32 80

იყიდება "ყავლაშვილის" გარემონტებული 2-ოთახიანი ბინა 9(3) ბ/აირით მეუნარგიაზე. ფასი 14 000. 95 79 13

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41**
**69-94-27 ბელა.**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

## ბინები

### ქირა, ბირჟა

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.**
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

ქირავდება
4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.

## მანქანები

**იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866**

**იყიდება !**
ა/მ **AUDI 90 Coupe GT.** 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$
ტელ: 899 16 28 68

## სწავლება

სატენდერო წინადადებების მომზადების და ექსპერტიზის ტრენინგ-პროგრამა პროფესიონალებისთვის. 38-54-78. 899 115545..

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

## სხვადასხვა

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი გთავაზობთ მხატვრულ ლიტერატურას, სამეცნიერო და სხვა სახის ნაშრომების მაღალი ხარისხის თარგმანებს. ქართულ-ინგლისურ, ინგლისურ-ქართულ, რუსულ-ინგლისურ ენებზე.**
**ტელ: 96-64-12, 95-2034, 893 219442**

სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების კონსულტირება სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაში. ტელ: 38-54-78, 899 115545.

ადგილობრივ და საერთაშორისო ტენდერებში მონაწილეობის მიღების მსურველი კომპანიების კონსულტირება სატენდერო წინადადებებიოს მომზადებასა და წარდგენაში. ტელ: 38-54-78, 899 115545.

მოდელების სააგენტო "ფიესტა" იწვევს 10-დან 20 წლამდე გოგონებსა და ვაჟებს მანეკენებისა და ფოტომოდელების სტუდიაში. მიღება 14-დან 31 აპრილამდე. 38 59 71, 38 94 69







**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**

ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.

**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**

ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტს ესაჭიროება ინგლისურის, კომპიუტერის და ინტერნეტში მუშაობის მცოდნე ექიმი. უზნაძის 68. 95 69 56

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელისა და ფეხის ასადგმელი ქამრები, ბრტყელტერფიანებისთვის სუპინატორები და ორთოპედიული ბალიშები. 53 46 41

**კაზინო "მუმიაა" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.**
**ტელ: 899 216566**







## TV პროგრამა 17 აპრილი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
14.50 ტელეკაზინო
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
18.50 სერიალი „მაშველები"
19.40 სერიალი „დატყვევებული გულები"
19.50 ტელეკაზინო
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.40 ტელეკაზინო
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „კაზინო"
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები"
10.15 მხ. ფილმი „პოლიციელის სიტყვა"
12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
14.30 „ქართული მთამსვლელობის ისტორია"
15.15 მხ. ფილმი „შუაღამის კაცი"
16.45 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.00 რამპა
17.05 შემეც.ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო"
17.30 თბილისი და თბილისელები
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „საუკუნის გიგანტები"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ჯანმრთელობა"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.55 გზა პერსპექტივისაკენ
22.10 საქართველო არის ესე
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება ?!"
23.55 მხ. ფილმი „მოწიფული ცხოვრება"
01.25 ქართული ენის გაკვეთილი

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „ტკბილი და საძაგელი"
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ბრავო „ზღვის წაღებულნი"
02.00 ღამურა „ფორმულა 51 „
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა"
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ხვალ ყველანი უკეთ ვიქნებით"

### იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „კისრისტეხით"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
15.15 მხ. ფილმი „ჭაბუკი გიშტიდან"
17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.30 კონცერტი
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით)
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „კრაზანების ბუდე"
00.55 მხ.ფ. „მებრძოლი"
01.55 მუსიკა

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00, 21.30 სალონი
13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე
15.00, 21.00 ვესტი
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „სპორტის სამყარო"
20.30 მულტფილმი
21.00 „ვესტი"
21.30 „სალონი"
23.00 მუსიკალური პაუზა
23.35 ტელესერიალი „ყავახანა"
23.50 მხ. ფილმი „ვნებათა კვირა"

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.45, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
11.55 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
12.40 მხ. ფილმი „ალყაშემორტყმულები"
14.20 „ტელემეტრი"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.05 მხ. ფილმი „სახიფათო ზონა"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ქართული ფეხბურთი"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
22.00 „ჩემი ქვეყანა".
22.15 მხ. ფილმი „ოზოგები-2"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „შერგურგის ქოლგები"

### იმედი

17.00, 17.56, 20.57, 01.00 ახალი ამბების დაიჯესტი
17.05, 01.05 იმედის მელოდიები
18.00 სერიალი „იუდას ქალი"
19.00, 22.00 ქრონიკა
19.30 სერიალი „ამაზონი"
20.30 8 1-2 „ესტაფეტა"
21.00 სერიალი „მოქალაქე უფროსი"
22.45 კინოვარსკვლავთა ღამე „იარაღის არჩევა" (კ. დენევი)

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.15 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 კომედია „საკალათბურთო ციებცხელება"
11.05 დრამა „საზღვარი" 4 ს.
12.15 სათავგადასავლო ფილმი „იასონი და არგონავტები"
14.10 კომედია „ამერიკელი პრეზიდენტი"
16.15 მულტფილმი „სასწაულებრივი გადარჩენა"
17.30 მელოდრამა „ცეკვები ლუნაზის დროს"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20, 22.20, 00.20 „ნოვოსტი"
19.35 „პირისპირ"
20.30 კომედია „თქვენზეა არჩევანი, მადამ"
22.30, 03.20 მუსიკა
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.35 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.40 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
00.50 სათავგადასავლო ფილმი „შვიდი წელი ტიბეტში"
03.55 მხატვრული ფილმი „ასეც ეკუთვნის"

### VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.45 მობილურები
10.10 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
11.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
12.10 „ბიორითმი" - .
12.30 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.00 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 კომპიუტერული თამაშები
13.40 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.25 კომპიუტერული ტექნიკა
20.20 კომპიუტერული თამაშები
20.25 ღამის კაპრიზი" - თემა: „ „.
21.15 მობილურები
22.05 რაგბი ზე-12: ქრაისთჩერჩი-იოჰანესბურგი
23.45 „კინოკლუბი „ - „ყორანის აფრენა".
01.10აუდიო-ვიდეო-ტელე
01.55 „ბიორითმი" - .

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.10, 22.40 Сериал „ДРУГАЯ ЖИЗНЬ"
12.05, 17.25, 00.55 „Фабрика звезд-2"
12.35 „Базз и его команда"
13.15 Детектив „ДВОЙНОЙ КАПКАН" 1-я с.
14.40 „Непутевые заметки" с Дм. Крыловым
15.00 „Новый день". „Сканер"
15.30 „Новый день". „Гении и злодеи". Илья Мечников.
16.20 Детектив „ЗАБЫТОЕ УБИЙСТВО" 1-я ч.
17.55 „Большая стирка"
19.30 „Сами с усами"
21.00 „Основной инстинкт". Ток-шоу.
22.00, 00.30 Время
23.45 Человек и закон
01.10 „Новый день". „Трюкачи"
01.40 „Новый день". „Рецепты Буддийских монахов"
02.10 Апология
03.10 Сериал „Беглец"
04.05 Детектив „ИНФОРМАТОР"
06.05 „ОТНОСИТЕЛЬНОСТЬ"

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45, 21.55 Сериал „РУССКИЕ АМАЗОНКИ"
10.40, 23.00 Сериал „ТАЙГА"
11.40, 18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание" 13.20 Сериал „Лодка любви"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Вся Россия
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех-2"
17.15, 04.15 Агентство одиноких сердец
18.50, 03.10 Дорожный патруль
19.05, 00.30 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
00.40 Худ. фильм „КОМНАТА СЫНА"
02.40 Синемания.
03.30 „ТВИН ПИКС"

### НТВ

07.00 Утро на НТВ
10.00 Сериал „Скорая помощь 8"
11.00 Сегодня утром
11.25 Чистосердечное признание
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Квартирный вопрос".
13.05 Мелодрама „ПОВТОРНАЯ СВАДЬБА"
14.50 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Принцип „Домино"
18.05, 21.50 Сериал „Бандитский Петербург"
19.20 „Очная ставка". „Цена жизни"
20.35, 00.20 Сериал „ПЯТЫЙ АНГЕЛ"
23.00 „Страна и мир"
23.40 Сериал „Секс в большом городе"
01.30 Гордон
02.25 „Доктор"
03.15 Кома
03.45 Ночь

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სოლო კონცერტი
დას: 19:00 სთ; ფასი 8,10,15 ლარი

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
საქართველოს მუსიკოს შემსრულებელთა III კონკურსის საზეიმო გახსნა და კონცერტი

### თეატრები

**სამეფო უბნის თეატრი**
რუსთაველის თეატრის სპექტაკლი
"მერე რა, რომ სველია სველი იასამანი", რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00 სთ; ფასი 4-7 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"ილია", რეჟ. კოტე მახარაძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ვენეციელი ვაჭარი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ჭინსების თაობა (დაგვიანებული რეკვიემი)", რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**„ქარვასლა"**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**
ბესა და ლაშა, გრაფიკა და კოლაჟები

**ეროვნული გალერეა**
ომარ ჩუბინიძის მემორიალური გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"გაანალიზე 2"
დას: 14:00; 18:00; 22:00 სთ; ფასი 6-8 ლარი
"რვა მილი"
დას: 16:00; 20:00 სთ; ფასი 6-8 ლარი

**„რუსთაველი"**
"ჩიკაგო"
დას: 15:00; 19:30 სთ; ფასი 5 ლარი
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 17:30; 21:45 სთ; ფასი 5,9 ლარი

**„ელისო"**
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5,7 ლარი
"ჩიკაგო"დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,7 ლარი



# "ბენეტონის" გადარჩენილი

"ბენეტონის" რეკლამის შესახებ კვლავ ალაპარაკდნენ. ისევ არჩევენ, ვულგარული და საზიზღარია, თუ გამართლებულად პროვოკაციულიო. "ბენეტონი" უკვე დიდი ხანია, უჩვეულო რეკლამებითაა ცნობილი – ზოგჯერ ისეთებით, დანახვისთანავე რომ გული გაგისკდება. მაგრამ ამ ფონზეც კი We, on Death Row-მ ("ჩვენ, სიკვდილმისჯილნი") ამერიკელთა შოკი გამოიწვია.




სარეკლამო ფოტოსურათებზე გამოსახული ადამიანები სიკვდილმისჯილები არიან.

ძირითადად, პროტესტი მსხვერპლთა ახლობლების ბანაკიდან გაისმა. მათ რეკლამა ამ მამაკაცების მიერ ჩადენილი დანაშაულების დიდებად ჩათვალეს. ამ აქციამ მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის პროტესტიც გამოიწვია: ისინიც ამტკიცებდნენ, რომ "ბენეტონი" მკვლელების "გაკეთილშობილებას" ლამობსო. მაგრამ "ბენეტონს" დიდად არ უდარდია – რეკლამას ყურადღება მიაქციეს, ეს კი ფირმისთვის მთავარი იყო. შიდსით დაავადებულებს, შიმშილისგან მომაკვდავ აფრიკელ ბავშვებს თუ ელექტრონული სკამისთვის განწირულ ადამიანებს მოდასთან თითქოს არაფერი აქვთ საერთო, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ თვალს იოლად ვერ არიდებენ. გარდა ამისა, "ბენეტონს" რეკლამასთან დაკავშირებით საკუთარი თეორია გააჩნია: თუკი სქესის, ანუ ლამაზი ქალების მეშვეობით შეიძლება ყურადღების მიქცევა, სხვებმა რაღა დააშავეს?



"ბენეტონის" სარეკლამო პლაკატები

ცხადია, "ბენეტონის" რეკლამა განსაკუთრებით ფასეული იქნებოდა, თუ პროდუქციის გაყიდვის გარდა, სარეკლამო სურათებზე აღბეჭდილ ადამიანებსაც უშველიდა რამეს. მაგალითად, თუ ფერად-ფერადი ტანსაცმლის გაყიდვიდან შემოსული გარკვეული თანხით მოშიმშილე ბავშვებს დააპურებდნენ. ან თუ ელექტრონულ სკამს მართლა ვინმე გადარჩებოდა.

და აი, "ბენეტონის" სარეკლამო კამპანიის, We, on Death Row-ს ერთ-ერთი გმირი, ბობი ლი ჰარისი, სიკვდილით დასჯას გადარჩა – მას განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს.

ჰარისი მსჯავრდებულთა სკამზე 1991 წელს მოხვდა, მებადურის, ჯონ რედის სასტიკი მკვლელობისთვის – მან მას ზურგში სამი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, შემდეგ კი სხეული ნავიდან გადააგდო. ჰარისი 2001 წლის იანვარში სიკვდილით უნდა დაესაჯათ, მაგრამ განაჩენის სისრულეში მოყვანამდე რამდენიმე საათით ადრე მოსამართლემ საქმის ხელახალი მოსმენა მოითხოვა, ვინაიდან გაირკვა, რომ დამნაშავის IQ (ინტელექტის კოეფიციენტი) მაჩვენებელი ძალიან დაბალი იყო – დაახლოებით 70. და აი, ორშაბათს გაირკვა, რომ ჰარისის ადვოკატებმა მისი სასჯელის შემსუბუქება შეძლეს.

სამი წლის წინათ ბობი ლი ჰარისი 25 სხვა პატიმართან ერთად "ბენეტონის" სარეკლამო კამპანიისთვის გადაიღეს. We, on Death Row ადამიანებს სიკვდილით დასჯის გაუქმებისკენ და, რასაკვირველია, "ბენეტონის" პროდუქციის შეძენისკენ მოუწოდებდა.

მაშინ ჰარისის ბედის მიმართ დიდი ყურადღება ერთმა გერმანელმა ქალბატონმა, დაგმარ პოლცინმა გამოიჩინა. მისი თქმით, ბობი ლი ჰარისის "ბენეტონისეული" სარეკლამო ფოტოსურათი მან პირველად ჰამბურგში, ავტობუსის გაჩერებაზე აღმოაჩინა, და იმწამსვე მიხვდა, რომ სიკვდილმისჯილი შეუყვარდა. მან დატოვა გერმანია, სამსახური (ოფიციანტად მუშაობდა), და ჩრდილოეთ კალიფორნიაში ჩავიდა, რომ ჰარისს ცოლად გაჰყოლოდა. ჯერჯერობით, არ დაქორწინებულან, მაგრამ ახლა, ახალი განაჩენის შემდეგ, ალბათ, მათაც ეშველებათ.

# ხელოვნება სტრიპტიზ-შოუს თანხლებით

ბილეთი 13,50 დოლარი ეღირება. გალერეაში შესასვლელად ეს იაფი ნამდვილად არ არის. თუმცა, ისინი, ვინც სახელგანთქმული კოლექციონერის - ჩარლზ სააჩის პროვოკაციულ მახეში გაებნენ, ძვირადღირებული ბილეთის გამო უკან ნამდვილად არ დაიხევენ. ლონდონის ცენტრში, საგრაფოს ისტორიულ შენობაში შექუჩებული ცხვრების, ძროხების, ვირთხების ფიტულებს თუ თაბაშირში ჩამოსხმულ ადამიანების ფიგურებს ისინი კონცეპტუალური ხელოვნების სახელით გაეცნობიან (სააჩის ამ ახალი პროექტის შესახებ ორიოდე კვირის წინაც გაუწყებდით).



დემიენ ჰირსტი, "დაკარგული სიყვარული"

ინტერესი ექსპოზიციისადმი თავად სააჩის პერსონამ და სამშაბათს მოწყობილმა ორიგინალურმა პრეზენტაციამაც გაამწვავა. "მოდერნ ტეიტის" პირდაპირ წარმოშობით ბაღდადელმა გალერისტმა ზუსტად ისეთი შოუ მოაწყო, როგორიც წარმოდგენილ ექსპონატებს შეეფერებოდა: ბიგ-ბენის, ტემზისა და საგრაფოს ისტორიული შენობის პეიზაჟი მან მოხალისე ნუდისტებით გაამრავალფეროვნა. პრეზენტაციაზე მისული საპატიო სტუმრები ხელოვნების სახელით გაშიშვლებულ 160-ზე მეტ ქალსა და მამაკაცს სად აღარ გადაეყრებოდნენ – კიბეებზე, მოედანზე, მაღალ კოლონებს შორის გაწოლილებს. მათი ამგვარი "განთავსება" თანამედროვე ბრიტანელმა მხატვარმა, სპენსერ ტანიკმა მოიფიქრა. "კარგია, როცა მსგავს რამეებს ხელოვნების საბაბით უყურებ ხოლმე", - იხუმრა ერთ-ერთმა სტუმარმა, ბრიტანელმა მსახიობმა სტივენ ფრაიმ. მასთან ერთად სააჩის კერძო კოლექციის პროვოკაციულ პრეზენტაციას კიდევ ბევრი ცნობილი სახე დაესწრო: მსახიობი ჯერემი აირონსი, მოდელი სოფი ანდერტონი, სერ მიკ ჯაგერის ქალიშვილი ჯეიდი, დევიდ ბოუი, ჯგუფ "ბლარის" ლიდერი დეიმონ ალბერნი, არქიტექტორი სერ ნორმან ფოსტერი. თუმცა, თავად ორგანიზატორი ჩარლზ სააჩი არსად ჩანდა. როგორც გაირკვა, ის, უბრალოდ, ვერ იტანს წვეულებებს.

სამაგიეროდ, სააჩი მშვენივრად იტანს თანამედროვე ბრიტანელ მხატვრებს, პროვოკაციებსა და ექსპერიმენტებს. სწორედ ამ ბოლო მიზეზით თავისი სუპერ-თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების მუდმივ სახლად ირჩევს მეფე ედვარდის ეპოქის შენობას, რომელიც იმდროინდელი პომპეზურობის ყველა წესის დაცვითაა აგებული (გრანდიოზული კიბეები, მასიური სვეტები, ჩუქურთმები, ოქროთი მოვარაყებული მარმარილოს დაფები, რომლებზეც ლონდონის საგრაფოს წარჩინებულების სახელებია ამოტვიფრული).

სწორედ ამ ძველ, არისტოკრატულ გარემოში დაიდებს ბინას კონცეპტუალიზმი და არტისტული პროვოკაცია. თავად სააჩი ვარაუდობს, რომ რადგანაც შენობა ლონდონის ე.წ. ტურისტულ უბანში მდებარეობს, მასში მოთავსებული ექსპონატების ხილვას საზოგადოების უფრო ფართო ნაწილი შეძლებს. ის ფიქრობს, რომ ყოველწლიურად გალერეას 750 ათასი ადამიანი მოინახულებს.

გალერეის სტუმრებს პირველი ექსპონატი კიბეებზევე შეეგებებათ. ცნობილი ხელოვანის, დემიენ ჰირსტის კოპლებიანი მანქანა ხომ, სწორედ, მასიურ სვეტებს შორის, კიბეებზეა მოთავსებული. უკვე დარბაზში შესულებს კი ავსტრალიელი რონ მუეკის გრანდიოზული ქანდაკებები დახვდებათ, ცოცხალ ადამიანებს რომ ჰგვანან. იქვე იქნება პანელზე საცოდავად გაშხლართული, გაძვალტყავებული, სასოწარკვეთილი და სამუდამოდ დადუმებული შიშველი მამაკაცის ფიგურა – მუეკის ყველაზე სკანდალური, ცვილის სკულპტურა "მამაჩემის გვამი". დამთვალიერებლები იხილავენ ტრეისი ემინის ცნობილ ინსტალაციასაც – "ჩემი საწოლი", ამ ისტორიას გადახლართული თეთრეული, საწოლის გარშემო მიმოფანტული პრეზერვატივები და ვისკის ბოთლები გვიამბობს. იქვეა აკვარიუმი, რომელშიც კომპიუტერი, კლავიატურა და სათვალე დევს, ორი თევზი დაცურავს და "დაკარგული სიყვარული ჰქვია". ერთ-ერთ გამჭვირვალე კოლოფში დელფინის გაშეშებული ფიტული ჰკიდია, მეორეში – ვირთხის ფიტულებია მიმოფანტული, მარმარილოს ბუხართან კი ფარას ჩამოშორებული, სევდიანი ცხვარი დგას... ბუნებრივია, თითოეულ ამ ექსპონატს თანამედროვე ბრიტანული ხელოვნების ნიმუში ჰქვია.

თუმცა, სააჩის ამ როგორც კომერციულ, ისე შემოქმედებით მიზნებს ბრიტანული პრესა არცთუ დიდი აღფრთოვანებით ხვდება. "დეილი ტელეგრაფი" ირონიულად შენიშნავს, რომ იმდენ გვამს, რამდენიც სააჩიმ თავის გალერეაში შეკრიბა, ქალაქის მუნიციპალურ მორგშიც კი ვერ ნახავდნენ. "გარდიანის" მიმომხილველი ლონდონის ახალ ღირსშესანიშნაობას გაცილებით უფრო ვრცელ კრიტიკას უძღვნის. "აქ გამოფენილ ექსპონატებს ახალი თვალით ნამდვილად ვერ შეხედავ. მათი განსხვავებული კუთხით აღქმაში თავად შენობის ისტორიულობა, ავტორების შესახებ გავრცელებული ჭორ-მართალი და სააჩის პროვოკაციული პერსონა გვიშლის ხელს". გალერეის ვებ-გვერდზე ვკითხულობთ: "თანამედროვე ბრიტანულ ხელოვნებას მსოფლიო კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და მისი ღირსეულად წარმოდგენა აუცილებელია". "გარდიანი" კი ასკვნის: "ეს ტყუილია. ბრიტანულ ხელოვნებას, პირველ რიგში, ჰაერი სჭირდება, თავისუფალი სუნთქვა და გაზრდა". ჟურნალისტების აზრით კი, ამის საშუალებას სააჩის "მორგი" ნამდვილად არ იძლევა...



# კომედია ბრაზის შესახებ

ორიოდე დღეა, ჯეკ ნიკოლსონისა და ადამ სანდლერის მიბაძვით მილიონობით ამერიკელი ბრაზის დაოკების ფსიქოლოგიურ სეანსს იტარებს. სეანსი, ბუნებრივია, კინო-თეატრებში მიმდინარეობს და მას ჯეკ ნიკოლსონი დიდი ეკრანიდან ხელმძღვანელობს. მსახიობი, რომელიც უწინ ფსიქოლოგიური კლინიკის პაციენტად გვევლინებოდა ახლა თვითონ არის განერვიულებულთა, გაბრაზებულთა თუ, უბრალოდ, შეშლილთა მკურნალი. თუმცა, მიუხედავად ამისა, თავის მოგიჟიანებას ის მაინც მშვენივრად ახერხებს. მეტიც, ხშირად ნიკოლსონი თავის პაციენტზე, ადამ სანდლერზე მეტად გაბრაზებული და გიჟიც ჩანს.

როგორც ჩანს, ამერიკელებს კინოთეატრებისკენ სწორედ ეს უცნაური, კომიკური გარემოება და ნიკოლსონი-სანდლერის ტანდემი იზიდავთ. თანაც, იზიდავთ იმ დონეზე, რომ პრემიერის პირველ სამ დღეს ბილეთების რეკორდულ რაოდენობას ყიდულობენ და სალაროებს 44.5 მილიონი დოლარით ამდიდრებენ. ფინანსური მოგების თვალსაზრისით რეჟისორ პიტერ სიგალის ეს კომედია წლის ყველაზე დიდი პრემიერაც გახლავთ. სწორედ მისი გამოსვლის შემდეგ გამოცოცხლდა სიტუაცია ამერიკული კინოს ბაზარზე, რომელსაც ერაყული ომის დროს ოთხკვირიანი შავი პერიოდი ედგა.

ამ კომედიაში ნიკოლსონი და სანდლერი გადასაღებ მოედანზე ერთმანეთს



ახალი კომედიის პლაკატი

პირველად შეხვდნენ. როგორც ზემოთნახსენებმა ციფრებმა ცხადყო, ეს შეხვედრა ორივე ვარსკვლავისთვის იღბლიანი გამოდგა. ნიკოლსონის უკანასკნელი ფინანსურად წარმატებული ფილმი ხომ 1989 წელს გამოსული "ბეტმენი" გახლდათ (40.5 მილიონი); სანდლერისა კი – 1999 წლის სურათი "დიდი მამიკო" (41.5 მილიონი).

ფილმში სანდლერის გმირს, 30 წლის მორცხვ და წყნარ ნიუ იორკელს, თვითმფრინავის ბორტზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ, სასამართლო მცდარ განაჩენს გამოუტანს: მან ნიკოლსონის ფსიქოლოგიურ კურსებზე უნდა იაროს და საკუთარი ბრაზის გაკონტროლება ისწავლოს. სწორედ აქედან იწყება უცნაური და კომიკური ისტორიები, რომელშიც ნიკოლსონის რამდენიმე პაციენტი და სანდლერის შეყვარებული გოგონა (მარისა ტომეი) ებმება...

თუმცა, ასეთი მასობრივი პოპულარობის მიუხედავად, ფილმს პრესტიჟული გამოცემების კინო-კრიტიკოსები ცუდად შეხვდნენ. "ნიუ იორკ პოსტის", "ვაშინგტონ პოსტისა" თუ "ლოს ანჯელეს ტაიმსის" მიმომხილველებს ეს ისტორიები სასაცილოდ სულაც არ მოეჩვენათ. მათი აზრით, სიგალის სურათი 1969 წელს გადაღებული კომედიის "უცნაური წყვილის" ვარიაციებზეა შექმნილი, მაგრამ მასთან მაინც ვერ მივა. მეტიც, ძველ


კადრი ფილმიდან

ფილმში ჯეკ ლემონის კომიკური ამბები გაცილებით უფრო სასაცილო და დამაჯერებელი იყო, ვიდრე ნიკოლსონისა და სანდლერის თანამედროვე თავგადასავლებია. კინო-კრიტიკოსები "ბრაზის გაკონტროლების" პერსონაჟებს ინფანტილურობაშიც დებენ ბრალს და "ინფანტილიზმში" გულისხმობენ ყველაფერ ცუდს. "ნიუ იორკ ტაიმსის" ჟურნალისტი იხსენებს ერთ მომენტს ფილმიდან, როდესაც სანდლერი ნიკოლსონის მიერ დამზადებულ საუზმეს მაგიდიდან მოისვრის, ამ უმ კერძს რა მაჭმევსო. ჟურნალისტის აზრით, ამ კერძის არ იყოს, თვითონ ფილმსაც აკლია "ხარშვა". "თუმცა, თუ საქმე გაჭირდა, ეს სურათი შეიძლება ჩავთვალოთ კიდეც კომედიად. მაგრამ ვიმეორებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე გაჭირდა", - ასკვნის ის. მილიონობით ამერიკელს კი მართალია, არ უჭირს, მაგრამ ისეთი ვარსკვლავის ხათრით, როგორიც ჯეკ ნიკოლსონია, კრიტიკოსთა მიერ დაწუნებულ ფილმს მაინც სიამოვნებით უყურებს. და რაც მთავარია, კინოში დაბრუნებით ომისგან დაზარებულ ბიზნესს აღორძინებაში ეხმარება.

# მოდა+ლიტერატურა?

ყველა ცდილობს მოდას ფეხი აუწყოს. ეს კანონი არა მარტო უფროსებზე, არამედ ბავშვებზეც ვრცელდება. ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი, რომ 8-12 წლამდე პატარებსაც საყვარელი მაღაზიები აქვთ. Roxy Girl-ი ის სავაჭრო ნიშანია, რომლის პროდუქციასაც კალიფორნიელი ბავშვები ყველაზე დიდი მონდომებით ყიდულობენ. მათთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ მათ მოდურ დაბალწელიან ჯინსებსა და მოკლე მაისურებს სწორედ Roxy Girl-ის ეტიკეტი ამშვენებდეს. ეს უკვე უზარმაზარი მოძრაობა თუ ფილოსოფიაა, რომლის გავრცელებასაც თავად Roxy Girl-ის საპრომოუტერო კამპანია დიდად უწყობს ხელს. სწორედ ამ კამპანიის შედეგია ის, რომ Roxy Girl-ი უკვე წარმატებით ჰყიდის არა მხოლოდ სერფინგისთვის განკუთვნილ სპორტულ ტანსაცმელს, არამედ ათასგვარ ქუდებს, სათვალეებს, საათებს და სანდლებსაც კი. თუმცა, კომპანია კიდევ უფრო წინ მიდის და მეტი ფინანსური წარმატების მოსაპოვებლად ძალზე სადავო სარეკლამო კამპანიას იწყებს – ის ერთმანეთს უკავშირებს მოდის ბიზნესსა და მისგან რადიკალურად განსხვავებულ სფეროს, ლიტერატურას. ფირმის პროდიუსერების გადაწყვეტილებით, Roxy Girl-ის ლოგოთი დაიწყება წიგნების სერიების გამოცემა. სპეციალურად ამ საქმისთვის დაქირავებულია ავტორი, რომელსაც ევალება მოთხრობების წერა და მოდას აყოლილი პატარა მკითხველებისთვის საინტერესო სიუჟეტების შეთხზვა. Roxy Girl-ის სერიების შეძენა და წაკითხვა საჯარო ბიბლიოთეკებსა და წიგნის მაღაზიებში უკვე მაისში იქნება შესაძლებელი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ თამამ წამოწყებას ბევრი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა. ისინი აცხადებენ: "მთელი ეს იდეა, თავისი არსით, მეტად არაკეთილშობილურია. ცხრა წლის ბავშვი, რომელიც ეს-ესაა იწყებს ცხოვრებას, Roxy


სერფინგი Roxy Girl-ის თანხლებით

Girl-ის უზნეო კამპანიის წყალობით, წმინდასა და ღირებულს ვერაფერს ეზიარება. მისთვის უკვე წინასწარვე ყველაფერი დახარისხებული და გათვლილია. და, რაც მთავარია, ბავშვის გარშემო ყველაფერს კომერციის სუნი უდის".

ამ საქმით დაინტერესებული არაერთი დამკვირვებელი აცხადებს, რომ წიგნებისა და მოდის დაკავშირების იდეა ჩვეულებრივი საბაზრო ტაქტიკაა, რომელიც ახალგაზრდებს თავს მოახვიეს. პატარები კი ვერ აცნობიერებენ საქმის ნამდვილ არსს, მორჩილად იღებენ მდარე ხარისხის კომერციულ პროექტებს და უგემოვნობის გამეფებას უწყობენ ხელს. ეს კი უსამართლობაა. საინტერესოა, დაწერდნენ თუ არა ისეთივე შთაგონებით ლუის კეროლი და ჯეი ქეი როულინგი თავიანთ ნაწარმოებებს, მათი დაფინანსება რომელიმე დიდ კომპანიას რომ განეზრახა. იქნებოდა თუ არა "მწვანე კვერცხები და ლორი" ისეთივე სახალისო საკითხავი, თუ დოქტორ სეუსს ამერიკული ლორის ბიზნესი დააფინანსებდა... არც ერთი ბიზნესმენი არ იტყვის გულწრფელად, "ჩვენ ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ბავშვების საშუალებით კიდევ ერთხელ ვიშოვოთ ფული". ამის ნაცვლად ისინი დაგვიმტკიცებენ: "ჩვენ გვინდა განვანათლოთ და გავართოთ ბავშვები".

როგორც ჩანს, ეს ახალი წამოწყება დიდ მითქმა-მოთქმასთანაა დაკავშირებული და ამ საკითხის გარშემო წარმოჭრილი დავა კვლავაც აქტუალურია. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, Roxy Girl-ი აგრძელებს მოღვაწეობას და გაამართლებს თუ არა ბოლომდე მისი ორიგინალური პროექტი, ამას მომავალი გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი, ნამდვილად სერიოზულ ანალიზს მოითხოვს ის უჩვეულო ცდა, რომელიც ისეთი განსხვავებული სფეროების გაერთიანებას ცდილობს, როგორიც მოდა და ლიტერატურაა.


კალიფორნიელი ბავშვების საყვარელი მაღაზია

## კროსვორდი






## წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთწვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.